

178
1966/3



178/3


საბჭოთა სამართალი

70

საქართველოს კვლევითი კომისიის გამომცემლობა

1966

4



№ 4

ივლისი—აგვისტო

1966 წელი

ბამოცემის XIII

საბჭოთა სამართალი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შინაარსი

მოწინავე — ყველასი და თვითელის საქმე	3
ოფიციალური მასალა	6
ი. ფუტყარაძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო წყობილების ზოგიერთი თავისებურება 1921 — 37 წლებში	9
თ. შავულიძე — საზოგადოებრივი სამიწროების გამომრიცხველ გარემოებათა საკანონმდებლო რეგლამენტაციის შესახებ	17
ა. გაბიანი — დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის შესახებ	24
ბ. გაჩევი — პირობითი მსჯავრის გამოყენა მოსაზღვრე ინსტიტუტებისაგან	31
ი. უორდანი — სახის წარუხოცელი დამახინჯების, როგორც სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანების სწორი კვალიფიკაციისათვის	41
შ. ჩიკვაშვილი — სასამართლო პრაქტიკა საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრობასთან დაკავშირებით	52
ო. მგელაძე — კრიმინალისტური ექსპერტიზა შემთხვევის ადგილზე	57

851-01

გაგაძლიეროთ ბრძოლა ხულიგნობასთან

ა. ტაკიძე — არც ერთი დამრღვევი გამოუვლინებელი და დაუსჯელი	60
ა. უღენტაძე — თანმიმდევრულად და ორგანიზებულად ვებრძოლოთ ხულიგნობას	65

რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის


რ. შამელაშვილი — იურიდიული ტერმინები „ვეფხისტყაოსანში“	70
ლ. ჭანტურია — სასამართლო რეპორტიორის ჩანაწერები	75

მოთხრობა

შ. გვეტაძე — ნაპრალი	83
----------------------	----

მოწინავეთა პორტრეტები

დ. ნანობაშვილი — დიდი ცხოვრების გზაზე	93
---------------------------------------	----





СОДЕРЖАНИЕ

Передовая — Дело всех и каждого	3
Официальный материал	6
Я. Путкардзе — Некоторые особенности государственного устройства Грузинской ССР в 1921 — 1937 гг.	9
Т. Шавгулидзе — О законодательной регламентации обстоятельств, исключających общественноопасные деяния	17
А. Габияни — О принудительном лечении алкоголиков и наркоманов, совершивших преступление	24
Н. Гаджиев — Отграничение уголовного осуждения от смежных институтов	31
И. Жордания — О некоторых вопросах правильной квалификации неизгладимого обезображения лица, как тяжкого телесного повреждения	41
Ш. Чиквашвили — Судебная практика в связи с членством в жилищно-строительных кооперативах	52
О. Мгеладзе — Криминалистическая экспертиза на месте происшествия	57

УСИЛИТЬ БОРЬБУ С ХУЛИГАНСТВОМ

А. Такидзе — Ни одного нарушителя без выявления и наказания	60
А. Жгенти — Последовательно и организованно бороться с хулиганством	65

К 800-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ РУСТАВЕЛИ

Р. Шамелашвили — Юридические термины в «Витязе в тигровой шкуре»	70
Л. Чантурия — Записки судебного репортера	75

РАССКАЗ

Ш. Гветадзе — Трещина	80
---------------------------------	----

ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ

Д. Нанобашвили — На пути большой жизни	93
--	----

სარედაქციო კოლეგია

ო. კაციაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
პ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინჭკირველი,
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,
ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას 13/VIII-66 წ., ხელმოწერილია დასაბუქდად 10/XI-66 წ. ანაწყობის ზომა 7 < 12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ყვადანი და თვითთავის საქმა

„პრავდა“, 28 ივლისის მოწინავე

კომუნიზმის მშენებლობის მსვლელობაში გარდაიქმნება ჩვენი ქვეყნის არა მარტო თვალუწვდენი სივრცეები, მისი ქალაქები და სოფლები. გარდაიქმნება ადამიანიც — ახალი საზოგადოების შემქმნელი. საბჭოთა ადამიანების მთელი ფიქრები, შრომა, დასვენება ღრმად გამსჭვალულია სოციალისტური შეგნებით. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არიან გახრწნილი მოზალის, უცხო ზნე-ჩვეულებათა მატარებლები. მათი ხულიგნური და სხვა დანაშაულებრივი მოქმედებანი მტრულია საბჭოთა წყობილების თვით ბუნებისათვის. ისინი იწვევენ ხალხის კანონიერ გულისწყრომას და მათი შეწყნარება არ შეიძლება.


ამ უკანასკნელ წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ გაკეთდა საზართლადარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად და მაინც განხორციელებული ღონისძიებანი საკმარისი არ აღმოჩნდა. ქალაქებსა და რაიონებში ჯერ კიდევ იშვიათი როდია საშიშ დანაშაულობათა, თავხედური ხულიგნობის შემთხვევები.

საკვ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. გუშინ „პრავდაში“ დაიბეჭდა ამ გადაწყვეტილებათა შინაარსი. მათში განსაზღვრულია პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოების ამოცანები სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და დამნაშავეობის აღმოფხვრისათვის, ამ საქმეში მშრომელთა აქტივობის განვითარებისათვის, მოსახლეობაში აღმზრდელი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ამავე დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო სპეციალური ბრძანებულება, რომელიც დღეს ქვეყნდება „პრავდაში“. ამ ბრძანებულებით დაწესებულია ვადიდებული ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ხულიგნური მოქმედებისათვის, ხულიგნობის შესახებ საქმეების გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის შემჭიდროვებული ვადები.

ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებში ფართოდ აისახა მშრომელების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების სურვილები და მოთხოვნები. პარტიისა და სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ღონისძიებანი ქმნიან პირობებს ხულიგნობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების გადაჭრით აღმოფხვრისათვის, რომლებიც შეუწყნარებელია საბჭოთა მიწა-წყალზე.

დამნაშავეობის და მისი წარმომშობი მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს უკლებლივ ყველა პარტიოსან მშრომელთა ინტერესებისათვის. და ამიტომ ამ ბრძოლაში მონაწილეობა თვითთავის მოვალეობაა. პარტიულმა, პროფკავ-




შირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ადგილობრივმა საბჭოებმა უწინარეს ყოვლისა ღრმად და საფუძვლიანად უნდა განუმარტონ ადამიანებს მიღებული გადაწყვეტილებანი, უფრო ფართოდ გაავრცელონ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის დადებითი გამოცდილება, რომელიც მიღებულია ბევრ ქალაქსა და სოფელში. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა ფორმის იდეოლოგიური ზემოქმედება — პრესა, რადიო, ტელევიზია, ლექციები და საუბრები, თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებანი. უნდა გამოვიჩინოთ რაც შეიძლება მეტი უნარი, შემოქმედებითი მოსაზრებულობა, რომ ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა აღმოსაფხვრელად დავრავნოთ მშრომელთა უაღრესად ფართო მასები, ყველგან შევქმნათ ხულიგნობის, ლოთობისა და სხვა მანკიერებათა მიმართ შეუწყნარებლობის ვითარება. სოციალისტური საზოგადოებრიობისათვის უცხო ზნე-ჩვეულებებს გადამწყვეტი ომი უნდა გამოვუცხადოთ!

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ სახალხო რაზმეულების აქტივობა. მათი საქმიანობა საყოველთაო მოწონებასა და მხარდაჭერას იწვევს. განუწყვეტლივ უნდა ვზრუნავდეთ იმისათვის, რომ რაზმეულები ფხიზლად ეწეოდნენ თავიანთ ნებაყოფლობითს სამსახურს საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, განვამტკიცოთ ისინი ენერგიული, ინიციატივიანი ადამიანებით. რაზმელთათვის ახლად დაწესებული მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ ამას. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ამიერიდან შემოდებულია სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ მოქალაქეთა ინტერესების დაცვას, ვინც ინიციატივას გამოიჩინეს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ხულიგნობის გამოვლინებებს ხელს უწყობს წესრიგის დამრღვევთა მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ. ზოგან წარმოებაში ზერელედ უყურებენ იმასაც კი, რომ ხულიგნები სამუშაოზე ამზადებენ დანებს, კასტეტებს და სხვა იარაღს. არსებობს მანკიერი პრაქტიკა, როცა კოლექტივები თავდებად უდგებიან დამნაშავეებს, მაგრამ სრულიად არ ფიქრობენ მათ აღზრდაზე, რასაც სავალალო შედეგები მოსდევს.

ცნობილია, რომ ხულიგნობა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენები შესამჩნევად, უფრო ფართოდ გავრცელებულია მოსახლეობის სხვა კატეგორიებთან შედარებით ახალგაზრდებს, მოზარდებს შორის, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან უცხო გავლენას. ამიტომ ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითს მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიექცეს. საერთო მეცადინეობით უნდა გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ დანაშაულებრივი გარემო, რომლებშიც ხვდებიან მერყევი ჭაბუკები და ქალიშვილები, ჩავაბათ ისინი ჯანსაღი ინტერესების სფეროში. აქ პირველი როლი ეკუთვნის კომკავშირულ ორგანიზაციებს. ახალგაზრდა თაობის აღზრდა კომუნისტური მორალის სულისკვეთებით, სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა მიმართ შეუწყნარებლობის სულისკვეთებით ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა კომკავშირისათვის.

ბევრი რამ უნდა ვაკეთოთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებმა. ისინი დაუცხრომლად უნდა სრულყოფდნენ თავიანთ მუშაობას, განსაკუთრებით დანაშაულობათა გამოვლინებისა და



დამნაშავეთა ძებნისათვის. დანაშაულებრივი საქმიანობის დროზე აღკვეთისათვის, ყოველნაირად განამტკიცებდნენ და აფართოებდნენ კავშირს საზოგადოებრიობასთან. სასამართლოსა და პროკურატურის პრაქტიკაში გონივრულად უნდა იყოს შეხამებული საშიშ დამნაშავეთათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მკაცრი ღონისძიებანი საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და იმ პირთა აღზრდის ღონისძიებებთან, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს ნაკლებმნიშვნელოვანი დანაშაული.

სამუშაოზე, შინ, დასვენების ადგილებში საბჭოთა ადამიანების დიდი უმრავლესობის ქცევას საფუძვლად უდევს შეგნებული სოციალისტური დისციპლინა. კანონების, საზოგადოებრივი ცხოვრების წესების მტკიცე დაცვა მათი შინაგანი მოთხოვნებია. და მხოლოდ ხულიგნების, ლოთების, დებოშირების მცირე ნაწილს უჭირავს თავი გამომწვევად. უნდა ვაიძულოთ ისინი პატივი სცენ კანონებს, რომლებიც ხალხის ნებას გამოხატავენ. დაე სამართალდარღვევის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს დაუსჯელი!

ჩვენი ქვეყანა ყველაზე მოწინავე სოციალური წყობილების აკვანია. ჩვენს საზოგადოებას საფუძვლად უდევს ყველაზე მოწინავე, ყველაზე ადამიანური მორალი. ჩვენში ადგილი არ უნდა ექნეს და არც ექნება დამნაშავეობას. მის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა ადამიანების მოქალაქეობრივი მოვალეობა და პატრიოტული ვალია, ყველასი და თვითულის საქმეა.



ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ უ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პირობებში სულ უფრო შეუწყნარებელი ხდება ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებანი, განსაკუთრებით ხულიგნობის ფაქტები, რომლებიც დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას, შეურაცხყოფს საბჭოთა მოქალაქეების პატივსა და ღირსებას. ხულიგნობის ნიადაგზე ხდება სხვა მძიმე დანაშაულობანი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი სამართლიანად მოითხოვენ, რომ ხულიგნებსა და დებოზირებს მკაცრად აგებინონ პასუხი თავიანთი მოქმედებისათვის. საჭიროა შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ ხულიგნობის თვითეთლი შემთხვევა გადაჭრით აღკვეთონ სახელმწიფო ორგანოებმა და საბჭოთა საზოგადოებრიობამ.

ითვალისწინებს რა მოქალაქეთა არაერთგვის გამოთქმულ სურვილებს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადებებს ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების საჭიროების შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

I. პასუხისმგებლობა წვრილმანი ხულიგნობისათვის

1. წვრილმანი ხულიგნობა, ესე იგი უცნაურო ლანძღვა-გინება საზოგადოებრივ ადგილებში, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფი გადავიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რაც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს, თუ ეს მოქმედება თავისი ხასიათით არ იწვევს სისხლისსამართლებრივი სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებას, — ისჯება პატიმრობით ათიდან თხუთმეტ დღემდე ვადით, ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთიდან ორ თვემდე ხელფასის ოცი პროცენტის დაკავებით, ან ჯარიმით ათიდან ოცდაათ მანეთამდე.

2. წვრილმანი ხულიგნობის მასალებს ერთი დღელამის განმავლობაში განიხილავს მილიციის ორგანოს უფროსი, რომელიც ან დააჯარიმებს დამრღვევს ამ ბრძანებულების 1 მუხლით გათვალისწინებული ოდენობით, ან გაუგზავნის მასალებს სახალხო სასამართლოს, სადაც ამავე დროს მიიყვანენ დაკავებულს.

სახალხო მოსამართლე წვრილმანი ხულიგნო-

ბის მასალებს ერთპიროვნულად განიხილავს დღელამის განმავლობაში ამ მასალების სასამართლოში მიღების შემდეგ ხულიგნური გადაცდომის ჩამდენი პირის თანდასწრებით, და საჭირო შემთხვევებში გამოიძახებს მოწმეებს.


წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის ფაქტის დადგენის შემდეგ სახალხო მოსამართლე დამრღვევს შეუფარდებს ამ ბრძანებულების 1 მუხლით გათვალისწინებულ ზემოქმედების ერთერთ ღონისძიებას.

3. სახალხო მოსამართლეს ან მილიციის ორგანოს უფროსის დადგენილება ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შესახებ საბოლოოა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება და დაუყოვნებლივ სრულდება.

4. მილიციის ორგანოს უფროსს ან სახალხო მოსამართლეს დამრღვევის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი გადაცდომის ხასიათის გათვალისწინებით შეუძლიათ დამრღვევის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემის ნაცვლად მასალა გაუგზავნონ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მშრომელთა კოლექტივს ან ამხანაგურ სასამართლოს, რათა დამრღვევის წინააღმდეგ გამოიყენონ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი. ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან დამრღვევის მიმართ მიღებული ზომების შესახებ ათი დღის ვადაში აცნობონ მილიციის ორგანოს უფროსს ან სახალხო მოსამართლეს.

მილიციის ორგანოს უფროსი ან სახალხო მოსამართლე, როცა ადმინისტრაციულ სასჯელს მიმართავს, ყველა შემთხვევაში აცნობებს ამას ადმინისტრაციას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას დამრღვევის მუშაობის, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. წვრილმანი ხულიგნობისათვის დაპატიმრებული პირები პატიმრობაში იქნებიან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოთა მიერ განსაზღვრულ ადგილებში. დაპატიმრებულთ ვადახდებათ კვებისა და რჩენის ღირებულება; მათ ეკრძალებათ მიმოწერა, გადაცემების და ამანათების მიღება, კვების პროდუქტების ყიდვა; პატიმრობაში ყოფნის დროს ხელფასი მუდმივი მუშაობის ადგილზე არ ეძლევათ.



დაპატიმრებულთ შრომის აუნაზღაურებლად იყენებენ სამუშაოზე ქუჩების, ეზოების, საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების გასასუფთავებლად და სხვა ფიზიკურ სამუშაოებზე. წვრილმანი ხელიგნობისათვის დაპატიმრებულ პირთა შრომითი გამოყენების ორგანიზაცია ეკონსრებათ მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

6. თუ დაპატიმრებულმა თავი აარიდა პატიმრობის მოხდას ან ბოროტად დააჩრდვია დაწესებული რეჟიმი, სახალხო მოსამართლეს, პატიმრობის ადგილის ადმინისტრაციის ან მილიციის ორგანოს უფროსის წარდგინებით შეუძლია დამრღვევს გაუტრიალოს პატიმრობის ვადა. ამასთან წვრილმანი ხელიგნობისათვის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ დღეს.

7. ის პირები, რომლებსაც წვრილმანი ხელიგნობისათვის მიესაჯათ გამასწორებელი სამუშაოები, სასჯელს იხდიან სახალხო მოსამართლის დადგენილების შესაბამისად თავიანთი მუდმივი მუშაობის ადგილის მიხედვით, ან ადგილებში, რომლებსაც განსაზღვრავენ გამასწორებელ სამუშაოთა მოხდის განმეგებელი ორგანოები; მაგრამ დამრღვევის ბინადრობის რაიონში.

თუ დამრღვევმა თავი აარიდა გამასწორებელ სამუშაოთა მოხდას, სახალხო მოსამართლის დადგენილებით გამასწორებელ სამუშაოთა მოუხდელი ვადა შეიძლება შეიცვალოს თავისუფლების აღკვეთით იმ ანგარიშით, რომ თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე უტოლდებოდეს გამასწორებელ სამუშაოთა სამ დღეს.

8. წვრილმანი ხელიგნობისათვის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში შეიძლება მიცემულ იქნას ის პირები, რომლებსაც გადაცდომის ჩადენამდე შეუსრულდათ 16 წელი.

II. სისხლისსამართლებრივი პასუხისგება ზღვარზე ზღვიანობისათვის

9. ხელიგნობა, ესე იგი საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დამრღვევი და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობის გამოხატვითი განზრახვი მოქმედება, ასევე იმ პირს მიერ ჩადენილი წვრილმანი ხელიგნობა, რომლის წინააღმდეგ წლის განმავლობაში გამოიყენეს ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება წვრილმანი ხელიგნობისათვის, ისევე თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ვადით, ან ამავე ვადის გამასწორებელი სამუშაოებით, ან ჯარიმით ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე.

ბოროტი ხელიგნობა, ესე იგი იგივე მოქმედება, რომელიც თავისი შინაარსით გამოიჩინე

უარესად დიდი ცინიზმით ან განსაკუთრებული თავხედობით, ან დაკავშირებულია წინააღმდეგობის გაწევასთან ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის, რომელიც ასრულებს მოვალეობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დარგში, ან ხელიგნური მოქმედების აღმკვეთი სხვა მოქალაქეებისათვის, ასევე ისეთი პირის მიერ ჩადენილი ბოროტი ხელიგნობა, რომელიც წინათ ნასამართლავი იყო ხელიგნობისათვის. —

ისევე თავისუფლების აღკვეთით ერთი წლიდან ხუთ წლამდე ვადით.

ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება, თუ იგი ჩადენილია ისე, რომ იზმარეს ან სცადეს ეხმარათ ცეცხლმსროლელი იარაღი, დანა, კასტეტი ან სხვა ცივი იარაღი, ასევე სხულის დასაზიანებლად სპეციალურად მომარჯვებული სხვა საგანი, —


ისევე თავისუფლების აღკვეთით სამიდან შვიდ წლამდე ვადით.

10. იმ დანაშაულთა საქმეების გამო, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ბრძანებულების მე-9 მუხლის პირველი ნაწილით, მილიციის ორგანოებმა და მოკვლევის სხვა ორგანოებმა არაუგვიანეს ხუთი დღის ვადისა უნდა გამოარქივონ ჩადენილი დანაშაულის გარემოებანი და სამართალდამრღვევის პიროვნება, შეადგინონ ამის შესახებ ოქმი, რომელიც პროკურორის სანქციის შემდეგ წართადგენს საფუძველს იმისათვის, რომ სასამართლომ აღძრას და გააჩიოს საქმე. ასეთი საქმეები სასამართლომ თავის სტდომავზე უნდა განიხილოს არაუგვიანეს ხუთი დღის ვადისა მათი სასამართლოში შემოსვლის მომენტიდან.

იმ დანაშაულთა საქმეების გამო, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ბრძანებულების მე-9 მუხლის მეორე ნაწილით, წარმოებს მოკვლევა, რომელიც უნდა დამთავრდეს სისხლისსამართლებრივი საქმის აღძვრის დღიდან არაუგვიანეს ოცი დღისა.

იმ დანაშაულთა შესახებ საქმეების გამო, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ბრძანებულების მე-9 მუხლის მესამე ნაწილით, აგრეთვე არასრულწლოვანთა ხელიგნობის საქმეების გამო წარმოებს წინასწარი გამოძიება, რომელიც უნდა დამთავრდეს სისხლისსამართლებრივი საქმის აღძვრის დღიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა.

საქმეები ხელიგნობის შესახებ, რომელთა გამო სავალდებულოა მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების წარმოება, სასამართლო სტდომავზე უნდა განიხილოს ამ საქმის სასამართლოში შემოსვლის მომენტიდან არაუგვიანეს ათი დღის ვადისა.



11. დადგინდეს, რომ იმ პირების მიმართ, რომლებიც ხულოგნური მოქმედებისათვის დააკვეთეს, სასამართლოში საქმის განხილვამდე აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს, როგორც წესი, პატიმრობა.

III. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სხვა ღონისძიებანი

12. ისინი ვინც ქუჩებში ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებში გამოდიან მთვრალი, რაც შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებასა და საზოგადოების ზნეობას, —

ისჯებიან ჯარიმით სამიდან ათ მანეთამდე ოდენობით, რასაც ახდენენ მისი მილიციის ორგანოს უფროსი.

იმ შემთხვევაში, თუ თექვსმეტ წლამდე ასაკის მოზარდი მთვრალი გამოვიდა, ჯარიმა გადახდებამდე მშობლებს ან იმ პირს, რომლებიც მშობლების მაგიერობას ეწვევიან.

13. დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც მთვრალი იყო, ისეთი გარემოებაა, რომელიც ამძიებებს ამ პირის პასუხისმგებლობას.

სასამართლოს უფლება აქვს, იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისაა დანაშაული, არ ცნოს ეს გარემოება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

14. დადგინდეს, რომ წვრილმანი ხულოგნობისათვის ან ხულოგნობისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ამ ბრძანებულების მე-9 მუხლის პირველი ნაწილით, რაც თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე ასაკის მოზარდებზეა ჩაიდინეს, მოზარდთა მშობლები, ან ის პირნი, რომლებიც მშობლების მაგიერობას ეწვევიან, შეიძლება დაჯარიმდნენ ათიდან ოცდაათ მანეთამდე, რასაც მილიციის ორგანოს უფროსი ახდენენ.

თუ თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირებს, რომლებზეც წვრილმანი ხულოგნობა ჩაიდინეს, დამოუკიდებელი ხელფასი არა აქვთ; ჯარიმა და პატიმრობაში ყოფნის დროს კვებისა და რჩენის ღირებულება გადახდებამდე მშობლებს, ან იმ პირებს, რომლებიც მშობლების მაგიერობას ეწვევიან.

15. დადგინდეს, რომ ის პირები, რომლებიც სისტემატურად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს და სჩადიან სხვა სამართალდარღვევას, რომლის გამო მათ მიმართ გამოყენებული არ ყოფილა

ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი სასჯელის ღონისძიებანი, საჭირო შემთხვევაში შეიძლება მიიყვანონ მილიციის ორგანოებში შესაბამისი რეგისტრაციისა და ოფიციალური გაფრთხილებისათვის, რომ შეუწყნარებელი ან ტისაზოგადოებრივი ქცევა. ანალოგიური ღონისძიებანი შეიძლება გამოიყენონ იმ პირთა მიმართ, რომელიც მიცემული იყვნენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სასამართლოებმა განუსაზღვრეს სასჯელი, რაც დაკავშირებული არა ყოფილა თავისუფლების აღკვეთასთან.

16. მოქალაქეთა მოქმედება დანაშაულებრივი ხელყოფის აღსაკვეთად და დამნაშავეს შესაბამისად სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისი მართლზომიერი მოქმედება და არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან სხვა პასუხისმგებლობას, თუნდაც ამ მოქმედებით ძალაუფლებურად მოაყენეს ვნება დამნაშავეს, თუ რომელიმე პირს, ხულოგნური ან სხვა დანაშაულებრივი მოქმედების აღკვეთის მიზნით, დაუზიანეს სხეული, ამ პირის მკურნალობა წარმოებს მის ხარჯზე.

17. იმ პირებს, რომელთა მიმართ გამოიყენეს ადმინისტრაციული ზემოქმედებისა თუ სისხლისსამართლებრივი სასჯელის ღონისძიებანი ხულოგნობისათვის, გადახდებამდე მათი მოქმედებით გამოწვეული მატერიალური ზარალი.

18. დადგინდეს, რომ იმ პირებს, რომლებზეც ხულოგნური მოქმედება ჩაიდინეს, ადმინისტრაციულ თუ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემასთან ერთად, ან მათ მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენებასთან ერთად, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კოოპერატივებთან შეთანხმებით შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ მოუსპოს პრემიები წარმოებაში და არ მისცეს დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების შეღავათიანი საგზურები; მათ შეიძლება გადაუწიონ საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგი.

19. წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებს მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობაში შეიტანონ ცვლილებანი და დამატებანი ამ ბრძანებულების შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. კოლგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე

საქართველოს სსრ სახელმწიფო წყობილების ზოგიერთი თავისებურება 1921—1937 წლებში

ი. ფუტბარაძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ. დაიწყო ახალი ეპოქა მრავალტანჯული ქართველი ხალხის ისტორიაში. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით შეიქმნა პირობები საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისათვის, ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა დიდად იყო დამოკიდებული რუსეთის ფედერაციის გამოცდილების სწორად გამოყენებაზე. ითვალისწინებდა რა საქართველოს ისტორიული განვითარების თავისებურებებს, არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების სიძნელეებს, ვ. ი. ლენინი გადაჭრით გამოდიოდა საბჭოთა რუსეთის ნიმუშებისადმი ბრმა მიბაძვის წინააღმდეგ და ქართველი კომუნისტებისაგან მოითხოვდა „თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას“.¹ საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობდა ლენინის მითითებებით და შემოქმედებითად იყენებდა სოციალისტური რესპუბლიკების მიერ საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში მოპოვებულ გამოცდილებას, რთულ საშინაო და საგარეო ვითარებაში შეუდგა პროლეტარული სახელმწიფოს შექმნასა და განმტკიცებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებაც კი, მის შემდგომ განმტკიცებაც კი რომ აღარ ვილაპარაკოთ, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა ეროვნებებს შორის მენშევიკური რეჟიმის პერიოდში დანერგილი ურთიერთმტრობისა და უნდობლობის აღმოფხვრის, ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტის გარეშე. ადგილობრივმა კონკრეტულ-ისტორიულმა პირობებმა გამოიწვიეს ამ უაღრესად რთული და დახლართული საკითხის რამდენადმე თავისებურად გადაჭრა, ვიდრე ეს მოხდა რსფს რესპუბლიკაში. „საქართველომ — სერგო ორჯონიკიძის სიტყვებით რომ ვთქვათ — ეს საკითხი სასახელოდ გადაწყვიტა“.²

საქართველოს სსრ, რომელიც ამიერკავკასიის სფსრ მეშვეობით შედიოდა სსრ კავშირის შემადგენლობაში³, სახელმწიფო წყობილების მიხედვით, ისევე როგორც საბჭოთა რუსეთი, თვითონვე წარმოადგენდა ფედერაციულ გაერთიანებას: „საქართველოს რესპუბლიკა არის მუშებისა და მშრომელი გლეხობის

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 190. იხ. აგრეთვე გვ. 397-400.

² გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. 1, თბ., 1957, გვ. 279.

³ ეს გარემოება განპირობებდა საქართველოსა და რუსეთის რესპუბლიკების სხვადასხვა საქართველომდე მდგომარეობას საბჭოთა კავშირში, პირველი მათგანის სუვერენიტეტის უფრო მეტ შეზღუდულობას მეორესთან შედარებით, ვინაიდან საქართველოს სსრ მარტო საბჭოთა კავშირს კი არ გადასცემდა თავისი სუვერენული უფლებების გარკვეულ ნაწილს (როგორც ამას აკეთებდა რსფსრ), არამედ ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს სათანადო ორგანოებადაც.

სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც შენდება ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის საფუძველზე“ — ვკითხულობთ საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუციის მე-2 მუხლში. საქართველოს სსრ რესპუბლიკას მამინ „ყველაზე პატარა ფედერაციას“ უწოდებდნენ.¹ მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთეულებს ჰქონდათ მთელი რიგი თავისებურებანი, რომლებიც განასხვავებდნენ მათ რუსეთის ფედერაციის სუბიექტებისაგან, ხოლო, საბოლოო ჯამში, საქართველოს სსრ ფედერაციულ სახელმწიფოს — რუსეთის საბჭოთა ფედერაციისაგან. ქვემოთ სწორედ ასეთ თავისებურებებზე გვექნება საუბარი.

1. აფხაზეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა. 1931 წლამდე აფხაზეთი წარმოადგენდა სახელმეკრულებო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას; იგი განსაკუთრებული საკავშირო ხელმეკრულების საფუძველზე შედიოდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში (რუსეთის ფედერაციაში, როგორც ცნობილია. მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ეროვნული ოკრუგები ერთიანდებოდნენ).

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურა აფხაზეთში, განიხილეს საქართველოს, აჭარისა და აფხაზეთის პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების თათბირზე, რომელიც ჩატარდა ბათუმში 1921 წლის მარტის ბოლოს. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა სერგო ორჯონიკიძე. ბათუმის თათბირმა დაამყარა აფხაზეთის წარმომადგენელთა მოთხოვნა და დაადგინა, რომ აფხაზეთი „ცხადდება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად“.²

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ მენშევიკების ეროვნული პოლიტიკა იწვევდა ანტაგონიზმს საქართველოს ცალკეულ ხალხებს შორის. ეროვნული ცრურწმენების აღმოფხვრისა და მშრომელთა ნამდვილი კავშირის განმტკიცების ერთადერთ სწორ საშუალებას წარმოადგენდა ერთა თვითგამორკვევის უფლება. აქედან გამომდინარე მან 1921 წლის 21 მაისს სცნო დამოუკიდებელი აფხაზეთის სსრ შექმნა. ამასთან ერთად რევკომმა განაცხადა, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობის საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტდა ამ რესპუბლიკების საბჭოების პირველივე ყრილობები (საქართველოს სსრ რევკომის დეკლარაცია აფხაზეთის სსრ დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ).³

მაღე, 1921 წლის 28 მაისს, აფხაზეთის მშრომელთა წარმომადგენლების პირველმა ყრილობამ (იგი წინ უსწრებდა აფხაზეთის სსრ საბჭოების პირველ ყრილობას) გამოთქვა მტკიცე სურვილი უმჭიდროესი კავშირისა და ძმობისა საქართველოს მშრომელებთან, რომლებიც ძალზე ახლოს იყვნენ მათთან როგორც კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ეკონომიკური განვითარების დონით, ისე გეოგრაფიულადაც.⁴

¹ იხ. გ. ერემოვი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები, თბ., 1960, გვ. 300.

² Революционные комитеты Абхазии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921 г. — февраль 1922 г.). Сб. док. и мат., Сухуми, 1961, стр. 52.

³ Борьба за упрочение Советской власти в Грузии. Сб. док. и материалов (1921—1925 гг.), Тб., 1959, стр. 58—59.

⁴ Укрепление Советской власти в Абхазии. Сб. док. и материалов (1921 — 1925 гг.). Сухуми, 1957, стр. 51.

1921 წლის 16 დეკემბერს დაიდო საკავშირო ხელშეკრულება საქართველოსა და აფხაზეთის სსრესპუბლიკებს შორის. მხარეებმა, საერთო ინტერესების შესაბამისად, ურთიერთშორის დაამყარეს სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიური კავშირი. გაერთიანებულად გამოცხადდა 8 სახალხო კომისარიატი (სამხედრო, ფინანსებისა და სხვ.). საგარეო საქმეებს მთლიანად განაგებდა საქართველოს სსრ. ამიერკავკასიის ფედერაციაში აფხაზეთი უნდა შესულიყო საქართველოს მეშვეობით.¹

აფხაზეთის საბჭოების I ყრილობამ (1922 წლის 12—17 თებერვალი) ხელშეკრულება ორ მოძმე ხალხს შორის, მათი ინტერესებიდანვე გამომდინარე, სცნო სასიცოცხლო აუცილებლობად.²

აფხაზეთის სსრ სამართლებრივმა მდგომარეობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა საქართველოს სსრ პირველ და მეორე, სსრ კავშირის პირველ და აფხაზეთის სსრ 1927 წლის კონსტიტუციებში.

საქართველოს სსრ შემადგენლობაში აფხაზეთის სსრ სარგებლობდა უფრო ფართო უფლებებით, ვიდრე ავტონომიური რესპუბლიკა. აფხაზეთის სსრ განსაკუთრებულ სამართლებრივ მდგომარეობაზე მიგვიჩივებენ შემდეგი მონაცემები: საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუციაში მას დათმობილი ჰქონდა ცალკე (მე-5) თავი („მოკავშირე აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“); თავისი კონსტიტუციის ძირითადი საწყისების დადგენა, შეცვლა და შეფესება, ისევე როგორც აფხაზეთის სსრ ცაკის მიერ საბჭოების ყრილობებს შუა პერიოდში მასში შეტანილი ნაწილობრივი ცვლილებების საბოლოო დამტკიცება, აგრეთვე რესპუბლიკის საზღვრების შეცვლის საკითხის გადაწყვეტა შეადგენდა მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის სსრ საბჭოების ყრილობის გამგებლობის საგანს;³ აფხაზეთის სსრ ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები ეწყობოდნენ მისივე კონსტიტუციის საფუძველზე, ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები კი — საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე⁴; შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მიწათმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები მოქმედებდნენ საქართველოს სსრ შესაბამისი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად (ისინი მხოლოდ ცნობებს აწვდიდნენ ერთმანეთს თავ-თავიანთი მუშაობის შესახებ);⁵ აფხაზეთის სსრ ხელისუფლების უზენაეს ორგანოებს უფლება ჰქონდათ დამოუკიდებლად გამოეცათ საკანონმდებლო აქტები აფხაზეთის სსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ სახელმწიფო მმართველობის იმ დარგებში, რომლებიც არ ერთიანდებოდნენ საქართველოს სსრ შესაბამის დარგებთან. მათ შეეძლოთ გამოეცათ საკანონმდებლო აქტები საქართველოს კოდექსების, დეკრეტებისა და დადგენილებების გასავითარებლად და შესავსებად⁶. ასე მოიქ-

¹ Борьба за упрочение Советской власти в Грузии... Тб., 1959, стр. 80.

² Съезды Советов в документах. 1917—1936 гг., т. II, М., 1960, стр. 461.

³ აფხაზეთის სსრ 1927 წლის კონსტიტუცია, მ. 26.

⁴ საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუცია, მ. 74,86; აფხაზეთის სსრ 1927 წლის კონსტიტუცია, მ. 20.

⁵ საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუცია, მ. 87; აფხაზეთის სსრ 1927 წლის კონსტიტუცია, მ. 21.

⁶ საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუცია, მ. 88; აფხაზეთის სსრ 1927 წლის კონსტიტუცია, მ. 22.



ცა, მაგალითად, აფხაზეთის სსრ ცაკი. როცა მან 1925 წლის 1 აპრილიდან საქართველოს სსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის ნაცვლად სამოქმედოდ შემოიღო აფხაზეთის სსრ სსკ (ძალაში იყო საქართველოს სსრ 1928 წლის სსკ მიღებამდე). იგი, მცირე გამოჩაჯლის გარდა (იხ. მაგალითად, 146-ა, 166-ა და 166-ბ მუხლები, რომლებიც ადგილობრივ თავისებურებებს ასახავდნენ), იმეორებდა საქართველოს სსრ 1922 წლის სსკ მუხლების ნუმერაციასა და შინაარსს.¹

აფხაზეთის სსრ სამართლებრივი მდგომარეობის ერთ-ერთი თავისებურება ის იყო, რომ იგი, აჭარის ასსრ მსგავსად, სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის მე-15 მუხლის შენიშვნის ძალით, სსრ კავშირის ცაკის ეროვნებათა საბჭოში აგზავნიდა არა 5, როგორც სხვა რესპუბლიკები, არამედ 1 დეპუტატს (ავტონომიური ოლქის წარმომადგენლობითი ნორმა). უნდა ითქვას, რომ ამ შენიშვნაში დაშვებულია უზუსტობა — აფხაზეთი იწოდება ავტონომიურ რესპუბლიკად² ზემოხსენებული შენიშვნა (და მის მიერ დადგენილი შეზღუდვები) გაუქმდა 1925 წელს.³

სოციალიზმის მშენებლობის ინტერესები მოითხოვდნენ საქართველოსა და აფხაზეთის სს რესპუბლიკებს შორის უფრო მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის დამყარებას. 1930 წლის 17 აპრილს აფხაზეთის სსრ ცაკის სესიამ მიიღო დადგენილება „აფხაზეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ“, რომლითაც გადაწყდა აფხაზეთის შესვლა საქართველოს სს რესპუბლიკაში ასს რესპუბლიკის უფლებებით, რაც 1931 წლის 11 თებერვალს დაადასტურა სრულიად აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ. აფხაზეთის მშრომელთა თავისუფლად გამოხატული ნება-სურვილის შესაბამისად, სრულიად საქართველოს საბჭოების VI ყრილობამ იმავე წლის 19 თებერვალს გამოიტანა დადგენილება აფხაზეთის შესვლისა საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით და მასზე საქართველოს 1927 წ. კონსტიტუციის IV თავის (განსაზღვრავდა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სამართლებრივ მდგომარეობას) მოქმედების გავრცელების შესახებ.⁴

2. აჭარის სახელმწიფოებრივი მოწყობა. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 20 მარტს განაცხადა, რომ აჭარლებს მიეცემოდა ავტონომია.⁵ იმავე წლის 16 ივლისს გამოიცა რევკომის დეკრეტი საქართველოს სსრ-ში აჭარის ასსრ შექმნის შესახებ.⁶

ცნობილია, რომ საბჭოთა ავტონომია — ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ერთა თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკულად განხორციელების ერთ-ერთი ფორმა, აგებულია ეროვნულ-ტერიტორიულ პრინციპზე. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპაქტური უმრავლესობა სახელმწიფოს გარკვეული ტერიტორიის მოსახლე-

¹ История советского уголовного права, М., 1948, стр. 300.

² შდრ.: ი. გოგილაშვილი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უფლებრივი მდგომარეობა, თბ., 1960, გვ. 70, 73-75.

³ СЗ СССР, 1925, № 35, ст. 245.

⁴ Съезды Советов в документах. 1917—1937 гг., т. VI, М., 1964, стр. 557.

⁵ Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921 г. — март 1922 г.). Сб. док. и мат., Сухуми, 1963, стр. 65.

⁶ Борьба за упрочение Советской власти в Грузии, Тб., 1959, стр. 61—63.

ობისა, რომლის სახელიც მიეკუთვნება ავტონომიურ წარმონაქმნს, სხვა ეროვნებისა უნდა იყოს. აჭარის მკვიდრნი კი — აჭარლები—იგივე ქართველებია. მაშასადამე, აჭარის ასსრ არ იყო შექმნილი ეროვნული პრინციპის მიხედვით.

მკვლევარები, რომლებიც ეხებიან საკითხს იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა აჭარის ასსრ შექმნა, აღნიშნავენ, რომ აჭარლები დიდხანს იმყოფებოდნენ თურქი დამპყრობლების უღელქვეშ. თურქეთის ბატონობამ და ძალდატანებითმა ასიმილაციურმა, გათურქების პოლიტიკამ საბოლოო ჯამში გამოიწვია ქრისტიანობის შეცვლა მუსულმანური რელიგიით, ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა ნაწილობრივი გარდაქმნა თურქულ ყაიდაზე; ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, მაგრამ ვერ შესძლო აჭარელი ქართველების ეროვნული გადაგვარება, სრული გათურქება. გასაგებია, რომ არც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად შემსუბუქებულა აჭარელ მშრომელთა მძიმე ზვედრი; მენშევიკების მმართველობის პერიოდშიც არ გაუმჯობესებულა მათი ეკონომიკურ-კულტურული მდგომარეობა. ყოველივე ეს სწორია. ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა მართლაც იმოქმედეს აჭარის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის გადაწყვეტაზე, მაგრამ ისინი არ შეიძლება მივიჩნიოთ აჭარის ასსრ შექმნის გადაწყვეტ პირობად. ამ კითხვაზე პასუხი არაა გაცემული არც საქართველოს სსრ რევკომის დეკრეტში აჭარის ასსრ შექმნის შესახებ.

საქართველოს ეროვნული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნისა და განვითარების ისტორიის საკითხებზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია რკპ(ბ) XII ყრილობაზე გამოთქმულმა მოსაზრებამ იმის შესახებ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთელი აღმოსავლეთისათვის კომუნისტური პარტიის მიერ აჭარაში განხორციელებულ ეროვნულ პოლიტიკას. „თუ ჩვენ უკრაინაში დავუშვებთ მცირე შეცდომას (ეროვნულ საკითხში — ი. ფ.),—აღნიშნავედა ყრილობაზე ი. ბ. სტალინი,—ეს ისე საგრძნობი არ იქნება აღმოსავლეთისათვის. ხოლო საქმარისია ერთი-მცირე შეცდომა ჩავიდინოთ პატარა ქვეყანაში, აჭარისტანში (120 ათასი მცხოვრები), და ეს გამოხმაურებას პოვებს თურქეთში, გამოხმაურებას პოვებს მთელ აღმოსავლეთში, ვინაიდან თურქეთი აღმოსავლეთთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული“¹. ეს მიუთითებდა საგარეო-პოლიტიკური მომენტების დიდ როლზე აჭარაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის, მისთვის ავტონომიური უფლებების მინიჭების საქმეში. ამასვე ადასტურებენ რსფსრ-ისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მიერ თურქეთთან დადებული ხელშეკრულებანი.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადებისას საბჭოთა რუსეთი იძულებული იყო დათანხმებოდა თავისი ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანას ბათუმის ოლქიდანაც და ეკისრა ვალდებულება, რომ არ ჩაეროდა ამ ოლქის სახელმწიფო-სამართლებრივი და საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობების ორგანიზაციაში; მოსახლეობას უფლება ეძლეოდა დაემყარებინა ახალი წესწყობილება მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი — თურქეთთან შეთანხმებით.² ბათუმის ოლქის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო მისი მოსახლეობის ნების გამოვლინებით. მაგრამ თურქეთის ჯარებმა ხელშეკრულების დადებისთანავე დაიკავეს ოლქი და მას „მიუყენეს სამხედრო ოკუპაციის რეჟი-

¹ იხ. ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 307.

² Документы внешней политики СССР, М., 1957, т. I стр. 121.



მი, რომელსაც თან ახლდა დაუშვებელი ძარცვა და ძალადობა მშვიდობიანი მოსახლეობისადმი“.¹

1918 წლის 13 ნოემბერს გაუქმდა ბრესტ-ლიტოვსკის „ძალადობისა და ძარცვის“ ხელშეკრულება; 1921 წლის 16 მარტს კი მოსკოვში ხელი მოაწერეს სამეგობრო ხელშეკრულებას რსფსრ და თურქეთს შორის. თურქეთი გარკვეული პირობებით თანხმდებოდა დაეთმო საქართველოსათვის სიუზერენიტეტი ნავსადგურ და ქალაქ ბათუმზე და ტერიტორიაზე, რომელიც შეადგენდა ბათუმის ოლქის ნაწილს. ერთ-ერთი პირობა ითვალისწინებდა, რომ ზემოაღნიშნული ტერიტორიების მოსახლეობა „ადმინისტრაციულ მიმართებაში ისარგებლებდა ფართო ადგილობრივი ავტონომიით“, რომელიც უზრუნველყოფდა თითოეული თემის კულტურულ და რელიგიურ უფლებებს“ (ხაზი ჩვენია—ი. ფ.).² ამ ხელშეკრულების პირობები დაადასტურა ყარსის 1921 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულებამ, რომელიც დაიდო ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის რსფსრ მონაწილეობით.³

როგორც ვხედავთ, აშკარაა სავარეო-პოლიტიკური ფაქტორის, კერძოდ კი — საბჭოთა რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის არსებულ ურთიერთობათა გადამწყვეტი როლი აჭარის სახელმწიფოებრივი მოწყობის საქმეში.

აჭარის ასსრ სამართლებრივი მდგომარეობის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1925 წლამდე ეროვნებათა საბჭოში აგზავნიდა 1 წარმომადგენელს.

განსხვავებით რსფსრ-ში შემავალი ასს რესპუბლიკებისაგან, რომელთა კონსტიტუციებს ამტკიცებდა მხოლოდ სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობა, აჭარის ასსრ კონსტიტუცია უნდა წარდგენოდა დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცაკს, ხოლო საბოლოოდ დასამტკიცებლად — სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობას⁴. ცაკის ინსტანცია მიუთითებს იმაზე, რომ კონტროლი უფრო ოპერატიული იყო საქართველოს სსრ მხრივ.

3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა საქართველოს სსრ-ში სრულიად საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს დეკრეტით 1922 წლის 20 აპრილს.⁵

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამართლებრივი მდგომარეობა მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა. სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი „თავისი წყობით და უფლებამოსილებით უფრო ავტონომიურ რესპუბლიკას მოგვაგონებდა, ვიდრე ავტონომიურ ოლქს“.⁶

1 Документы внешней политики СССР, М., 1957, т. I, стр. 490.

2 იქვე, ტ. III, 1959, გვ. 598.

3 იქვე, ტ. IV, 1960, გვ. 423.

4 რსფსრ 1925 წლის კონსტიტუცია, მ. 44; საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუცია, მ. 75.

5 საქართველოს სსრ კანონთა... ქრონოლოგიური კრებული (1921—1940 წწ.), ტ. 1, თბ., 1959, გვ. 24-28.

1956 წ. რუსულად გამოცემულ ორტომიან „იურიდიულ ლექსიკონში“ (იხ. „Автономная область“) სამხრეთ ოსეთის ათ შექმნის თარიღად შეცდომით აღნიშნულია 1923 წლის 20 აპრილი.

6 იხ. უ. ზახტაძე. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა. თსუ შრომები, ტ. 89, 1960, გვ. 69.

უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს სახელმწიფო ორგანოების სისტემა. ამ მხრივ სამხრეთ ოსეთი მხოლოდ იმით განსხვავდებოდა აჭარის ასსრგან, რომ ოლქში არ დაარსებულა განსაკუთრებული სახკომსაბჭო; სახალხო კომისარიატები მოქმედებდნენ, როგორც ოლქის ცაკის განყოფილებანი.¹

ავტონომიური ოლქების ცაკებისა და სახალხო კომისარიატების გაუქმებას მოითხოვდა სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1925 წლის 27 ნოემბრის ცირკულარი. მაგრამ სამხრეთ ოსეთში, პოლიტიკური მოსაზრებების გამო, უმაღლესი ორგანოების არსებული სისტემა კიდევ დიდხანს შემორჩა. საქმე ის იყო, რომ აღნიშნული ცირკულარის მოთხოვნის განხორციელებას მაშინდელ პირობებში შეიძლებოდა გამოეწვია ეროვნულ ურთიერთობათა გამწვავება: სამხრეთ ოსეთში ამ ღონისძიებას ბევრი განიხილავდა, როგორც ოსი მშრომელების პოლიტიკური უფლებების შელახვას, მათი ავტონომიის შეზღუდვასა და ლიკვიდაციასაც კი.² მხოლოდ სრულიად საქართველოს საბჭოების VI ყრილობის (1931 წლის 15—19 თებერვალი) შემდეგ შეიცვალა სახალხო კომისარიატები ცაკის განყოფილებებითა და სამმართველოებით. ცაკმა კი იარსება საქართველოს 1937 წლის კონსტიტუციის მიღებამდე, რის შემდეგაც მისი ადგილი დაიკავა სამხრეთ ოსეთის ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა.

აღსანიშნავია სამხრეთ ოსეთის თუმცა შეზღუდული, მაგრამ მაინც კონსტიტუციური უფლება კანონმდებლობის დარგში. ავტონომიური ოლქის საკანონმდებლო კომპეტენცია იმაში გამოიხატებოდა, რომ მის ცაკს შეეძლო საქართველოს სსრ კანონმდებლობის გასავითარებლად გამოეცა დადგენილებები, რომლებიც უნდა დაემტკიცებია სრულიად საქართველოს ცაკს ან მის პრეზიდიუმს.³

მაშინ როდესაც რსფსრ-ში შემავალი ავტონომიური ოლქების დებულებებს ამტკიცებდა მხოლოდ სრულიად რუსეთის ცაკი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დებულება, აჭარის ასსრ კონსტიტუციის მსგავსად, უნდა წარდგენოდა დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცაკს, საბოლოოდ დასამტკიცებლად კი — სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობას.⁴ ესეც იმაზე მიგვიბრუნებს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი თავისი სამართლებრივი მდგომარეობით ავტონომიურ რესპუბლიკას ემსგავსებოდა.

¹ იხ.: დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“, მ. 4, შენ. 1; საქართველოს სსრ 1927 წ. კონსტიტუცია, მ. 79.

² У. С. Бахтадзе, К вопросу истории образования Юго-Осетинской Автономной области. Автореферат диссертации на соискание уч. ст. канд. юрид. наук. Тб., 1962, стр. 22.

³ საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუცია, მუხ. 82.

⁴ რსფსრ 1925 წლის კონსტიტუცია, მ. 44, შენ.; საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუცია, მ. 75.

საქართველოს სსრ სახელმწიფო წყობილების ზემოაღნიშნულ თავისებუ-
რებათა ეს მოკლე, საყურნალო სტატიის ფარგლებში გადმოცემული, განხილ-
ვაც კი აშკარად ცხადყოფს, რომ ქართველმა კომუნისტებმა, გაითვალისწინეს
რა ვ. ი. ლენინის პირდაპირი მითითებები, ბრმად კი არ გადმოიღეს საბჭოთა
რუსეთის სათანადო გამოცდილება, არამედ მოფიქრებულად შეუფარდეს იგი
ადგილობრივი „კონკრეტული პირობების სხვაობას“, გამოიყენეს მისი „სული,
აზრი, გაკვეთილები“. ლენინის ცნობილი გამოთქმის პარაფრაზირება რომ მო-
ვახდინოთ, მათ შეძლეს შეექმნათ ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუა-
ზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუში.

საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა საკანონმდებლო რეგლამენტაციის შესახებ

თ. შავგულიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

1. საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათაგან საქარ-
თველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მხოლოდ აუცილე-
ბელ მოგერიებას (მე-15 მუხ.) და უკიდურეს აუცილებლობას (მე-16 მუხლი).
ანალოგიურად არის გადაწყვეტილი ეს საკითხი სხვა მოკავშირე რესპუბლიკე-
ბის სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც. გამონაკლისს წარმოადგენს
უკრაინის სსრ და უზბეკეთის სსრ სს კოდექსები, სადაც ზემოთ აღნიშნულ გა-
რემოებებთან ერთად გათვალისწინებულია „დამნაშავის დაკავება“ (იხ. უკრაინის
სსრ სსკ-ის მე-15 მუხლის მე-3 ნაწილი და უზბეკეთის სსრ სსკ-ის მე-13 მუხლის
ქე-3 ნაწილი)¹.


821.01

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორია საზოგადოებრივი საშიშროების
გამომრიცხველ გარემოებათა ჯგუფს ვაცილებით უფრო ფართოდ წარმოგვიდ-
გენს. მასში აუცილებელ მოგერიებასა და უკიდურეს აუცილებლობასთან ერთად
ჩვეულებრივად შეაქვთ: „პროფესიული ფუნქციის განხორციელება“, „საფელ-
ღებულო ბრძანების შესრულება“, „დაზარალებულის თანხმობა“, „სამსახურე-
ბრივი ვალდებულების შესრულება“, „კანონის შესრულება“, „საკუთარი უფ-
ლების განხორციელება“ და „დამნაშავის დაკავება“².

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გა-
რემოებათა ჯგუფის მოცულობის განსაზღვრის საკითხში საბჭოთა კრიმინა-
ლისტიკებს შორის არ არის ერთსულოვნება. ასე, მაგალითად, პროფ. ა. ტრანინი
წინააღმდეგია საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა
ჯგუფში კანონის შესრულების შეტანისა. მისი აზრით კანონის შესრულების
დაუსჯელობის პრინციპის აღიარება, მაშინ, როდესაც სინამდვილეში დასასჯე-
ლი შეიძლება იყოს კანონის შეუსრულებლობა, თეორიულად უსწორო და პო-
ლიტიკურად მავნეა. საბჭოთა კანონით აღიარებული სასარგებლო და აუცილე-

¹ იგივე შეიძლება ითქვას საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართ-
ლის კანონმდებლობაზე. აქაც, როგორც საერთო წესი, სისხლის სამართლის კოდექსები საზოგა-
დოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათაგან ითვალისწინებენ აუცილებელ მოგე-
რიებას და უკიდურეს აუცილებლობას და მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის სსრ სსკ ითვალისწინებს
დამატებით „იარაღის მართლზომიერ გამოყენებას“ (§ 15), ხოლო ბულგარეთის სახალხო დემო-
კრატიული რესპუბლიკის სსკ „ბრძანების შესრულებას“ (მე-10 მუხ.).

² იხ. Уголовное право, Общ. ч. М., 1938, стр. 285; Уголовное право, Общ. ч., М., 1948, стр. 309; Уголовное право, Общ. ч., Л. 1960, стр. 336 და სხვ. ასევე ფართოდ არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა ჯგუფი საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის თეორია-
ში. იხ. Л. Шуберт, об общественной опасности преступного деяния. М., 1960, стр. 99—128.



ბელი მოქმედების შესრულებამ არასდროს არ შეიძლება წამოჭრას საკითხი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ¹. არსებითად იგივე აზრს გამოთქვამს პროფ. ი. სლუცკი².

პროფ. ა. ტრაინინი წინააღმდეგი იყო აგრეთვე ამ ჯგუფში ბრძანების შესრულების შეტანისა. იქ სადაც ლაპარაკია კანონიერი ბრძანების (ან განკარგულების) შესრულებაზე, წერდა პროფ. ა. ტრაინინი — მისი შესრულება წარმოადგენს საზოგადოებრივად სასარგებლოს. იგი ამიტომ არავითარ კავშირში არ არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებთან³.

პროფ ა. ტრაინინს არ შეაქვს საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა ჯგუფში აგრეთვე პროფესიული ფუნქციის შესრულება. მისი აზრით ზოგადად პროფესიული ფუნქციის შესრულების, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების აღიარება საფუძველს არის მოკლებული. პროფ. ა. ტრაინინის აზრით ამის საფუძველი თვით პროფესიული ფუნქციის შესრულების ხასიათში ძვეს, რადგან არ შეიძლება აკრძალული იყოს ის, რაც ნებადართულია სახელმწიფოს მიერ⁴.

არსებითად იგივე შეხედულებისაა პროფ. ნ. დუტმანოვი. მისი აზრით პროფესიული ფუნქციის შესრულება არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოება, რადგან იგი არ შეიძლება იყოს მართლწინააღმდეგი თვით მისი შესრულების მომენტში⁵.

აღსანიშნავია, რომ 1964 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში იმ გარემოებების ჯგუფში, რომლებიც გამომრიცხავენ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას შეტანილია მხოლოდ აუცილებელი მოგვრიება და უკიდურესი აუცილებლობა⁶.

როგორც ვხედავთ საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში არ არის ერთიანი აზრი იმის შესახებ თუ კონკრეტულად რა გარემოებები უნდა იქნეს შეტანილი იმ გარემოებათა ჯგუფში, რომლებიც გამომრიცხავენ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას.

არ არის აგრეთვე ახსნილი თუ რატომ არეგულირებს საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა მხოლოდ ერთ ნაწილს.

2. საერთო რამაც უნდა განსაზღვროს ამა თუ იმ გარემოების საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა ჯგუფში შეტანის საჭიროება, არის მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

სწორედ ამ ნიშნით ემიჯნება აუცილებელი მოგვრიება და უკიდურესი აუცილებლობა საჭარბველს სსრ სსკ-ში გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს, რომლებიც თუმცა არ იწვევენ სისხლის სამართ-

¹ А. Н. Трайнин, *Общее учение о составе преступления*, М., 1957, стр. 332.

² И. И. Слуцкий, *Обстоятельства исключющие уголовную ответственность*, Л., 1956, стр. 81.

³ А. Н. Трайнин, *цит. соч.*, стр. 336.

⁴ А. Н. Трайнин, *Цит. соч.*, стр. 335.

⁵ Н. Д. Дурманов, *Понятие преступления*, М., 1947, стр. 205.

⁶ Советское уголовное право, Часть общ., 1964, М., стр. 149—150.

ლის პასუხისმგებლობას, მაგრამ ინარჩუნებენ საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს.

საყურადღებოა, რომ კანონმდებელი საქართველოს სსრ სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში აღწერილი შემთხვევების დაუსჯელობის საფუძვლად აცხადებს სწორედ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროების არარსებობას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული შემთხვევები არ შეიძლება შეტანილ იქნან საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა ჯგუფში შემდეგი მოსაზრების გამო:

საქართველოს სსრ სსკ-ის მე-8 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ჩვენის აზრით, კანონმდებელი გულისხმობს ქმედობაში არა საერთოდ საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობას, არამედ საზოგადოებრივი საშიშროების იმ მინიმუმის არარსებობას, რომელიც აუცილებელია დანაშაულის შემადგენლობის აღმოცენებისათვის. ასეთ შემთხვევაში მოქმედების საზოგადოებრივი მნიშვნელობა (მაგ. მოქალაქის მიერ დახლიდან ერთი კილოფი პაპიროსის მოპარვის დროს), ნულს არ უდრის, იგი საზოგადოებრივად საზიანოა, მაგრამ შეიცავს იმდენად მცირე საზოგადოებრივ საშიშროებას, რომ გაუმართლებელს ხდის მისი ჩამდენის წინააღმდეგ სისხლის სამართლის რეპრესიების გამოყენებას. ასეთ შემთხვევებში პირის უდანაშაულოდ ცნობა სრულიადაც არ გამორიცხავს მისი საზოგადოებრივი ვაკაცების შესაძლებლობას, ვინაიდან მისი მოქმედება ამორალურია, არ არის გამორიცხული, რომ ამგვარი მოქმედება მართლწინააღმდეგეც იყოს (არასისხლისსამართლებრივი ვაგებით)².

საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა ჯგუფში, ჩვენის აზრით, არ უნდა იქნეს შეტანილი აგრეთვე დაზარალებულის თანხმობა. ეს გარემოება მხოლოდ მაშინ გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, როდესაც თანხმობა ეხება იმ სიკეთეს, რაც პირის თავისუფალ ვაგებლობაშია. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველს ხშირად წარმოადგენს არა მოქმედების არასაშიში, არასაზიანო ხასიათი, არამედ ის გარემოება, რომ დაზარალებულის თანხმობა თავისთავად გამორიცხავს დანაშაულის ამა თუ იმ შემადგენლობის, სახეზე არსებობის შესაძლებლობას. მაგალითად, არ შეიძლება ყაჩაღობის, ქურდობის, თავისუფლების აღკვეთის, გაუპატიურების ან სხვა ამგვარი დანაშაულის შემადგენლობის არსებობა, თუ სახეზეა დაზარალებულის თანხმობა. დაზარალებულის თანხმობა ასეთ შემთხვევებში გვევლინება პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად, თუმცა ყოველთვის შეიძლება არ გამორიცხავდეს ქმედობის მავნე, ამორა-

¹ მხედველობაში ვვაქვს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ისეთი გარემოებანი, როგორცაა: არაზარალებლობა (საქართველოს სსრ სსკ მე-3 მუხ.), არასრულწლოვანება (საქართველოს სსრ სსკ მე-12 მუხ.), შეურაცხადობა საქართველოს სსრ სსკ მე-13 მუხ.), სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის ვასვლა (საქართველოს სსრ სსკ 49-ე მუხ.) და სხვა.

² საქართველოს სსრ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების ამგვარი შეფასება დადასტურებას პოულობს სასამართლო პრაქტიკაში. ასე მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი 1959 წლის 19 ივნისის დადგენილებაში მიუთითებს, რომ სასამართლოებმა ხშირად უნდა გამოიყენონ პრაქტიკაში საზოგადოებრიობისათვის ვანსახილველად მართლდარღვევის ისეთი საქმეების ვადაცემა, რომლებიც მცირე საზოგადოებრივ საშიშროებას შეიცავენ. ასეთი საქმეები საფუძველების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად შეწყვეტილ უნდა იქნან. (იხ. Бюллетень Верховного Суда СССР, 1959, № 4, стр. 6—7).

ლურ ხასიათს. ასე, მაგალითად, დაზარალებულის თანხმობა, როდესაც ვთქვათ ქალი ნებდება თანამდებობის პირს იძისათვის, რომ მისგან მიიღოს სამსახური, ბინა ან სხვა რაიმე ამგვარი, წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას, თუმცა ატარებს საზოგადოებრივად საშიშ და შეიძლება მართლწინააღმდეგ ხასიათსაც კი. (იგულისხმება არასისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა).

ამგვარად, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა ჯგუფში არ შეიძლება შეტანილ იქნან გარემოებანი, რომლებიც თუმცა გამორიცხავენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მაგრამ შეიძლება ატარებდნენ მანვნი, ამორალურ ანდა მართლწინააღმდეგ (არასისხლისსამართლებრივი გაგებით) ხასიათს.

საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა ჯგუფში დამოუკიდებელ გარემოებათა სახით არ უნდა იქნას აგრეთვე შეტანილი კანონის შესრულება და საკუთარი უფლების განხორციელება¹. ეს ცნებები მეტისმეტად ფართოა. მათში შეიძლება შევიდეს საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი სხვა გარემოებები, ასე, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების და უკიდურესი აუცილებლობის უფლების განხორციელება სწორედ საკუთარი უფლების განხორციელებას წარმოადგენს, ხოლო სამსახურებრივი ვალდებულების შესრულება, ან პროფესიული ფუნქციის შესრულება. ხშირად სწორედ კანონის შესრულებაში გამოიხატება ამასთან ერთად კანონის შესრულებას და საკუთარი უფლების განხორციელებას მართლზომიერების იმდენი პირობა გააჩნია, რამდენი კანონი და უფლებაც არსებობს. ისინი გაბნეულნი არიან სამართლის თითქმის ყველა დარგში და მათთვის საერთო მნიშვნელის მოძებნა შეუძლებელია.

კანონის შესრულება და საკუთარი უფლების განხორციელება ყოველთვის მართლზომიერია, მაგრამ ამ გარემოების სპეციალური საკანონმდებლო ფიქსაცია ზედმეტი უნდა იყოს. ქმედობას მართლზომიერად თვით კანონი აცხადებს და მოვთხოვით კანონს კიდევ სპეციალურად აღიაროს მის მიერ მართლზომიერად გამოცხადებული ქმედობის არამართწინააღმდეგობა, ცარიელი კარის მტკრევა იქნებოდა და სხვა არაფერი.

3. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა ჯგუფში შეიძლება შეტანილ იქნან მხოლოდ ისეთი გარემოებანი, რომლებიც არა თუ არ არიან მართლწინააღმდეგნი, არამედ გამორიცხავენ მის საშიშ, ამორალურ ხასიათსაც კი.

ასეთი მოქმედებანი უამრავია. რასაკვირველია, ყველა ისინი არ შევლენ საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა ჯგუფში. სამართალს საზოგადოებრივად არა საშიშ მოქმედებათაგან აინტერესებს მხოლოდ ისეთი, რომელიც თავისი გარეგნული ნიშნებით ემთხვევა დანაშაულის ამა თუ იმ შემადგენლობას და რომ კანონმდებლის მიერ მისი მართლზომიერად გამოცხადება არა, იგი შეიძლება გამხდარიყო სასჯელის ობიექტი.

სწორედ ასეთ გარემოებად გვევლინებიან აუცილებელ მოგერიებასა და უკიდურეს აუცილებლობასთან ერთად პროფესიული ფუნქციის განხორციელებ-

¹ იგულისხმება საკუთარი უფლების დადგენილი წესით განხორციელება, რადგან ასეთი უფლების განხორციელება დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ დანაშაულს წარმოადგენს (იხ. საქ. სსრ სსკ 220-ე მუხ.).

ბა, კანონიერი ბრძანების შესრულება და სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულება.

ამ გარემოებებში ჩადენილი ქმედობა ფორმალურად ხშირად ემთხვევა დანაშაულის ამა თუ იმ შემადგენლობის ობიექტურ ნიშნებს (ქირურგიული ოპერაცია — სხეულის დაზიანებას, მილიციის მუშაკის მიერ კანონიერი ვანაჩენის სისრულეში მოყვანა — თავისუფლების აღკვეთას (და სხვ.), მაგრამ არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, რადგან გამოირიცხავეს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული ფუნქციის განხორციელება სავალდებულო ბრძანების შესრულება და სამსახურებრივი ვალდებულების შესრულება წარმოადგენენ საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებებს, ისინი თავის საქანონმდებლო რეგლამენტაციის ხასიათით მაინც განსხვავდებიან აუცილებელი მოვერიებისა და უკიდურესი აუცილებლობისაგან.

საბჭოთა სოციალისტური მართლწესრიგი ერთიანია და თუკი სამართლის ერთმა დარგმა ესა თუ ის მოქმედება გამოაცხადა მართლზომიერად, იგი აღარ შეიძლება სამართლის სხვა დარგმა მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნიოს. პროფესიული ფუნქციის განხორციელება, სავალდებულო ბრძანების შესრულება და სამსახურებრივი ვალდებულების შესრულება მართლზომიერად არის გამოცხადებული ადმინისტრაციული სამართლის მიერ და ადმინისტრაციული სამართალი ადგენს მათ მართლზომიერების პირობებს. ამ პირობების დარღვევა, როგორც წესი იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი კი ისმება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოქმედება, არა მარტო არღვევს ადმინისტრაციული სამართლით დადგენილ მართლზომიერების ამა თუ იმ პირობას, არამედ ამავე დროს ემთხვევა დანაშაულის რომელიმე შემადგენლობას¹.


ამგვარად, პროფესიული ფუნქციის განხორციელება, სავალდებულო ბრძანების შესრულება და სამსახურებრივი ვალდებულების შესრულება წარმოადგენენ ადმინისტრაციული სამართლის რეგლამენტირების საგანს და ბუნებრივია ისინი სისხლის სამართლის კანონით რეგლამენტირებას აღარ მოითხოვენ.

4. გარკვეული თავისებურებით ხასიათდება მოქალაქის მიერ დამნაშავის დაკავება. ეს გარემოება უდაოდ წარმოადგენს საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებას.

უკრაინის სსრ სსკ-ის მე-15 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად — „მოქმედება, რომელიც ჩადენილია დაზარალებულის ან სხვა პირის მიერ უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავის დაკავების და შესაბამის ხელისუფლების ორგანოში მისი წარდგენის მიზნით, როგორც მართლზომიერი უთანაბრდება აუცილებელ მოვერიებას, თუკი იგი აუცილებელი იყო დაკავებისათვის და შეესაბამებოდა ხელყოფის საშიშროებას და დაკავების ვითარებას“.

დამნაშავის დაკავების მართლზომიერებაზე მიუთითებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი. პლენუმის 1956 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მოქმედება, რომელიც განხორციელებულია დაზარალებულის ან სხვა პირის მიერ დამნაშავის დაკავებისას, მისი შესაბამისი

¹ აღსანიშნავია, რომ აუცილებელი მოვერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის მართლზომიერების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში ღგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი.



ხელისუფლების ორგანოში წარდგენის მიზნით, როგორც მართლზომიერი უთანაბრდება აუცილებელ მოგერიებას¹.

თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობით დამნაშავეს დაკავების აუცილებელ მოგერიებასთან გათანაბრება ეჭვს არ იწვევს. იგივე არ შეიძლება ითქვას საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებაზე, რომლის მიხედვით დამნაშავეს დაკავება აუცილებელი მოგერიების სახესხვაობას წარმოადგენს².

როგორც ცნობილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა წყდება საზოგადოებრივად საშიში თავდასხმის შეწყვეტასთან ერთად. ამიტომ ზომები, რომლებიც მიღებულია დამნაშავეს შესაპყრობად, რომელიც სამართლით დაცულ ობიექტს თავს აღარ ესხმის არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც აუცილებელი მოგერიების აქტი.

გარდა ამისა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობას წარმოშობს არა ყოველგვარი საზოგადოებრივად საშიში ხელყოფა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც ჰქმნის სამართლით დაცულ ობიექტის უშუალო და უცალობელი მატერიალური ზიანის მიყენების საშიშროებას. დამნაშავეს მოქმედება კი, რომელიც ცდილობს, გადაეცეს მართლმსაჯულებას, არ ატარებს ამგვარ ხასიათს და იგი ვერ წარმოშობს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობას.

მოქალაქის მიერ დამნაშავეს დაკავებისას დაცვის ობიექტი, აუცილებელი მოგერიებისაგან განსხვავებით, არ ემთხვევა დანაშაულის ობიექტს, რადგან ამ ობიექტის წინააღმდეგ ხელყოფა უკვე შეწყვეტილია. დამნაშავე, რომელიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ ცდილობს მიიმალოს, ამ მოქმედებით ხელყოფს მართლმსაჯულების ორგანოების ნორმალურ მუშაობას. ამიტომ დამნაშავეს დაკავებისას დაცვის ობიექტი არის მართლმსაჯულების ორგანოების ნორმალური მუშაობა.

აუცილებელი მოგერიებისაგან განსხვავებით დამნაშავეს დაკავებისას დასაშვები ზიანის მიყენების ოდენობა მთლიანად არის დამოკიდებული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე და დამნაშავეს საშიშროებაზე. დამნაშავეს მოკლად არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დამნაშავეს დაკავების მართლზომიერი აქტი, რადგან დამნაშავესათვის სიცოცხლის მოსპობა არ შეიძლება ემსახურებოდეს მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებს.

მოქალაქის მიერ დამნაშავეს დაკავების მართლზომიერების პირობების ეს არასრული ჩამოთვლაც კი ნათლად გვიჩვენებს, რომ მოქალაქის მიერ დამნაშავეს დაკავება წარმოადგენს საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ დამოუკიდებელ გარემოებას, რომელიც მართლზომიერების თავისებური პირობებით ხასიათდება³.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მოქალაქის მიერ დამნაშავეს დაკავება, როგორც საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოება, არც საკავშირო და არც საქართველოს სსრ კანონით რეგლამენტირებული არ არის. ეს კი, ჩვენის

¹ იხ. Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1963, М., 1964, стр. 185.

² იხ. მაგ. М. И. Якубович, Вопросы теории и практики необходимой обороны, М., 1961, стр. 185.

³ დაწვრილებით ამ საკითხის გარშემო იხილეთ: Т. Шавгулидзе, Право гражданства на задержание преступника следует регламентировать законом, Советская юстиция, 1966, № 2, стр. 9.

აზრით, საკანონმდებლო ხარვეზი, და უწინარეს ყოვლისა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ხარვეზია, რადგან მოქალაქის მიერ დამნაშავეის დაკავების სპეციფიკა, მისი სიახლოვე აუცილებელ მოგერიებასა და უკიდურეს აუცილებლობასთან, აგრეთვე ის გარემოება, რომ დამნაშავეის დაკავების მართლზომიერების პირობები ნაწილობრივ რეგულირებულია სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის და ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით, გვაფიქრებინებს, რომ ეს გარემოება რეგლამენტირებული უნდა იყოს სწორედ სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ. აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზის შევსება აუცილებელია, რადგან მოქალაქის მიერ დამნაშავეის დაკავების მართლზომიერად გამოცხადება და რაც მთავარია მისი მართლზომიერების პირობების საკანონმდებლო წესით დადგენა უთუოდ ხელს შეუწყობს, როგორც სასამართლო პრაქტიკის სწორად წარმართვას, ისე დანაშაულის წინააღმდეგ მოქალაქეთა ბრძოლას.

5. ამგვარად, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათაგან სისხლის სამართლის კანონის რეგლამენტირების საგანს, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა და მოქალაქის მიერ დამნაშავეის დაკავება. ეს გამომდინარეობს თვით ამ გარემოებათა სპეციფიკიდან. კერძოდ იქიდან, რომ უფლებები, რომლებიც ამ გარემოებათა მართლზომიერებიდან გამომდინარეობენ საერთო მოქალაქეობრივი უფლებებია, მათ განხორციელებას სპეციალური სუბიექტები არ ესაჭიროება და ამდენად ამ გარემოებათა მართლზომიერების პირობები არ უნდა იყოს საუწყებო ადმინისტრაციული აქტების რეგულირების საგანი.

პირიქით საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი ისეთი გარემოებანია, როგორცაა პროფესიული ფუნქციის განხორციელება, სავალდებულო ბრძანების შესრულება და სამსახურებრივი ვალდებულების შესრულება—სპეციალურ სუბიექტებს მოითხოვს. უფლებები, რომლებიც ამ გარემოებათა მართლზომიერებიდან გამომდინარეობენ, მხოლოდ სპეციალურ, კანონით განსაზღვრულ სუბიექტთა წრეს ეკუთვნის. ეს წრე განისაზღვრება საუწყებო ადმინისტრაციული აქტებით. ასეთივე აქტებით დგინდება ამ სუბიექტთა მოქმედების მართლზომიერების პირობები. ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს გარემოებანი ადმინისტრაციული სამართლის რეგლამენტირების საგანს წარმოადგენენ.

დანაშაულის ჩამდენი აღკოპოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის შესახებ

ა. გაბიანი

აღკოპოლისა და სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენება იწვევს პიროვნების ინტელექტუალურ და ფიზიკურ დეგრადაციას, ამ ნივთიერებებისადმი ორგანიზმის ავადმყოფურ მიჩვევას. ამგვარმა მიჩვევამ ზოგ შემთხვევაში შეიძლება ისეთ ხარისხს მიაღწიოს, როდესაც სუბიექტი კარგავს უნარს თავი შეიკავოს აღკოპოლის ან სხვა ნარკოტიკების მიღებისაგან (დიფსომანია). მაგრამ არა მხოლოდ დიფსომანიის დროს, რაც პრაქტიკაში არც თუ ისე ხშირად გვხვდება, არამედ აღკოპოლიზმისა და ნარკომანიის სხვა უფრო მსუბუქ შემთხვევებშიც პიროვნებას შეიძლება არ სურდეს ან მეტნაკლებად არ შესწევდეს უნარი თავი დააღწიოს ამ მანკიერ ჩვევას.¹ მსგავს შემთხვევებში აღკოპოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს იძულებითი მკურნალობა.

ჩვენს ქვეყანაში აღკოპოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობა ხორციელდება როგორც სისხლის სამართლის, ისევე ადმინისტრაციული სამართლის წესით. ამ სტატიაში განხილულ იქნება მხოლოდ იმ აღკოპოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის საკითხი, რომლებმაც ჩაიდინეს ესა თუ ის დანაშაული და პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით დანაშაულის ჩამდენ აღკოპოლიკებსა და ნარკომანებს სასჯელის ღონისძიებებთან ერთად შეიძლება შეეფარდოთ იძულებითი მკურნალობა, რომელიც უნდა განხორციელდეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ან სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებებში.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები არაერთგვაროვნად სწევდნენ დანაშაულის ჩამდენი აღკოპოლიკებისა და ნარკომანებისათვის იძულებითი მკურნალობის ღონისძიებების შეფარდების საკითხს. ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ეს საკითხი არ არის სათანადო სიზუსტით გადაწყვეტილი.

მაგალითად, უზბეკეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის II ნაწილში ნათქვამია, რომ დანაშაულის ჩამდენ ქრონიკულ აღკოპოლიკებსა და ნარკომანებს სასჯელის ღონისძიებათა გარდა სასამართლოს მიერ ეფარდებათ იძულებითი მკურნალობა. კოდექსი არ იძლევა რაიმე სხვა მითითებას დანაშაულის ჩამდენი აღკოპოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის შესახებ და უპასუხოდ ტოვებს ამგვარი მკურნალობის დანიშვნის, შეწყვეტისა და გაგრძელების მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს.

დანაშაულის ჩამდენი აღკოპოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურ-

¹ И. Н. Введенский, Принудительное лечение душевно-больных и психопатов, Душевно-больные правонарушители и принудительное лечение, М., 1929, стр. 9—10.

ნალობის ინსტიტუტის არსის სწორი ვაგებისათვის უპირველესად ყოვლისა სჭირია მისი გამოჩენა იმ ალკოპოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობისაგან, რომლებმაც შეურაცხადობის მდგომარეობაში არაბრალეულად ჩაიდინეს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა და არ აგებენ პასუხს სისხლის სამართლის წესით.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად არსებითი განსხვავებისა, იძულებითი მკურნალობის ამ ორ ინსტიტუტს შორის მაინც არის ზოგიერთი მსგავსება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ორივე შემთხვევაში: 1) მკურნალობა იძულებით ხასიათს ატარებს, 2) ინიშნება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, 3) ვადა წინასწარ არ განისაზღვრება, 4) მისი დანიშვნის საფუძველია ამა თუ იმ ქმედობის ჩამდენი ალკოპოლიკის ან ნარკომანის საზოგადოებრივი საშიშროება, 5) მკურნალობის მიზანია ალკოპოლიკებისა და ნარკომანების საზოგადოებრივად საშიში ქმედობებისაგან საზოგადოების დაცვა და რეციდივის თავიდან აცილება.

მაგრამ, მიუხედავად ამ მსგავსებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დანაშაულის ჩამდენი ალკოპოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობა არსებითად განსხვავდება იმ ალკოპოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობისაგან, რომლებმაც საზოგადოებრივად საშიში ქმედობა შეურაცხადობის მდგომარეობაში ჩაიდინეს და არ აგებენ პასუხს სისხლის სამართლის წესით. ამ უკანასკნელების იძულებითი მკურნალობა ინიშნება და ტარდება საერთო საფუძველზე სხვა სულით ავადმყოფებთან ერთად, რომლებმაც საზოგადოებრივად საშიში ქმედობა შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიდინეს. „განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ალკოპოლიკებისა და ნარკომანებისათვის დგინდება განსაკუთრებული სამკურნალო და შრომითი რეჟიმი.“¹

ამგვარად, ასეთი ალკოპოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობა ინიშნება სასჯელის ნაცვლად და მხოლოდ სამედიცინო ხასიათს ატარებს. მისი მიზანია საზოგადოებრივად საშიში ალკოპოლიკებისა და ნარკომანების განკურნება, აგრეთვე მათგან საზოგადოების დაცვა. ამის შესაბამისად, მკურნალობის იძულებითობა აღნიშნულ შემთხვევებში განისაზღვრება წმინდა სამედიცინო ხასიათის მოსაზრებებით.

ეს დებულება აისახა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1944 წლის 13 ივლისის დადგენილებაში დ.-ს საქმეზე. მასში ნათქვამია, რომ „თუ სასჯელი მიზნად ისახავს დასაჯოს და აღზარდოს დამნაშავე, სამედიცინო ხასიათის ღონისძიებების მიზანია განკურნოს ავადმყოფი და დაიცვას საზოგადოება მისი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისაგან.“²

იძულებითი მკურნალობის ზემოთგანხილული ინსტიტუტისაგან განსხვავებით, დანაშაულის ჩამდენი ალკოპოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობა ხორციელდება სასჯელის ღონისძიებებთან ერთად. ასეთ შემთხვევებში იძულებითი მკურნალობა ინიშნება არა სასჯელის ნაცვლად, არამედ მასთან ერთად და მის დამატებად გვევლინება. სწორედ ამაში მდგომარეობს ალკოპოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის ჩვენს მიერ განხილული ორი ინსტიტუტის ძირითადი, არსებითი განსხვავება.

¹ Советское уголовное право, часть общая, М. 1962, стр. 373; Судебная психиатрия, М. 1965, стр. 48—49.

² М. М. Исаев, Вопросы уголовного права и процесса в судебной практике Верховного Суда СССР, М. 1948, стр. 41.

იმის გამო, რომ დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის ინსტიტუტი ხასიათდება სასჯელისა და იძულებითი მკურნალობის ღონისძიებათა შერწყმით, საჭიროა გადაწყვეტილ იქნას სისხლის სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკისათვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: 1) იძულებითი მკურნალობის შეფარდების საფუძვლები, 2) იძულებითი მკურნალობის დანიშვნისა და შეწყვეტის წესი, 3) იძულებითი მკურნალობის განხორციელების წესი.

დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანებისათვის იძულებითი მკურნალობის შეფარდების საფუძველს წარმოადგენენ სამედიცინო და იურიდიული მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ შემთხვევაში იძულებითი მკურნალობის გამოყენების მიზანშეწონილების საკითხს სამედიცინო და იურიდიული თვალსაზრისით.

სამედიცინო თვალსაზრისით ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების მიმართ იძულებითი მკურნალობის ღონისძიებათა შეფარდება საჭიროა ისეთ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირი იმდენად არის დაავადებული ალკოჰოლიზმით ან ნარკომანიით, რომ მისი განკურნებისათვის აუცილებელია განსაზღვრული სამკურნალო ღონისძიებების გამოყენება. დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკის ან ნარკომანის ჯანმრთელობის მდგომარეობის სამედიცინო შემოწმებას ახდენს სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო კომისია.

მაგრამ მხოლოდ სამედიცინო მაჩვენებლები არ არის საკმარისი იმისათვის, რათა ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებს შევეფარდოთ იძულებითი მკურნალობა. ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის აუცილებელია დადგენილ იქნას, რომ ალკოჰოლის ან სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენების გამო პირი საფრთხეს უქმნის საზოგადოებას.

სუბიექტის მიერ ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებასა და დანაშაულის ჩადენას შორის გარკვეული კავშირის არსებობის აუცილებლობას განაპირობებს ის ვარაუდი, რომ პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენა არ არის დაკავშირებული ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენებასთან. ამგვარ შემთხვევებში პირის მკურნალობა შესაძლებელია სასურველი და სასარგებლო იყოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატარებდეს იძულებით ხასიათს, რადგან იძულებითი მკურნალობა საქართველოს სსრ სსკ 63-ე მუხლის მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ალკოჰოლიზმის საზოგადოებრივად საშიში გამოვლინებების მიმართ.

ამასთან დაკავშირებით კრიტიკას იმსახურებს იმ სისხლის სამართლის კოდექსების პოზიცია, რომლებიც შესაბამის მუხლებში არ უთითებენ, რომ ჩადენილი დანაშაულის კავშირი პირის მიერ ალკოჰოლის ან სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენებასთან წარმოადგენს მისთვის იძულებითი მკურნალობის შეფარდების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას (რსფსრ-ს სსკ 62-ე მუხლი, საქართველოს სსრ სსკ 63-ე მუხლი, ბელორუსიის სსრ სსკ 59-ე მუხლი და სხვა).

ამ საკითხის სწორი გადაწყვეტა მოცემულია ლატვიის სსრ სისხლის სამარ-

თლის კოდექსის 57-ე მუხლში, რომელშიც მითითებულია, რომ იმ პირს, ვინც ქრონიკული ალკოპოლიზმის ნიადაგზე ჩაიდინა დანაშაული, სასამართლოს მიერ სასჯელთან ერთად შეიძლება შეეფარდოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები.

იძულებითი მკურნალობის დანიშვნისა და შეწყვეტის წესს განსაზღვრავს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა. რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლისა და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების ძალით დანაშაულის ჩამდენ ალკოპოლიკებსა და ნარკომანებს იძულებით მკურნალობას უფარდებს სასამართლო საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მშრომელთა კოლექტივის, ამხანაგური სასამართლოს ან ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს შუამდგომლობით. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ სასამართლოს შეუძლია იძულებითი მკურნალობის შეფარდება აღნიშნული შუამდგომლობის გარეშე თავისი შეხედულებისამებრ. ამ თვალსაზრისით სწორად უნდა ჩაითვალოს ტაჯიკეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პოზიცია ხსენებულ საკითხში. ამ კოდექსის 57-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ იძულებითი მკურნალობის შეფარდება სასამართლოს შეუძლია აგრეთვე თავისი ინიციატივით.

დანაშაულის ჩამდენი ალკოპოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის შეწყვეტის უფლება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის ძალით ენიჭება სასამართლოს, რომელიც ამ საკითხის გადაწყვეტისას უნდა ხელმძღვანელობდეს სამკურნალო დაწესებულების შესაბამისი დასკვნით პირის განკურნების გამო მისი შემდგომი იძულებითი მკურნალობის მიზანშეუწონლობის შესახებ.

იმ შემთხვევებში, როდესაც იძულებით მკურნალობას წყვეტს სასამართლო სასჯელის ვადის გასვლამდე, თუმცა ამის შესახებ არ არის რაიმე მითითება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლში, მსჯავრდებული გადაყვანილ უნდა იქნას თავისუფლების აღმკვეთ დაწესებულებაში სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოსახდელად. იმ რესპუბლიკებში კი, სადაც იძულებითი მკურნალობა ხორციელდება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში (რსფსრ, მოლდავეთის სსრ და სხვა), სასჯელის შემდგომი აღსრულება შეიძლება განხორციელდეს იმავე შრომა-გამასწორებელ დაწესებულებაში.

ყურადღებას იმსახურებს დანაშაულის ჩამდენი ალკოპოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის გაგრძელების საკითხი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლი არაფერს ამბობს იძულებითი მკურნალობის გაგრძელების შესახებ. რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლში და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში (ბელორუსიის სსრ სსკ, მოლდავეთის სსრ სსკ და სხვა) მითითებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლების შემდეგ იძულებითი მკურნალობა შეიძლება გაგრძელებულ იქნას. ასეთი პირები შემდგომ მკურნალობას გაივლიან სპეციალური სამკურნალო და შრომითი რეჟიმის სამედიცინო დაწესებულებებში.

კანონი არ იძლევა რაიმე მითითებას იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის აღნიშნულ შემთხვევებში იძულებითი მკურნალობის გაგრძელების უფლება, მაგრამ



უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უფლება ეკუთვნის სასამართლოს. მან თავის მხრივ მკურნალობის გაგრძელების შესახებ დადგენილების გამოტანის დროს უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო კომისიის სათანადო დასკვნით.

საინტერესოა საკითხი დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის განხორციელების შესახებ.

რფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლისა და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის თანახმად (ბელორუსიის სსრ სსკ 59-ე მუხლი, ლატვიის სსრ სსკ 57-ე მუხლი და სხვა), დანაშაულის ჩამდენი ის ალკოჰოლიკები და ნარკომანები, რომელთაც სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, იძულებით მკურნალობას გაივლიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოხდის დროს.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ჩვენის აზრით, სავსებით სწორია, რადგან დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის იდეა სწორედ მკურნალობისა და დასჯის შერწყმაში მდგომარეობს. ასეთი პირების მოთავსება საერთო ტიპის ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, სადაც მკურნალობას გადიან სასამართლოს მიერ შეურაცხადად ცნობილი და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებული სულით ავადმყოფები, არ იქნება შესაბამისი იმ ამოცანებისა, რომლებსაც ისახავს დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის ინსტიტუტი.

მსგავს შემთხვევებში გარდა იძულებითი მკურნალობისა აუცილებელია პიროვნების მიმართ განხორციელდეს ყველა ის ღონისძიება, რომელიც ზორციელდება სხვა თავისუფლებააღკვეთილთა მიმართ სასჯელის აღსრულების პროცესში, ამის გაკეთება კი ყოვლად დაუშვებელია და შეუძლებელია სამკურნალო ფსიქიატრიული დაწესებულების პირობებში. ამას გარდა, დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების სამკურნალო ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსება ამ უკანასკნელთა მუშაობის დეზორგანიზაციამდე მიგვიყვანს და ეწინააღმდეგება სულით ავადმყოფთა მკურნალობის ამოცანებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის იმის აუცილებლობას, რომ შეიქმნას სპეციალური დაწესებულებები, რომლებშიც იქნება სათანადო პირობები იმ ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების მიმართ იძულებითი მკურნალობისა და სასჯელის ღონისძიებათა ერთდროული განხორციელებისათვის, რომლებსაც ჩადენილი აქვთ დანაშაული და მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში არ არსებობს არცერთი ასეთი დაწესებულება.

ამგვარად, საჭიროა დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობისათვის შეიქმნას შრომა-გამასწორებელი დაწესებულებების სისტემაში სპეციალური შრომა-გამასწორებელი კოლონიები, რომელთა რეჟიმი უნდა შეესაბამებოდეს საერთო ტიპის შრომა-გამასწორებელი კოლონიების რეჟიმს. გარდა ამისა, ამ კოლონიებში უნდა შეიქმნას სათანადო სამედიცინო ბაზა და ექიმ-ფსიქიატრთა სპეციალური შტატი, რომელიც განხორციელებს დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებით მკურნალობას.

ამ თვალსაზრისით სრულყოფილი არაა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სასამართლოს შეუძლია „დანაშაულის ჩამდენი ჩვეული ალკოჰოლიკი ან ნარკომანი გაგზავნოს სპეციალურ საავადმყოფოში (ან ფსიქიატრიული საავადმყოფოს შესაბამის განყოფილებაში) იძულებითი მკურნალობის ჩასატარებლად“. იმ ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს და სასამართლოს მიერ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, ეწინააღმდეგება სასჯელის ამოცანებს და ფაქტიურად ნიშნავს ამ კატეგორიის დამნაშავეთა დაუსჯადობას. საკითხის ამგვარმა გადაწყვეტამ, ჩვენის აზრით, შეიძლება მნიშვნელოვანი ვნება მიაყენოს დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების მიმართ სწორი დასჯითი პოლიტიკის განხორციელების საქმეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველივე ზემოთ თქმული ეხება დანაშაულის ჩამდენი იმ ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის საკითხებს, რომლებსაც სასამართლომ შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა. რაც შეეხება იმ ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებს, რომლებსაც შეეფარდათ ისეთი სასჯელები, რომლებიც თავისუფლების აღკვეთასთან არაა დაკავშირებული, ისინი რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლისა და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის ძალით (ლატვიის სსრ სსკ 57-ე მუხლი, ყაზახეთის სსრ სსკ 59-ე მუხლი და სხვა), იძულებით მკურნალობას გაივლიან სპეციალური სამკურნალო და შრომითი რეჟიმის სამედიცინო დაწესებულებებში.¹

ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში კანონმდებელს მხედველობაში აქვს განსხვავებული ტიპის სამკურნალო-შრომითი კოლონიები, რომელთა რეჟიმი არსებითად განსხვავდება იმ სპეციალური შრომა-გამასწორებელი კოლონიების რეჟიმისაგან, სადაც იძულებით მკურნალობენ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებს. ამ ტიპის სამკურნალო-შრომით კოლონიებში მოთავსებულ უნდა იქნან დანაშაულის ჩამდენი ის ალკოჰოლიკები და ნარკომანები, რომლებმაც მოიხადეს თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე საჭიროებენ იძულებითი მკურნალობის შემდგომ გაგრძელებას.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის სწორად განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი მკურნალობის დანიშვნის, შეწყვეტისა და გაგრძელების მნიშვნელოვანი საკითხები სათანადოდ არის რეგლამენტირებული სისხლის სამართლის კანონში. მიუხედავად ამისა ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ამ საკითხებმა ვერ პოვეს სათანადო ასახვა და სწორი გადაწყვეტა. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ამ ნაწილში, ჩვენის აზრით, სერიოზულ შესწორებებსა და დამატებებს საჭიროებს.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე წინადადებებს ვაყენებთ საქართვე-

¹ აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლში არაფერია ნათქვამი არც ამ კატეგორიის ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის შესახებ.

ლოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლი შემდეგნაირად იქნას ფორმულირებული:

„სასამართლოს შეუძლია დანაშაულის ჩამდენ ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებს საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მშრომელთა კოლექტივის, ამხანაგური სასამართლოს, პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო კომისიის სათანადო დასკვნის საფუძველზე, სასჯელთან ერთად შეუფარდოს იძულებითი მკურნალობა.

აღნიშნული პირები, რომლებსაც ისეთი სასჯელი შეეფარდათ, რაც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული, იძულებით მკურნალობას გაივლიან სპეციალური სამკურნალო და შრომითი რეჟიმის სამედიცინო დაწესებულებებში.

როდესაც ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებს თავისუფლების აღკვეთა ეფარდებათ, ისინი იძულებით მკურნალობას გაივლიან სასჯელის მოხდის დროს, ხოლო თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან მათი განთავისუფლების შემდეგ, — საჭიროების შემთხვევაში, — სპეციალური სამკურნალო და შრომითი რეჟიმის სამედიცინო დაწესებულებებში.

იძულებით მკურნალობას შეწყვეტს სასამართლო იმ დაწესებულების წარდგინებით, რომელშიც პირი იმყოფება იძულებით სამკურნალოდ.“

აღსანიშნავია, რომ ეს ფორმულირება ზოგიერთი შესწორებითა და დამატებით ნასესხებია რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსიდან, რადგან ავტორი ამ კოდექსის 62-ე მუხლს შედარებით სრულყოფილად თვლის.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის ამგვარ ფორმულირებას უცილობლად აქვს მთელი რიგი უპირატესობები ამჟამად არსებულთან შედარებით. მასში დაწვრილებით არის მოცემული დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის დანიშვნის, შეწყვეტისა და გაგრძელების წესი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარად ფორმულირებული 63-ე მუხლი მისი პრაქტიკული გამოყენებისას უზრუნველყოფს დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების მიმართ სასჯელისა და მკურნალობის ღონისძიებათა სწორ შეხამებას.

პირობითი მსჯავრის გამოქვანა მოსახლკე ინსპიფუფებისაგან

5. გაჯივნი

საბჭოთა სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობა იცნობს პირობითი მსჯავრის მომიჯნავე ინსტიტუტებს, რომლებითაც ნაკლები საშიშროების დანაშაულის ჩამდენი პირების გამოსწორება და სხელახლა აღზრდა ხდება სასჯელის დონისძიებათა გამოყოფენებლად. მათი არსებობა ნათლად ადასტურებს საბჭოთა სისხლის სამართლის დრმა ჰუმანიზმსა და დემოკრატიზმს.

საქართველოს სსრ სსკ 51-ე მუხლი ითვალისწინებს პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, თუ მიჩნეული იქნება, რომ საქმის გამოძიების ან სასამართლოში განხილვის დროისათვის ვითარებას შეცვლის შედეგად ჩადენილმა ქმედობამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი ან ეს პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში.

ამავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის ჩამდენი პირის გათავისუფლებას სასჯელისაგან, თუ მიჩნეულ იქნება, რომ შემდგომი უმწიკვლო ყოფაქცევისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების გამო ეს პირი სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშ პირად.


სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს პირის გათავისუფლებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან საქმის ამხანაგურ სასამართლოში გადაცემით (საქართველოს სსრ სსკ 52-ე მუხლი) ან დამნაშავის თავდებქვეშ საზოგადოებრიობისათვის გადაცემით (საქართველოს სსრ სსკ 53-ე მუხლი).

პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან გათავისუფლება საქართველოს სსრ სსკ 51-ე მუხლის შესაბამისად, ასევე საქმის ამხანაგურ სასამართლოში გადაცემა არსებითად განსხვავდება პირობით მსჯავრისაგან. პირობითი მსჯავრისაგან მათი განსხვავება ძირითადად მდგომარეობს, ჯერ ერთი, გათავისუფლების პირობითობის არარსებობაში, და შემდეგ — დანაშაულის და მისი ჩამდენი პირის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის სხვადასხვაობაში.

საქმის ამხანაგურ სასამართლოში გადაცემისათვის აუცილებელია ჩადენილი დანაშაული უპირველეს ყოვლისა იყოს მცირემნიშვნელობის და საზოგადოებრივად გაცილებით უფრო ნაკლები საშიშროების შემცველი, ვიდრე ისეთი დანაშაული, როდესაც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენის მიმართ სასამართლო იყენებს პირობით მსჯავრს.

საქართველოს სსრ სსკ 52-ე მუხლში თუმცა პირდაპირ არ არის აღნიშნული, კონკრეტულად რომელ დანაშაულებრივ ქმედობათა ჩადენისას არის დასაშვები საქმის ამხანაგურ სასამართლოში გადაცემა, მაგრამ ამ მუხლის აზრის მიხედვით საქმეთა გადაცემა ამხანაგურ სასამართლოში შესაძლებელია:

1. თუ პირველმა ჩაიდინა მცირემნიშვნელოვანი დანაშაული, რომლისთვის-



საც კანონით შესაძლებელია დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლის ვადით ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, და

2. თუ დამნაშავეს გამოსწორება შესაძლებელია სასჯელის გამოუყენებლად საზოგადოებრივი ზემოქმედების გზით.

ამხანაგურ სასამართლოს არ შეიძლება გადაეცეს საქმე ისეთი პირის მიმართ, რომელიც წინათ მსჯავრდებული იყო განზრახ დანაშაულის ჩადენისათვის ან გადაცემული იყო თავდებქვეშ.

თუ პირი, რომლის მიმართაც საქმე გადაეცა ამხანაგურ სასამართლოს საქართველოს სსრ სსკ 52-ე მუხლის საფუძველზე, ბოროტად არიდებს თავს სასამართლოში გამოცხადებას ისეთი ანტისაზოგადოებრივი ქმედობის განხილვისას, რაც კანონის თანახმად იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მისი განმეორებით ჩადენის შემთხვევაში მის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემდეგ, ასეთი პირი მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში სსკ შესაბამისი მუხლის მიხედვით.

საქართველოს სსრ სსკ 53-ე მუხლით გათვალისწინებულ საზოგადოებრივ თავდებობას ზოგიერთი საერთო ნიშნები აქვს პირობითი მსჯავრის მეორე სახესთან — პირობით მსჯავრდებულის ხელახლა აღსაზრდელად და გამოსაწორებლად საზოგადოებრივი ორგანიზაციისა ან მშრომელთა კოლექტივისათვის გადაცემასთან. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირი ხელახლა აღსაზრდელად გადაეცემა საზოგადოებრიობას. ორივე შემთხვევაში განსაზღვრულ უნდა იქნას გარკვეული გამოსაცდელი ვადა (პირობითი მსჯავრისას ერთი წლიდან ხუთ წლამდე, ხოლო თავდებქვეშ გადაცემისას — ერთი წლით).

იმის გამო, რომ დამნაშავეს თავდებქვეშ გადაცემა საზოგადოებრიობისათვის და პირობით მსჯავრდებულის გადაცემა საზოგადოებრიობისათვის ერთ საერთო მიზანს — დანაშაულის ჩამდენი პირის ხელახლა აღზრდასა და გამოსწორებას ემსახურება, პრაქტიკასა და თეორიაში ხშირად ურევვენ ერთმანეთში ამ ინსტიტუტებს, მაშინ როდესაც ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

თავდებქვეშ გადაცემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირი, რომელსაც ისეთი დანაშაული ჩაიდინა, რაც არ არის დიდი საზოგადოებრივი საშიშროებას შემცველი, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მშრომელთა კოლექტივის შუამდგომლობით თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლისაგან. ხოლო მისი გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის მოვალეობას კისრულობს საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა კოლექტივი.

პირობითი მსჯავრის გამოყენებისას. როდესაც პირობით მსჯავრდებულს ხელახლა აღსაზრდელად გადაეცემა საზოგადოებრიობას, დანაშაულის ჩამდენ პირს დაენიშნება სასჯელი, მაგრამ სასამართლო, გაითვალისწინებს რა ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, დამნაშავეს პიროვნებას და საზოგადოებრიობის შუამდგომლობას აღნიშნული პირისათვის პირობითი მსჯავრის დადების შესახებ, პირობით ათავისუფლებს მას სასჯელის მოხდისაგან და აკისრებს კოლექტივს, რომლის წევრიც არის მსჯავრდებული, ამ უკანასკნელის ხელახლა აღზრდის მოვალეობას.

საზოგადოებრივი თავდებობა იწვევს სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტას ან მის აღძვრაზე უარის თქმას, მაშინ, როდესაც პირობით მსჯავრდებულის გადაცემა საზოგადოებრიობისათვის არ ათავისუფლებს მას

დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩაიდენს ახალ მსგავს ან არანაკლებ მძიმე დანაშაულს, ამგვარად, პირის თავდებქვეშ გადაცემა წარმოადგენს სამართლის დამრღვევის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ფორმას, აღმზრდელიობითი ხასიათის ღონისძიებას¹.

თავდებქვეშ გადაცემა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სასამართლოს მიერ, ისე მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ. საქართველოს სსრ სსკ 53-ე მუხლის შესაბამისად სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა ან მის აღძვრაზე უარის თქმა იმ პირობა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული, შეუძლია როგორც გამოძიების ორგანოს, ისე სასამართლოს. საზოგადოებრიობისათვის პირობით მსჯავრდებულის გადაცემის უფლება კი მხოლოდ სასამართლოს აქვს, ვინაიდან, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 70-ე მუხლის თანახმად სასჯელის დანიშვნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სასამართლოს განაჩენით.

პირის თავდებქვეშ გადაცემა პირობით მსჯავრდებულის ხელახლა აღსაზრდელად გადაცემისაგან განსხვავებით, შეიძლება გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და ამ საქმეზე გამოძიების ჩატარების შემდეგაც.

როდესაც დანაშაული ფაქტია, ხოლო პირმა მთლიანად ცნო თავი დამნაშავედ ამ დანაშაულის ჩადენაში, თავდებქვეშ გადაცემა შეიძლება გამოყენებულ იქნას საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგაც განმწესრიგებელ სხდომაზე. პირობით მსჯავრდებულის ხელახლა აღსაზრდელად საზოგადოებრიობისათვის გადაცემა კი დასაშვებია მხოლოდ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას.

გარდა ამისა, თავდებქვეშ გადაცემა და პირობით მსჯავრის ის შემთხვევები, როდესაც ხდება პირობით მსჯავრდებულის ხელახლა აღსაზრდელად გადაცემა, განსხვავდებიან იმითაც, რომ იწვევენ სხვადასხვა იურიდიულ შედეგებს დანაშაულის ჩამდენი პირისათვის. თავდებქვეშ გადაცემული პირი ითვლება ნასამართლობის არმქონედ, ხოლო პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ითვლება ნასამართლევად.

არსებითი განსხვავება არსებობს ამ ორი ინსტიტუტის გამოყენების პირობებსა და საფუძვლებში.

ასე, მაგალითად, თუ პირობით მსჯავრდებულს მოეთხოვება იმ პირობის შესრულება, რომ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში არ ჩაიდინოს ახალი ერთგვაროვანი ან არანაკლებ მძიმე დანაშაული, თავდებქვეშ გადაცემული მოვალეა სანიმუშო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცოს თავისი გამოსწორება.

პირობითი მსჯავრის გამოყენებისას აუცილებელი როდია, რომ პირმა თავი დამნაშავედ ცნოს და ჩადენილი დანაშაული გულწრფელად მოინანიოს, ხოლო თავდებქვეშ გადაცემისათვის საჭიროა, რომ დამნაშავემ გულწრფელად აღიაროს თავისი დანაშაული და მოინანიოს ჩანადენი. პირი არ შეიძლება გადაცემულ იქნას თავდებქვეშ, თუ ის წინათ მსჯავრდებული იყო განზრახ დანაშაულისათვის. პირობითი მსჯავრის გამოყენება არ ცნობს ასეთ შეზღუდვას. ბო-

¹ В. В. Ключков. Виды общественного поручительства и отказ от поручительства. «Вопросы криминалистики», 1961, № 1—2, (16—17), стр. 121.

ლოს, როგორც სწორად აღნიშნავს ნ. ფ. კუზნეცოვა, ამ ინსტიტუტების განსხვავება მდგომარეობს მათს საზოგადოებრივ — პოლიტიკურ შინაარსში.

პირობითი მსჯავრის ინსტიტუტში გამოხატულებას პოულობს სოციალისტური დემოკრატიზმის პირველი ფორმა — სასამართლო ორგანოების საქმიანობაში საზოგადოებრიობის მაქსიმალურად ფართოდ ჩაბმა. საზოგადოებრივი თავღებობა განასახიერებს სოციალისტური დემოკრატიზმის მეორე ფორმას — სოციალისტური მართლმსაჯულების ორგანოების ცალკეული ფუნქციების საზოგადოებრიობის გამგებლობაში გადაცემას¹.

ამრიგად, თავდებქვეშ გადაცემა და პირობით მსჯავრდებულის ხელახლა აღსაზრდელად საზოგადოებრიობისათვის გადაცემა არსებითად სხვადასხვა ინსტიტუტებია, მაგრამ ფინაიდან როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში პირი გადაეცემა საზოგადოებრიობას ხელახალი აღზრდისათვის, ისმის კითხვა — არსებობს თუ არა თავდებობის ელემენტი პირობით მსჯავრდებულის ხელახლა აღსაზრდელად გადაცემაში.

საზოგადოებრივი თავდებობის ამოცანასაც ის წარმოადგენს, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი ხელახლა აღიზარდოს და გამოსწორდეს, მაგრამ ამ ამოცანის განხორციელებისათვის ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებს ენიჭებათ სხვადასხვა უფლებები და მოვალეობანი. „საზოგადოებრივი თავდებობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მშრომელთა კოლექტივი არა მარტო თავდებად დგებიან პირის შემდგომი კარგი ყოფაქცევისათვის, არამედ ვალდებულებას კისრულობენ ხელახლა აღზარდონ ეს პირი საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების განუხრელად დაცვის საკითხებით“².

მაშასადამე, თუ საზოგადოებრიობა თავდებქვეშ იყვანს პირს, რომელმაც ჩაიდინა მცირემნიშვნელოვანი დანაშაული, თავდებად დგება მისი შემდგომი ყოფაქცევისათვის და იყენებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს მისი გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის მიზნით. ეს გარემოება შესაძლებლობას აძლევს გამოძიების ორგანოებსა და სასამართლოს დაათავისუფლონ ხსენებული პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. საზოგადოებრიობას შეუძლია უარი თქვას თავდებობაზე და ასეთი უარის თქმა საფუძველს იძლევა პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემისათვის. სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე პირობით მსჯავრდებულის ხელახლა აღსაზრდელად გადაცემისას. აქ ხდება პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემა და მას ენიშნება სასჯელი, რომლის მოხდისაგან თავისუფლდება იმ პირობით, თუ იგი გამოსაცდელ ვადაში არ ჩაიდენს ახალ ერთგვაროვან ან არანაკლებ მძიმე დანაშაულს.

პირობით მსჯავრდებულის მიმართ აღმზრდელობითი ზემოქმედების მიზნით, მის ყოფაქცევაზე კონტროლის გაწვევისა და ზედამხედველობისათვის, სასამართლო აღნიშნულ პირს ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადასცემს იმ კოლექტივს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც უშუალოდ მდგომლობს ამის შესახებ. საზოგადოებრიობა აქ არ დგება თავდებად პირის

¹ Н. Ф. Кузнецова. Участие общественности в перевоспитании правонарушителей, осужденных условно или переданных на поруки. «Советское государство и общественность в условиях развернутого строительства коммунизма», МГУ, 1962, стр. 335.

² В. В. Ключков. Виды общественного поручительства и отказ от поручительства. «Вопросы криминалистики», 1961, № 1—2, стр. 121.

დადებითი ყოფაქცევისათვის, არამედ მხოლოდ კისრულობს მისი ხელახლა აღზრდისა და გამოსწორების მოვალეობას.

პირობით მსჯავრდებულთან აღმზრდელობითს მუშაობაზე უარის თქმა, თანახმად მოქმედი კანონისა არ იწვევს მის მიმართ სასჯელის გამოყენებას. პირობით მსჯავრდებულის მიმართ სასჯელი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩაიდენს ახალ ერთგვაროვან ან არანაკლებ მძიმე დანაშაულს.

იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ იყო წამოყენებული წინადადება, რომ პირობით მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულ იქნას სასჯელი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად საზოგადოებრიობისათვის გადაცემული პირი არ ემორჩილება საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს, არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და ა. შ.¹

მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ავტორები აღნიშნავენ, სასჯელის გამოყენება პირობით მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც სისტემატურად და ბოროტად არღვევენ საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს უნდა ატარებდეს ფაქულტატურ ხასიათს, მაშინ როდესაც მის მიერ ახალი ერთგვაროვანი ან არანაკლებ მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გამოყენებულ პირობით სასჯელს სავალდებულო წესით მთლიანად ან ნაწილობრივ მიემატება ახალი დანაშაულისათვის შეფარებული სასჯელი.

სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი დაუმორჩილებლობა, სანიმუშო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით თავისი გამოსწორების შესახებ პირობის დარღვევა პირის მიერ, რომელიც თავდებქვეშ გადაეცემა საზოგადოებრიობას, იწვევს ამ პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემას და, მაშასადამე, მის მიმართ სასჯელის ზომის გამოყენებასაც.

ამ განსხვავებათა საფუძველზე მიგვაჩნია, რომ პირობით მსჯავრდებულთა ხელახლა აღსაზრდელად საზოგადოებრიობისათვის გადაცემა არ წარმოადგენს საზოგადოებრივი თავდებობის სახეობას.

იმ გარემოებაზე, რომ საზოგადოებრივი თავდებობის ინსტიტუტის და პირობითი მსჯავრის გაიგივება არასწორია, მიუთითებდა ზოგიერთი ავტორი².

ჩვენი აზრით, საზოგადოებრივი თავდებობა არის დანაშაულის ჩამდენ პირთა ხელახლა აღზრდაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმა და იგი უნდა განვასხვავოთ მეორე ფორმისაგან — პირობით მსჯავრდებულის ხელახლა აღზრდასა და გამოსწორებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა არა თვლის პირობით მსჯავრდებულის საზოგადოებრიობისათვის ხელახლა აღსაზრდელად გადაცემას საზოგადოებრივ თავდებობად. ტერმინთა არევა პრაქტიკაში გაუგებრობამდე შეივსებინდა. პირობით მსჯავრდებულის გადაცემა „თავდებქვეშ“ განხილული იქნებოდა როგორც პირის საერთოდ განთავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. ამისათვის პრაქტიკაში განსაკუთრებით საჭიროა განვასხვავოთ დანა-

¹ Г. А. Терехов, Актуальные вопросы практического применения мер общественного воздействия в борьбе с преступностью, «Вопросы криминалистики», 1961, № 12/16—17, стр. 119; М. Понеделков, Передача на поруки и условное осуждение с передачей на перевоспитание «Советская юстиция», 1961, № 8, стр. 5.

² Н. Ф. Кузнецова. Указанные статьи, стр. 335.

შაულოს ჩამდენ პირთა ხელახლა აღზრდაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის მოცემული ფორმები.

პირობითი მსჯავრი უნდა განვასხვავოთ სამხედრო მსახურთა ან სამხედრო ვალდებულთა მიმართ განაჩენის აღსრულების განვადებისაგანაც, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ 47-ე მუხლში. სამხედრო მსახურის ან სამხედრო ვალდებულის მიმართ განაჩენის აღსრულების განვადების არსი მდგომარეობს იმაში, რომ აღსრულება განაჩენისა თავისუფლების აღკვეთის შესახებ სამხედრო მსახურის ან სამხედრო ვალდებულის მიმართ, რომელიც გაწვეულ ან მობილიზებულ უნდა იქნას, სასამართლოს შეუძლია განავადოს საომარი მოქმედების დამთავრებამდე, მსჯავრდებულის გაგზავნით მოქმედ არმიასში. თუ მსჯავრდებული თავს გამოიჩინეს სოციალისტური სამშობლოს მედგარ დამცველად, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს სასჯელისაგან ან შეუცვალოს იგი უფრო მსუბუქი სასჯელით.

მოცემული ინსტიტუტის თავისებურება მდგომარეობს შემდეგში:

1. სამხედრო პირს შეფარდებული უნდა ჰქონდეს სასჯელი მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის სახით.

2. პირი უნდა იყოს სამხედრო მსახური ან სამხედრო ვალდებული, რომელიც ექვემდებარება გაწვევას ან მობილიზაციას.

3. განაჩენი შეიძლება განვადებულ იქნას მხოლოდ ომიანობის დროს, დამნაშავეს გაგზავნით მოქმედ არმიასში.

4. სასამართლოს შეუძლია განავადოს დამატებითი სასჯელის აღსრულებაც.

5. თუ მსჯავრდებული თავს გამოიჩინეს სამშობლოს მედგარ დამცველად, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს სასჯელის მოხდისაგან ან შეუცვალოს იგი უფრო მსუბუქი სასჯელით.


6. სასამართლოს მიერ პირის სასჯელისაგან განთავისუფლების ან მისთვის სასჯელის შეცვლის საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა შესაბამისი სამხედრო სარდლობის შუამდგომლობა.

7. განაჩენის აღსრულების განვადება განისაზღვრება საომარი მოქმედების ხანგრძლივობის ვადით, მაგრამ თუ მოქმედ არმიასში გაგზავნილი მსჯავრდებული თავს გამოიჩინეს სამშობლოს მედგარ დამცველად, შესაბამისი სამხედრო სარდლობის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს სასჯელისაგან ან შეუცვალოს იგი უფრო მსუბუქი სასჯელით.

8. თუ იმ პირმა, რომლის მიმართ განაჩენის აღსრულება განვადებული იყო, ჩაიდინა ახალი დანაშაული (განურჩევლად იმისა, იქნება ის ერთგვაროვანი, არანაკლებ მძიმე თუ სხვა სახის), სასამართლო ახალ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ დაუმატებს წინათ დანიშნულ სასჯელს.

პირმა, რომლის მიმართაც განაჩენის აღსრულება განვადებულია, თავი უნდა გამოიჩინოს სამშობლოს მედგარ დამცველად. მხოლოდ ამ პირობის შესრულების შემთხვევაში შეიძლება დაისვას საკითხი სასჯელისაგან განთავისუფლების ან მისი შეცვლისა უფრო მსუბუქი სასჯელით. ყველა სხვა შემთხვევაში განვადებული განაჩენი საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ მიიქცევა აღსარულებლად, მაშინ როდესაც პირობით მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელისაგან, თუ იგი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში აღარ ჩაიდენს ახალ ერთგვაროვან ან არანაკლებ მძიმე დანაშაულს.

ჩვენი აზრით, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ან ინსტიტუტების გამოყე-



ნების საფუძვლებიც. განაჩენის აღსრულების განვადებისას აუცილებელი როლია, რომ დანაშაული და მისი ჩამდენი პირი არ წარმოადგენდეს საზოგადოებისათვის დიდ საშიშროებას. განაჩენის აღსრულების განვადება დასაშვებია ისეთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც, რომელიც საზოგადოებისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს.

საბჭოთა სისხლის სამართალი იცნობს ისეთ ინსტიტუტსაც, როგორც არის ამა თუ იმ დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულ უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნა. აღნიშნულ ინსტიტუტს საერთო არა აქვს რა პირობით მსჯავრთან, რადგან მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკია არა სასჯელისაგან განთავისუფლებაზე, არამედ დაშინების მიმართ სასჯელის გამოყენებაზე და მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობის გამო პირის მიმართ მოცემული დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულ უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდებაზე.

ამ ინსტიტუტის მოცემულ ასპექტში განხილვა საჭიროა იმისათვის, რომ ერთგვარი ზღვარი გავავლოთ უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას და პირობით მსჯავრს შორის.

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლოებს როგორც პირობითი მსჯავრის ისე უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელის გამოყენების დასაბამებლად მოჰყავთ ერთი და იგივე მოტივები.

მაგრამ კანონი (საქართველოს სსრ სსკ 45-ე მუხლი) უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისათვის მოითხოვს საქმის განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობას, რომელთა გათვალისწინებით წარმოიშობა აუცილებლობა გამოყენებულ იქნას მოცემული ინსტიტუტი, მაშინ როდესაც იმ მუხლში, რომელიც პირობით მსჯავრს შეეხება, საქმის არავითარ განსაკუთრებულ გარემოებებზე არ არის მითითებული.

ისმის კითხვა — რა გარემოებებში შეიძლება გამოყენებულ იქნას პირობითი მსჯავრი და როდის უნდა იქნას დანიშნული უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი?

ჩვენ ვთვლით, რომ როგორც ერთი, ისე მეორე ინსტიტუტის გამოყენებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს შემამსუბუქებელ გარემოებებს, რომლებზეც მითითებულია კანონში (საქართველოს სსრ სსკ 38-ე მუხლი). მაგრამ, როგორც მ. ა. შნიდერი აღნიშნავს, შემამსუბუქებელი გარემოებანი კონკრეტულ პირობებში შეიძლება გაცდნენ ჩვეულებრივ შემამსუბუქებელ გარემოებათა ფარგლებს, თუ ისინი არსებითად ამცირებენ ჩადენილი დანაშაულის საშიშროებას და ამიტომ იღებენ საქმის განსაკუთრებულ გარემოებათა ხასიათს, რაც საჭიროა უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნის შესახებ მუხლის გამოსაყენებლად¹. ასეთ განსაკუთრებულ გარემოებებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მთელ რიგ შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა და სხვ.

პრაქტიკაში სასამართლოები ზოგჯერ ვერ ანსხვავებენ პირობითი მსჯავრის გამოყენებისა და უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის საფუძვლებს. გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა თანაბარ პირობებში ერთ პირს უნიშნავენ უდაბლეს საზღვარზე ნაკლებ სას-

¹ М. А. Шнейдер, Назначение наказания по Советскому уголовному праву, М., 1957, стр. 52.

ჯელს ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასაჯელს, ხოლო მეორის მიმართ პირობით მსჯავრს იყენებენ.

ასე, მაგალითად, ახალქალაქის რაიონის სახალხო სასამართლომ ვ. ს-ს მიუსაჯა ერთი წლით გამასწორებელი მუშაობა ხელფასიდან 15 პროცენტის დაქვითვით სახელმწიფოს სასარგებლოდ იმისათვის, რომ მან ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის კუთვნილი სატვირთო ავტომანქანის მართვისას მოძრაობის უშიშროების წესების დარღვევის გამო მოსახვევში ვერ შეძლო მანქანის სწორად მართვა, გადააბრუნა იგი და ამის შედეგად დაზიანდნენ ძარაზე მსხდომნი ს. და პ., რომელთაგანაც პირველმა მიიღო სხეულის ნაღებად მძიმე, მეორემ კი მსუბუქი დაზიანება.

სასამართლომ, გამოიყენა რა ვ. ს-ს მიმართ საქართველოს სსრ სსკ 45-ე მუხლი, გაითვალისწინა, რომ ის წინათ არ ყოფილა სამართალში მიცემული, მისი დადებითი სამსახურებრივი დახასიათება, ასევე ის გარემოება, რომ მას ჰყავს სამი მცირეწლოვანი შვილი და არის ერთადერთი მარჩენალი.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ზ-ს, რომელიც მსჯავრდებული იყო მსგავსი დანაშაულისათვის (ავტოავარია მძიმე შედეგით), განაჩენით შეფარდებული თავისუფლების აღკვეთა საქართველოს სსრ სსკ 45-ე მუხლის საფუძველზე შეუტკვალა და დაუნიშნა ერთი წლით გამასწორებელი მუშაობა, სასაჯელის მიხედვით შრომა — გასწორების ინსპექციის მიერ მითითებულ ადგილზე, ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვით სახელმწიფოს სასარგებლოდ. თავის განჩინებაში კოლეგიამ საქართველოს სსრ სსკ 45-ე მუხლის გამოყენების დასასაბუთებლად მიუთითა, რომ ზ. წინათ არ ყოფილა სამართალში მიცემული, დადებითად დასაბუთდება და ის, რომ მას კმაყოფაზე ჰყავს ხუთი სული, მათ შორის სამი მცირეწლოვანი შვილი¹.

წითელწყაროს რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით გ. ცნობილი იქნა დამნაშავედ იმაში, რომ მან სხვადასხვა პირებისაგან სასაბუთაოდ შეისყიდა 700 ცალი კვერცხი და დაკავებულ იქნა გადაყიდვის ცდის დროს. სასამართლომ გ-ს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17—165 მუხლის პირველი ნაწილით მიუსაჯა ერთი წლით გამასწორებელი მუშაობა და აღნიშნული სასაჯელი საქართველოს სსრ სსკ 46-ე მუხლის საფუძველზე ჩაუთვალა პირობითად ერთი წლის გამოსაცდელი ვადით.

სასამართლომ თავის განაჩენში პირობითი მსჯავრის გამოყენების მოტივად მოიყვანა გ-ს პირველი ნასამართლობა, კოლმეურნეობის მიერ გაცემული დადებითი დახასიათება და ის, რომ მას კმაყოფაზე ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი.

ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლომ გ-ს საქართველოს სსრ სსკ 165 მუხლის პირველი ნაწილით მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა პირობით, სამი წლის გამოსაცდელი ვადით, იმისათვის, რომ მან მოგების მიზნით ქალაქ მოსკოვში შეისყიდა 167 მანეთის სამარეწველო საქონელი და სპეკულაციურ ფასებში მოახდინა მისი რეალიზაცია. სასამართლომ გ-ს მიმართ საქართველოს სსრ სსკ 46 მუხლის გამოყენების დასასაბუთებლად განაჩენში მიუთითა:

¹ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1964 წლის 29 მაისის განჩინება № 1744.

თა მის პირველ ნასამართლობაზე, სამსახურიდან გაცემულ დადებით დახასიათებასა და იმაზე. რომ მას კმაყოფაზე ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი.

ამრიგად, ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სხვადასხვა ინსტიტუტების გამოყენების დასასაბუთებლად მოყვანილია ერთი და იგივე მოტივები.

პირობითი მსჯავრის გამოყენებისა და უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის დასასაბუთებლად ერთი და იმავე მოტივების მოყვანა კანონს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ, თუ პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის ასეთი გარემოებანი ითვლებიან მეორეხარისხოვან საფუძვლად, უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისათვის ისინი ერთადერთ და აუცილებელ საფუძველს წარმოადგენენ. სწორედ ამ ვაგებით ისინი მიჩნეულ უნდა იქნან განსაკუთრებულ გარემოებებად.

პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის, გარდა ამისა, საჭიროა, რომ დახასიაშული და მისი ჩამდენი პირი არ წარმოადგენდნენ დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას. უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნისათვის კი ასეთი საფუძველი საჭირო არ არის.

ჩვენი აზრით, იმაზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა, რაც კანონით არის გათვალისწინებული, უნდა ხდებოდეს ისეთ შემთხვევებში, როცა გვაქვს განსაკუთრებული გარემოებანი, მაგრამ დანაშაული წარმოადგენს მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას და პირობითი მსჯავრის გამოყენება პირის მიმართ შეუძლებელია.

აღნიშნულის გამო ჩვენი შეხედულებით არასწორად უნდა ჩაითვალოს ერთსა და იმავე დროს საქართველოს სსრ სსკ 45-ე და 46-ე მუხლების გამოყენება, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთ სასამართლოს პრაქტიკაში.

ასე, მაგალითად, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1963 წლის 10 იანვრის განაჩენით ლ-ს საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის შესამე ნაწილით მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ლ-ს მოქმედებას საფუძვლად დაუდო საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის მეორე ნაწილი და სასჯელის ზომად განუსაზღვრა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე დროს, მიიღო რა მხედველობაში, რომ ლ-ი შეპყრობილი იყო მძიმე სენით და 1961 წლის 18 ივნისიდან პატიმრობაში იმყოფებოდა, მოსაზღვრელად დარჩენილი სასჯელის ვადა საქართველოს სსრ სსკ 45-ე მუხლის გამოყენებით შეუტყვალა ერთი წლის გამასწორებელი მუშაობით, ხოლო შემდეგ ეს სასჯელი საქართველოს სსრ სსკ 46-ე მუხლის საფუძველზე ჩაუთვალა პირობითად ერთი წლის გამოსაცდელი ვადით¹.

ჩვენი შეხედულებით ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება თვით მოცემული ინსტიტუტების ბუნებას. თუ დანაშაული და მისი ჩამდენი პირი საზოგადოებისათვის არ წარმოადგენენ დიდ საშიშროებას, პირობითი მსჯავრის გამოყენება შესაძლებელია იმაზე უფრო მსუბუქი სასჯელის დაუნიშნავადაც, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული. უკეთეს დანაშაული წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, მაგრამ არის განსაკუთრებული გარემოებანი, მისინ საკითხის სწორი გადაწყვეტა ამ შემთხვევაში იქნება კანონით გათვალისწინ-

¹ იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1963 წლის 3 ივნისის № 28 განჩინება.

ნებულ უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა, რადგან აქ პირობითი მსჯავრი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას.

ერთდროულად 45-ე და 46-ე მუხლების გამოყენებისას პირობითი მსჯავრი დაუსაბუთებელი რჩება. ვინაიდან მის დასაბუთებლად იძულებული ვხდებით გავიმეოროთ იგივე მოტივები, რომლებიც საფუძვლად დაედო უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნას.

გარდა ამისა, ასეთ პრაქტიკას შეუძლია წარმოშვას არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სასამართლო სპეციალურად ამცირებს სასჯელის ზომას იმ მიზნით, რომ შემდეგ პირობითი მსჯავრის გამოყენება არ ეწინააღმდეგებოდეს ამ ინსტიტუტის იურიდიულ ბუნებას, რამდენადაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე მსჯელობა მიღებულია დანიშნული სასჯელის მიხედვით.

ერთი და იმავე პირის მიმართ პირობითი მსჯავრისა და კანონით გათვალისწინებულ უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნის ინსტიტუტის გამოყენების შეთავსება, ჩვენი შეხედულებით, ამცირებს მოქალაქეთა პასუხისმგებლობას კანონის წინაშე და ვერ უზრუნველყოფს დანაშაულობათა თავიდან აცილების ზოგად და სპეციალურ ამოცანებს.

სახის წარუხოცელი დამახინჯების, როგორც სხეულის მიმართ კატეგორიის დაზიანების სწორი კვალიფიკაციისათვის

ი. შოკლანია

პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის ნორმის სწორად გამოყენებას, ჩადენილი დანაშაულის სწორ კვალიფიკაციას.

სხეულის მიმართ კატეგორიის დაზიანებას მიეკუთვნება სახის წარუხოცელი დამახინჯება. ამ კატეგორიის საქმეთა პრაქტიკის შესწავლა მოწმობს, რომ კვალიფიკაციის საკითხში დაშვებული შეცდომების მიზეზი ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი პრაქტიკული მუშაკი კვალიფიკაციის საკითხს წყვეტს არა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, არამედ პირად მოსაზრებათა საფუძველზე. ზოგჯერ ეს შეცდომები გამომდინარეობენ აგრეთვე სახის წარუხოცელი დამახინჯების არსის და ბუნების არასწორი გაგებიდან.

სახის წარუხოცელი დამახინჯების საკითხს ორი მხარე აქვს: მედიკური და იურიდიული. პირველს წყვეტს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, ხოლო მეორეს გამოძიება და სასამართლო. აქედან გამომდინარეობს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებები, „სახის წარუხოცელი დაზიანება“ და „სახის წარუხოცელი დამახინჯება“.


პრაქტიკაში ზოგჯერ ერთმანეთისაგან არსებითად არ განასხვავებენ ამ ორ ცნებებს, რაც იწვევს სერიოზულ შეცდომებს კვალიფიკაციის საკითხში.

ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედი „სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის წესების“ მეექვსე მუხლის მეექვსე შენიშვნაში განსაზღვრულია სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მოვალეობა სახეზე არსებული დაზიანების საქმეებზე ექსპერტიზის ჩატარებისას. წესების მიხედვით „სახეზე ისეთი დაზიანების არსებობისას, რომლებმაც გამოიწვიეს მნიშვნელოვანი დანაწიბურება, სხვადასხვაფერადი დეფორმაციები და სხვა ცვლილებანი, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი ვალდებულია თავის დასკვნაში უჩვენოს ხომ არ გამოიწვიეს ამ ცვლილებებმა სახის ასიმეტრია, მიმიკის დარღვევა და სხვა პათოლოგიური მდგომარეობანი და რამდენად შესაძლებელია ამ ნაწიბურების გამოსწორება პლასტიკური და კოსმეტიკური ოპერაციების ჩარევის გარეშე.

აქვს თუ არა ადგილი მოცემულ შემთხვევაში სახის წარუხოცელ დამახინჯებას, ამ საკითხის გადაწყვეტა შედის საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების კომპეტენციაში“.

სწორად შენიშნავს ვ. ს. შანიძე, რომ „წესების“ ეს შენიშვნა არ განმარტავს სახის წარუხოცელი დამახინჯების არსს და რომ „წესებში“ მითითებულია მხოლოდ ექიმის კომპეტენციაზე, — განსაზღვროს გამოსწორდება თუ არა დაზიანება.¹

¹ ვ. ს. შანიძე — „სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ზოგიერთი საკითხი“, თბილისი, 1959 წელი.



მიუხედავად იმისა, რომ „წესებში“ კონკრეტულად არის ჩამოთვლილი საკითხები, რომლებმაც ასახვა უნდა ჰპოვოს სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დასკვნაში სახეზე არსებული დაზიანებების მედიკური თვალსაზრისით შეფასებისას, ზოგჯერ ექსპერტები სცდებიან თავის უფლებამოსილებას და სახეზე არსებული დაზიანებების მედიკურ შეფასებასთან ერთად საზღვრავენ თვით მიყენებული დაზიანების სიმძიმის ხარისხსაც.

მივუთითებთ რა სასამართლო სამედიცინო ექსპერტის უფლებამოსილების გადაცილების ასეთ შემთხვევებზე, ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ყველა სახის სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანების საქმეებთან დაკავშირებით ექიმ ექსპერტის უფლებამოსილების შესახებ წინამდებარე ჟურნალის ფურცლებზე ადრე გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ რაიმე ვთქვათ გადაჭრით, რადგან ასეთ მიზანს ჩვენი წერილი არ ისახავს. სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანების ერთერთი სახის, სახის წარუხოცელი დამახინჯების საქმეებთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მოვალეობაში არ შედის სახეზე არსებული დაზიანებების ექსპერტიზის დროს განსაზღვროს თვით დაზიანების ხარისხი თუ კი ის ასეთ დავალებას სპეციალურად არ იღებს გამოძიებისაგან ან სასამართლოსაგან.

სახის წარუხოცელი დამახინჯების საქმეებზე სასამართლო სამედიცინო ექსპერტის უფლებამოსილების შესახებ ჩვენს ასეთ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ის წინააღმდეგობა, რასაც იწვევს სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მიერ სახეზე არსებული დაზიანებების სიმძიმის განსაზღვრა. სახის წარუხოცელი დამახინჯება ჯანმრთელობის მოშლის თვალსაზრისით თითქმის არასოდეს არ არის მძიმე ხარისხის დაზიანება. ამიტომ არის, რომ თანახმად სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დასკვნისა სახის არეში მიყენებული დაზიანებანი უმეტეს შემთხვევაში ფასდება, როგორც სხეულის მსუბუქი კატეგორიის დაზიანება, მაშინაც კი როცა ეს დაზიანებები მიჩნეულია სახის წარუხოცელ დამახინჯებად. ე. ი. გამოდის, რომ ის რაც კანონმდებლის მიერ მიჩნეულია მძიმე კატეგორიის დაზიანებად და საფუძვლად უდევს დამნაშავეს დასჯას საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის I ნაწილით, სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მიერ ფასდება, როგორც მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე. ასეთ შემთხვევებში სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დასკვნა და განაჩენი ერთმანეთს დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სახის წარუხოცელი დამახინჯების საქმეებზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა თავის ინიციატივით არ უნდა განსაზღვროს რეალური დაზიანების ხარისხი.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო იმ შემთხვევაში თუ კი მივა იმ დასკვნამდის, რომ დაზარალებულის სახეზე არსებული დაზიანებანი არ იწვევენ წარუხოცელ სიმახინჯეს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლო წინადადებას მისცემს ექსპერტს რათა მან განსაზღვროს თვით დაზიანების ხარისხი, რის შესაბამისადაც განისაზღვრება სამართალში მიცემულის ქმედობის კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 111 ან 112 მუხლების მიხედვით.¹

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110 მუხლის I ნაწილის დისპოზიცია ითვალისწინებს სახის წარუხოცელ დამახინჯებას, რაც პირდაპირ

¹ П. А. Дубовец — «Ответственность за телесные повреждения по советскому уголовному праву» Москва 1964 г. стр. 75.

მიუთითებს იმაზე, რომ კანონმდებელი სჯის სახის და არა სხეულის სხვა რომელიმე ნაწილის დამახინჯებას. აქედან გამომდინარე არ შეიძლება 110 მუხლის I ნაწილით დაკვალიფიცირდეს დაზარალებულის ძლიერად დაკოჭლება, რაც მის დამახინჯებას იწვევს თუ კი სახეზე არ არის 110-ე მუხლში ჩამოთვლილი სხვა ნიშნები. ასევე არ შეიძლება სახის წარუხროცელ დამახინჯებად ჩაითვალოს პიროვნებისათვის კისრის არეში მიყენებული დაზიანებების შედეგად განვითარებული ტლანქი ნაწიბურები, რომელთა შესხედვა შესაძლებელია ადამიანში იწვევდეს არასასიამოვნო შეგრძნებას.

საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის I ნაწილის დისპოზიციის ჩამოყალიბებისას კანონმდებელი ზოგადად აღნიშნავს სახის წარუხროცელი დამახინჯების მიყენებაზე და არ მიუთითებს ამ დანაშაულის ჩადენის ხერხზე. ასეთის მითითება შეუძლებელიცაა დანაშაულის ჩადენის იმ ხერხთა მრავალსახეობის გამო. რომლითაც შესაძლებელია დაზარალებულისათვის სახის წარუხროცელი დამახინჯების მიყენება.

მიუხედავად ამ ხერხთა მრავალფეროვნებისა საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად აღინიშნოს თუ დამნაშაის მოქმედებით სიმახინჯის გამომწვევი რა დაზიანებები შეიძლება იქნეს მიყენებული და რა ხერხით.

პროფ. ვ. ს. შანიძე სახის წარუხროცელ დამახინჯებას მიაკუთვნებს ისეთ მყარ, განუკურნებელ და გამოუსწორებელ დაზიანებას, რომლის შედეგად პიროვნების სახე ტლანქად არის შეცვლილი და მისი შეხედვა ზიზღს იწვევს. ...ასეთი შეიძლება განვითარდეს ცხვირის, ქუთუთოების, ტუჩების ან ყურების მოცილების შემთხვევაში, სახის დამწვრობით დამღულვრით, მწვავე მჟავებით და ტუტეებით გამოწვეული ნეკროზის დროს, რომლის შედეგად სახის რბილი ქსოვილები განიცდის ღრმა ნეკროზს და ამ უბნებში შესხორცების შემდეგ სახეზე დარჩება ღრმა, ტლანქი ნაწიბური ან გამოუსწორებელი ლაქები.

წარუხროცელი დამახინჯება შეიძლება განვითარდეს აგრეთვე ცხვირის ძვლების მოტეხილობის შედეგად, როცა ეს ორგანო ძვლების არასწორად შესხორცების შედეგად განიცდის მკვეთრ დეფორმაციას ან თვალის ანატომიური დაზიანების (გასკდომის) დროს, როცა თვალში ჩნდება თეთრი ლაქა (ნაწიბური) — ზოგჯერ საჭირო ხდება დაზიანებული თვალის ამოღება...¹


სახის წარუხროცელი დამახინჯების დროს, როგორც დაზიანება ისე სიმახინჯე წარუხროცელი უნდა იყოს. წარუხროცელობა ამ ორი სხვადასხვა მნიშვნელობის ცნებისათვის საერთო პირობას წარმოადგენს.

სახის წარუხროცელი დამახინჯების აუცილებელ პირობას, რომ მიყენებული დაზიანების წარუხროცელობა წარმოადგენს ეს დავას არ იწვევს, მაგრამ თუ როდის უნდა იქნეს ცნობილი სახეზე არსებული დაზიანება წარუხროცელ სიმახინჯედ, ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი.

სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ სახის წარუხროცელი დამახინჯება ნიშნავს, რომ იგი არ გამოსწორდება არც თავისთავად და არც ჩვეულებრივი ქირურგიული ან თერაპიული მკურნალობის შედეგად. ამიტომ სახის წარუხროცელი დამახინჯება ითვლება სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანებად იმ შემთხვევაშიც თუ კი შეიძლება გამოსწორდეს სპეციალური, ე.წ. კოსმეტიკური ოპერაციის შედეგად.²

¹ ვ. ს. შანიძე — „სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ზოგიერთი საკითხი“, თბილისი, 1959 წელი, გვ. 83.

² Советское уголовное право, часть особенная. Москва 1964 г. стр. 148.



საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ეს გაბატონებული აზრია. ამ მოსაზრების საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას ა. ს. ნიკიფოროვი, რომელიც ამ საკითხში აკრიტიკებს რა პროფ. პროფ. მ. დ. შარგოროდსკის და ა. ა. პონტოვსკის. ძოთხოვს რათა სახეზე არსებული დაზიანების წარუხოცელობის საკითხის გადაწყვეტის დროს გათვალისწინებული იქნეს ქირურგიის თანამედროვე მიღწევები პლასტიკური ოპერაციების დარგში. მისი აზრით ლაპარაკი არ შეიძლება სახის წარუხოცელ დამახინჯებაზე, თუ კი რაიმე საშუალებით მაინც შესაძლებელია სახეს დაუბრუნდეს აღრინდელი გარეგნობა, რადგან ასეთი შესაძლებლობის არსებობისას აღარ გვაქვს დაზიანების წარუხოცელობის ცნება რაც წარუხოცელი სიმახინჯის ცნების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ა. ს. ნიკიფოროვის ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ სახის პლასტიკური ოპერაცია გარეგნობის აღდგენის უკიდურესი საშუალებაა. ხშირ შემთხვევაში იმის გამო, რომ ერთხელ გაკეთებული ასეთი ოპერაცია სასურველ შედეგს არ იძლევა, საჭირო ხდება მისი რამოდენიმეჯერ განმეორება. რაც დაზარალებულს დამატებით ტანჯვას აყენებს. გარდა ამისა დაზარალებული ყოველთვის არ არის გარანტირებული, რომ ასეთი ოპერაციების შედეგად სახეს დაუბრუნდება პირვანდელი გარეგნობა.

ამასთან დაკავშირებით სწორად შენიშნავს პროფ. ვ. ს. შანიძე, რომ ასეთი ოპერაციების გაკეთება დაზარალებულის თანხმობის გარეშე არ შეიძლება.¹ მართლაც და ყოველთვის როდი თანხმდება დაზარალებული გაიკეთოს პლასტიკური ოპერაცია, რადგან კანის გადაწერგვა, ნაწიბურების ამოჭრა და სხვა დაკავშირებულია ხანგრძლივ და მასთან საკმაოდ მტკივნეულ მანიპულაციებთან. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ პლასტიკური ოპერაციის საშუალებით სახის გარეგნობის აღდგენის შესაძლებლობებმა გავლენა არ უნდა იქონიოს ამ დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიკაციაზე.

„ანონმდებელი მიუთითებს რა სახის წარუხოცელ დამახინჯებაზე, როგორც სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანებაზე, გულისხმობს, რომ სახეზე არსებული დაზიანება არ გამოსწორდება ჩვეულებრივი ქირურგიული და თერაპიული მკურნალობის გზით. კანონმდებელს მხედველობაში არ აქვს კოსმეტიკური ოპერაციის შესაძლებლობანი.

სახის წარუხოცელი დამახინჯების საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს დამახინჯების ხარისხი, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს დაზარალებულის გარეგნობის შეფასება დაზიანების მიყენებამდე და თვით დაზიანების ხასიათი.

ამასთან დაკავშირებით პროფ. ა. ა. ყიყილენკო აღნიშნავდა, რომ: „...ერთი და იგივე შრამი, წარმოქმნილი ჭრილობის შეხორცების შედეგად, შეფასდება. როგორც წარუხოცელი დამახინჯება სავესებით ჯანმრთელი ადამიანის მიმართ, და არ მიიჩნევა ასეთად იმ პირის მიმართ, რომელსაც სახე დამახინჯებული აქვს სიფილისისაგან ან ტუბერკულოზისაგან (волчанка, მგლურა)...“²

ა. ს. ნიკიფოროვი ძირითადში იზიარებს რა ამ დებულებას, ამასთან სწორად შენიშნავს, რომ პროფ. ა. ა. ყიყილენკოს ამ მოსაზრებას არ შეიძლება დავეთანხმეთ ზოგადი ფორმით, რადგან სიფილისმაც და ტუბერკულოზმაც განკურნე-

¹ ვ. ს. შანიძე — „ზოგიერთი შენიშვნა სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის ახალი წესების შესახებ“, „საბჭოთა სამართალი“ 1962 წ. № 1.

² А. А. Жижиленко — Преступления против личности, М.-Л., 1927 г. стр. 44.

შის შედეგად შეიძლება სახეზე დასტოვოს ისეთი კვალები, რომლებიც მორიცხავენ მისი შემდგომი დამახინჯების შესაძლებლობას.

პროფ. მ. დ. შარგოროდსკი წინადადობას იძლევა დამახინჯების ხარისხის შეფასების დროს მხედველობაში იქნეს მიღებული დაზარალებულის სქესი და პროფესია. ამასთან დაკავშირებით იგი წერს, რომ „... სახეზე არსებულმა შრამმა, რომელმაც შეიძლება დაამახინჯოს ახალგაზრდა ბალერინა, შეიძლება სრულიად არ გაუფუჭოს სახე თადარიგის ბოცმანს“.¹

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში სავსებით სწორად იქნა გაკრიტიკებული პროფ. მ. დ. შარგოროდსკის ეს მოსაზრება, რადგან სახის დამახინჯების შეფასებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დაზარალებულის სქესს, ასაკს, პროფესიას და სხვ. რადგან ეს ეწინააღმდეგება ჩვენი საზოგადოების ძირითად პრინციპებს, სადაც ყველა მოქალაქის ჯანმრთელობა და სხვა სიკეთე თანაბარი ზომით არის დაცული.

როგორც აღვნიშნეთ, სახის წარუხოცელი დამახინჯების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ საგამომძიებლო სასამართლო ორგანოთა პრეროგატივაა, რადგან იგი განსახილველი საკითხის იურიდიული მხარეა. აქედან გამომდინარე ცხადია თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს მიერ ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების სრულყოფილად დასაბუთებას განაჩენში.

ის გარემოება, რომ სახის წარუხოცელი დამახინჯების საკითხს სასამართლო წყვეტს, სრულიად არ ნიშნავს, რომ სასამართლომ ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს დაზარალებულის გარეგნობის სუბიექტური წარმოდგენების საფუძველზე. სასამართლო უნდა გამოდიოდეს არა სუბიექტური მოსაზრებიდან, არამედ მან ამ საკითხის შეფასებას საფუძვლად უნდა დაუდოს ადამიანის გარეგნობის ნორმალური მდგომარეობის შესახებ საზოგადოდ მიღებული წარმოდგენები. ადამიანის გარეგნობის სიმახინჯის შეფასებისას სასამართლო ხელმძღვანელობს არა პათოლოგ-ანატომიური, არამედ ესთეტიკური კრიტერიუმით.

ჩვენი რესპუბლიკის საგამომძიებლო სასამართლო ორგანოთა მუშაობის პრაქტიკა მოწმობს, რომ სახის წარუხოცელი დამახინჯების საქმეთა განხილვისას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა განაჩენის დასაბუთებას. ზოგჯერ საბრალდებო დასკვნიდან და განაჩენიდან გაუგებარია თუ რა მონაცემების საფუძველზე მივიდა გამოძიება და სასამართლო, რომ დაზარალებულს მიყენებული აქვს სახის წარუხოცელი დამახინჯება. საბრალდებო დასკვნის და განაჩენის ასეთი დაუსაბუთებლობა გარკვეულ სიძნელეებს უქმნის ზემდგომ სასამართლო ორგანოებს ამ კატეგორიის საქმეთა საკასაციო ან ზედამხედველობის წესით განხილვის დროს, რადგან პროცესის ამ სტადიაში დაზარალებულის გამოცხადება სავალდებულო არ არის და ზემდგომ სასამართლოს ყოველთვის არა აქვს საშუალება პირადად დაათვალიეროს დაზარალებული.

ამის ნათელსაყოფად შევჩერდებით რამდენიმე მაგალითზე:

ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა მ. გ-ის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა მასში, რომ 1965 წლის 22 ნოემბერს მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ფეხსაცმელების ფაბრიკის მცველ შ-ანს ჩხუბი დაუწყო იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ნება არ დართო მას ფაბრიკის ტერიტორიაზე შესვლისა. ჩხუბის დროს მ. გ-მა ფინური დანა დაარტყა სახის არემი

¹ М. Д. Шаргородский, Преступления против жизни и здоровья, 1948 г. стр. 329.

შ-ანს და მიაყენა სხეულის მსუბუქი კატეგორიის დაზიანება. სასამართლო დიციონო ექსპერტის დასკვნის მიხედვით დაზარალებულის სახეზე არსებული ნაწიბური არ გამოსწორდება, მაგრამ იგი ასიმეტრიას ან მიმიკის შეცვლას არ იწვევს.

სახალხო სასამართლომ მ. გ-ვი იცნო დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის I ნაწილით და დაზარალებული ს. შ-ნის სახეზე არსებული დაზიანება რომ სახის წარუხმოცელ სიმახინჯეს იწვევდა, შემდეგნაირად დაასაბუთა განაჩენში:

„...გ-მა ამოიღო ფინური დანა და დაარტყა ლოყაზე ს. შ-ნს. ს. შ-ნზე მიყენებული დაზიანება თუმცა არის მსუბუქი კატეგორიის, მაგრამ სახეზე არის წარუხმოცელი კვალი დატოვებული დანის დაარტყმის შედეგად, რის გამოც გ-ვის ქმედობაში არის 110-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული“.

განაჩენიდან ცხადი ხდება, რომ სასამართლო სრულიად არ შესულა იმის განსჯაში, დაზარალებულს მიყენებული ქონდა თუ არა სახის წარუხმოცელი დამახინჯება. მან მხოლოდ აღნიშნა სახის წარუხმოცელი დაზიანება, რაც თავისთავად სახის წარუხმოცელ სიმახინჯეს არ ნიშნავს და არის განსახილველი საკითხის მხოლოდ ბიოლოგიური და არა იურიდიული მხარე. სასამართლოს მიერ დაზარალებული ს. შ-ნის სახეზე არსებული დაზიანებები შეფასდა არა ესთეტიკური თვალსაზრისით, არამედ მედიკური თვალთახედვით, რაც არასწორია.

მოცემული საქმის საკასაციო კოლეგიაში განხილვის დროს, საქმის მასალებიდან და განაჩენიდან შეუძლებელი გახდა იმის გარკვევა, დაზარალებულს მიყენებული ჰქონდა თუ არა სახის წარუხმოცელი დამახინჯება, რის გამოც კოლეგიამ განაჩენი გააუქმა და საქმე დაუბრუნა სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის.

ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ჯ. ბ-ძის საქმეზე, რომელიც განხილულ იქნა ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ.

ასეთი შეცდომები პრაქტიკაში გამოწვეულია იმით, რომ სახის წარუხმოცელი დამახინჯების საკითხის გადაწყვეტისას საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები მთლიანად ეყრდნობიან სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დასკვნას და საბრალდებო დასკვნაში და განაჩენში უცვლელი გადააქვთ ექსპერტის დასკვნაში აღნიშნული სამედიცინო ხასიათის ცნებები. ავიწყდებათ, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტი მოცემულ კატეგორიის საქმეებზე გამოძიებას და სასამართლოს ეხმარება მხოლოდ ერთი საკითხის გადაწყვეტაში, კერძოდ, დაზარალებულის სახეზე არსებული დაზიანებანი მომავალში გამოსწორდება თუ არა, ე. ი. ექსპერტი წყვეტს დაზიანების წარუხმოცელობის საკითხს და არ შედის მის განსჯაში თუ რამდენად ამახინჯებს ეს დაზიანება დაზარალებულს.

ეს დებულება ნათლად ჩანს შემდეგ მაგალითზე:

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მარნეულის საგამომძიებლო ქვეგანყოფილების წარმომებაში იმყოფებოდა ზ. ავის ბრალდების საქმე, რომელსაც, ბრალდების წარდგენის დადგენილებისა და საბრალდებო დასკვნის მიხედვით ბრალი ედებოდა მასში, რომ „...მარნეულის ცენტრალურ მოედანზე უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი... და კასტეტის დაარტყმით მოქ. გ. ჩ-რლის მიაყენა წარუხმოცელი ნაწიბური...“ გარდა იმისა, რომ არაფერია ნათქვამი სახის წარუხმოცელ დამახინჯებაზე, რაც იძლევა 110-ე მუხლის I ნაწილის შედგენილობას, გამომძიებლის მიერ დამზებული შეცდომა იმამიც მდგომარეობს, რომ ზემოთ მოხსენებულ პროცესუალურ დოკუმენტებში არ არის

მითითებული თუ სხეულის რა ნაწილში მიაყენა ბრალდებულმა დაზარალებულს „წარუხოცელი ნაწიბური“. ეს არ არის ფორმალური ხასიათის დარღვევა, რადგან კანონი სჯის მხოლოდ სახის და არა სხეულის სხვა რომელიმე ორგანოს წარუხოცელ დამახინჯებას.

მოცემულ საქმეზე გამოძიების მიერ დაშვებული შეცდომები სასამართლომ უფრო გააღრმავა, როცა სამართალში მიცემულს მოუხსნა საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული ბრალდება და თავისი გადაწყვეტილება განაჩენში შემდეგნაირად დაასაბუთა:

„...სამსჯავრო სხდომაზე გამოირკვა, რომ სახეზე წარუხოცელი ნაწიბურების კვალი აღარ დარჩა და არავითარ სიმახინჯეს არ იწვევს, რადგან ჩ-რლის სტაციონალურად არ უმკურნალია, მხოლოდ შემთხვევის დღეს აღმოუჩინეს გადაუღებელი დახმარება და ის სახეშეხვეული დადიოდა მხოლოდ ორ დღეს...“

სასამართლომ ესთეტიკური თვალსაზრისით კი არ შეაფასა დაზარალებულის გარეგნობა, არამედ შევიდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციაში და დაზარალებულის სახეზე არსებული დაზიანებანი შეაფასა წმინდა ძედიკური თვალსაზრისით, საფუძვლად დაუდოა რა ამ შეფასებას მედიცინაში მიღებული ე. წ. ეკონომიური კრიტერიუმი დაკარგული შრომისუნარის ოდენობის და ხანგრძლიობის ცნებების სახით. დაზარალებულის გარეგნობის ასეთ შეფასებას არავითარი საერთო არა აქვს საკითხის იურიდიულ მხარესთან, — სახის წარუხოცელ დამახინჯებასთან.

ამ საქმის განხილვა საკასაციო კოლეგიაში სამჯერ გადაიდო იმის გამო, რომ საქმის მასალების საფუძველზე კოლეგია ვერ დარწმუნდა დაზარალებულს ქონდა თუ არა მიყენებული სახის წარუხოცელი დამახინჯება და საჭიროდ ჩათვალა თვითონ დაეთვალეირებინა დაზარალებული.

განაჩენების დაუსაბუთებლობის შედეგია, რომ მოცემული კატეგორიის საქმეთა დიდი უმეტესობა საკასაციო კოლეგიაში არ იხილება ისე, რომ იგი რამოდენიმეჯერ არ გადაიდოს დაზარალებულის გამოწვევის და მისი გარეგნობის დათვალეირების აუცილებლობის გამო.

ჩვენ არ ვეთანხმებით ზოგიერთი პრაქტიკული მუშაკის მოსაზრებას, რომ კოლეგიის სხდომაზე დაზარალებულის გამოწვევა და მისი გარეგნობის დათვალეირება თითქოს ასწორებს იმ ხარვეზებს, რაც დაშვებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და ამიტომ თითქოს ამ დარღვევების გამო არ ღირს განაჩენის გაუქმება.

საბრალდებო დასკვნაში და განაჩენში იმის დაუსაბუთებლობა და აღუნიშვნელობა, დაზარალებულს აქვს თუ არა მიყენებული სახის წარუხოცელი დამახინჯება, დაახლოებით იგივეა, რომ მკვლელობის საქმეზე საბრალდებო დასკვნაში და განაჩენში არ იყოს მითითებული, დაზარალებული არის თუ არა მოკლული. სადავო არ არის, რომ მკვლელობის ასეთ საქმეზე განაჩენი არ დარჩება ძალაში მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება კოლეგიაში არავითარ ეჭვს არ იწვევდეს, რომ დაზარალებული ნამდვილად მოკლულია. ამავე მოსაზრებიდან გამომდინარე ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ კი განაჩენში საერთოდ არ არის დასაბუთებული სახის წარუხოცელი დამახინჯების არსებობა ან არ არსებობა, ასეთი განაჩენი არ უნდა დარჩეს ძალაში იმის მიუხედავად თუ რა დასკვნამდე მივა კოლეგია დაზარალებულის უშუალოდ დათვალეირების შედეგად.

ჩვენ სრულიადაც არ ვამტკიცებთ, რომ მოცემული კატეგორიის საქმეთა საკასაციო ან ზედამხედველობის წესით განხილვისას თითქოს საერთოდ დაუშვე-

ბელი ან უსარგებლო იყოს დაზარალებულის გამოწვევა და მისი დათვალიერება. კოლეგიაში დაზარალებულის გამოწვევა და მისი დათვალიერება გამოძიებისა და სასამართლოს მიერ დაშვებული არსებითი დარღვევების გამოსწორების ძირითად საშუალებად არ უნდა იქცეს.

ცალკეულ შემთხვევაში საჭიროა ზემდგომ სასამართლო ორგანოებში დაზარალებულის გამოწვევა და მისი დათვალიერება, როცა განაჩენში თუმცა დასაბუთებულია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სახის წარუხოცველი დამახინჯების არსებობა ან არარსებობა, მაგრამ დასაბუთებას ზემდგომი სასამართლო არადამაჯერებლად მიიჩნევს. ხოლო თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ ისე დასაჯა პირი საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის I ნაწილით, რომ საერთოდ არ შესულა იმის განსჯაში არის თუ არა დაზარალებული დამახინჯებული, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ შემთხვევაში კოლეგიის მიერ დაზარალებულის უშუალოდ დათვალიერება საქმეს არ შველის. განაჩენი უნდა გაუქმდეს, რადგან კონკრეტულ საქმეზე ზემდგომი სასამართლო ვერ შეეცა იმის არსებით განსჯაში რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის საგანი არ ყოფილა, მითუმეტეს როცა საკითხი ეხება დანაშაულის შედგენილობის არსებობას ან არარსებობას.

პრაქტიკაში არც თუ ძვირითად ვხვდებით ისეთ შემთხვევას, როცა საკმარისია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა დასკვნაში მიუთითოს, რომ დაზარალებულის სახეზე არსებული ნაწიბური მომავალში არ გამოსწორდება, რომ გამოძიება დამნაშავეს უკვე უყენებს საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის I ნაწილს და აღარ შედის იმის განსჯაში ეს ნაწიბური ამახინჯებს თუ არა დაზარალებულს.

როგორც არ უნდა იყოს დაზარალებულის სახეზე ჭრილობის შედეგად დატოვებული კვალი, ადვილად თუ ძნელად შესამჩნევი, რაღაც ზომით ყოველთვის ახდენს გავლენას პიროვნების გარეგნობაზე, რაც დაზარალებულისათვის ყოველთვის არასასიამოვნოა; მაგრამ ეს როდია საკმარისი იმისათვის რომ სახეზე არსებული ყველა შესამჩნევი ნაწიბური სახის წარუხოცველ დამახინჯებად იქნეს მიჩნეული და ამით პირის მოქმედება თავის საზოგადოებრივი საშიშროებით ისეთ მძიმე დანაშაულთან იქნეს გათანაბრებული, როგორც არის სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება.

მართალია, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი არ წყვეტს საკითხს სახის წარუხოცველი დამახინჯების შესახებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ საკითხის შეფასებისათვის ექსპერტის დასკვნას არ ჭონდეს რაიმე მნიშვნელობა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნის გულდასმით გაცნობა, გამოძიებას და სასამართლოს ყოველთვის მისცემს სწორ ორიენტაციას სახის წარუხოცველი დამახინჯების საკითხის გადასაწყვეტად. ამასთან დაკავშირებით მართებულად მიგვაჩნია პროფ. შანიძის მოსაზრება, როდესაც იგი წერს, რომ „...მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტის კომპეტენციაში არ შედის სახის წარუხოცველი დამახინჯების გადაწყვეტა, ახალი „წესების“ მიხედვით ექსპერტი გარკვევით მიუთითებს ასეთი დაზიანების არსებობაზე ან არარსებობაზე, რადგან ამ პუნქტში არსებული მონაცემების გამოყენებით სამედიცინო დასკვნაში მკაფიოდ გამოჩნდება არის თუ არა სახის წარუხოცველი დამახინჯება. ასე მაგალითად, ექსპერტი ერთ შემთხვევაში აღნიშნავს, რომ სახეზე არის უმნიშვნელო ნაწიბური, რომ დაზიანებას არ გამოუწვევია სახის დეფორმაცია, ასიმეტრია და მიმიკის შეცვლა. ან მეორე შემთ-

ხვევაში, სახეზე დაზიანების შედეგად განვითარებული ტლანქი მნიშვნელოვანი ნაწიბური, სახე დეფორმირებულია ან მიმიკა შეცვლილია.“¹

პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესოა აღინიშნოს თუ რა ცნებების გამოყენებით უნდა დასაბუთდეს საბრალდებო დასკვნაში და განაჩენში სახის წარუხოცელი დამახინჯების არსებობა ან არარსებობა ან რა სახის პროცესუალურ დოკუმენტებში უნდა მოხდეს დაზარალებულის გარეგნობის დათვალიერების შედეგების ფიქსაცია.

ამ კატეგორიის საქმეთა წინასწარი გამოძიების პროცესში გამომძიებელმა უნდა შეადგინოს ოქმი დაზარალებულის გარეგნობის დათვალიერების შესახებ, მას შემდეგ რაც იგი მიიღებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საბოლოო აქტს სახეზე არსებული დაზიანების წარუხოცელობის შესახებ. დათვალიერების ამ შედეგებმა სრული მოცულობით ასახვა უნდა ჰპოვოს, როგორც ბრალდების წარდგენის დადგენილებაში ისე საბრალდებო დასკვნაში.

რაც შეეხება ამ საქმეთა სასამართლოში განხილვისას დაზარალებულის დათვალიერება უნდა მოხდეს სამსჯავრო გამოძიების პროცესში, და დათვალიერების შედეგები ფიქსირებული იქნას სამსჯავრო სხდომის ოქმში, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს სასამართლოს მთელმა შემადგენლობამ. დათვალიერების შედეგებმა მთელი მოცულობით ასახვა უნდა ჰპოვოს სახალხო სასამართლოს განაჩენში. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ამ კატეგორიის საქმეები პირველი ინსტანციის სასამართლოში არ შეიძლება განხილულ იქნას დაზარალებულის დასწრების გარეშე.

რა ზომით შეიძლება გამოყენებული იქნეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნის მონაცემები დაზარალებულის სახის წარუხოცელი დამახინჯების არსებობის ან არარსებობის დასაბუთებისათვის. გარდა იმისა, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი თავის დასკვნაში მიუთითებს დაზარალებულის სახეზე არსებული დაზიანების მომავალში გამოსწორების შესაძლებლობაზე, იგი „წესების“ მოთხოვნიდან გამომდინარე აღნიშნავს, ეს დაზიანებები იწვევს თუ არა „სახის ასიმეტრიას“, „სახის მიმიკის შეცვლას“, „ტლანქია თუ არა ნაწიბურები“ და სხვა. ყველა ეს მედიკური ხასიათის ცნება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახის წარუხოცელი დამახინჯების საკითხის დასაბუთებისას, მაგრამ მართო მათ საფუძველზე დამახინჯების საკითხის გადაჭრა არ არის სწორი. ამ ცნებებს უნდა დაემატოს ესთეტიკური ხასიათის ისეთი ცნებები, როგორც არის: „სახის არასასიამოვნო შესახედაობა“ „ზიზღის გამომწვევი შესახედაობა“ „სახის მახინჯი ფორმა“ და სხვა ამგვარი.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ მაგალითები და მივუთითეთ იმ შეცდომებზე, რომლებიც დაკავშირებულია სახის წარუხოცელი დაზიანების შედგენილობის ობიექტური მხარის ერთერთი ელემენტის, შედეგის დახასიათებასთან. მაგრამ გვხვდება ისეთი შეცდომებიც კვალიფიკაციაში, რომლებიც გამომდინარეობენ ამ შედგენილობის სუბიექტური მხარის არასრულყოფილი ანალიზიდან.

მოქმედების და შედეგის მიმართ პირის ფსიქიური დამოკიდებულების თვალსაზრისით, სახის წარუხოცელი დამახინჯება შეიძლება მიყენებულ იქნას,

1 ე. ს. შ ა ნ ი ძ ე — „ზოგიერთი შენიშვნა სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის ახალი წესების შესახებ“, „საბჭოთა სამართალი“ 1962 წლის № 1.

როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი განზრახვით. პირველ შემთხვევაში პირი ითვალისწინებს თავისი მოქმედების შედეგს და სურს ამ შედეგის დადგომა, ხოლო მეორე შემთხვევაში არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს მის დადგომას.

თეორიულად ეს სქემა დავას არ იწვევს, მაგრამ სხეულის დაზიანებათა საქმეების თავისებურებათა გამო, ყოველთვის ნათლად როდი ჩანს დამნაშავეს განზრახვის ნამდვილი შინაარსი და მისი მიმართულება. ხშირ შემთხვევაში დამნაშავე თვითონ წინასწარ ვერ საზღვრავს თუ რა ხასიათის და მოცულობის ზიანს მიიღებს დაზარალებულის ჯანმრთელობა მისი მოქმედებით. ეს იმის შედეგია, რომ უმეტეს შემთხვევაში სხეულის დაზიანებას აყენებენ ჩხუბში, უეცრად, წინასწარ მოფიქრებული განზრახვის გარეშე. ხშირად დაზიანებას აყენებენ იმ საგნებით რაც უეცრად მოხვდებათ ხელთ. ცხადია, ასეთ პირობებში დაზიანების მიყენებელი მთელი სიზუსტით ვერ განსაზღვრავს მისი მოქმედებით სახელდობრ რა სიმძიმის დაზიანება დადგება.

ამიტომ არის, რომ პირდაპირი განზრახვის ჩარჩოში საბჭოთა კრიმინალისტები განასხვავებენ განსაზღვრულ პირდაპირ განზრახვას და განუსაზღვრელ პირდაპირ განზრახვას. ზოგიერთი განსაზღვრულის და განუსაზღვრელის ნაცვლად ხმარობს კონკრეტულ და არაკონკრეტულ განზრახვას. განსაზღვრული პირდაპირი განზრახვის დროს პირი ზოგადად არამართო ითვალისწინებს თავის მოქმედების შედეგს, არამედ კონკრეტულად ითვალისწინებს თავის მოქმედების შედეგის ხასიათს და მოცულობას. თუ კი მაგალითად დამნაშავე დაზარალებულს ენას აჭრის, ის არა მართო იმას ითვალისწინებს, რომ დაზარალებულის ჯანმრთელობას აყენებს ზიანს, არამედ იმასაც, რომ დაზარალებულს აყენებს სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანებას.

პრაქტიკა მოწმობს, რომ სხეულის დაზიანებას უმეტეს შემთხვევაში აყენებენ განუსაზღვრელი პირდაპირი განზრახვით. თუ კი მაგალითად ჩხუბის დროს დამნაშავე მოწინააღმდეგეს ფიცრის ნაჭერს ურტყამს თავის არეში, ის მოქმედებს განუსაზღვრელ პირდაპირი განზრახვით, რამდენადაც მის ასეთ მოქმედებას შეიძლება შედეგად მოყვეს, როგორც მსუბუქი, ისე ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დაზიანება. ასეთ შემთხვევაში პირი ზოგადად ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას მოყვება პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება, მაგრამ ჩამოთვლილი შედეგებიდან თუ რომელი დადგება, იგი ამას ვერ საზღვრავს.

აზრთა ერთიანობა არ არის იმ საკითხში თუ სხეულის დაზიანების საქმეებზე როდის არის პირის განზრახვა განსაზღვრული და როდის განუსაზღვრელი. ამასთან აზრთა სხვაობა არ არის იმაშიც, რომ სხეულის დაზიანების საქმეებიდან ყველაზე მკვეთრად გამოხატული განსაზღვრული პირდაპირი განზრახვა გვაქვს სხეულის დასახიჩრების¹ და სახის წარუხოცელი დამახინჯების უმეტეს შემთხვევაში. რასაკვირველია, არ არის გამორიცხული, დასახიჩრების და სახის წარუხოცელი დამახინჯების მიყენების შესაძლებლობა განუსაზღვრელი პირდაპირი განზრახვითაც.

ნათქვამი ნათელი რომ გახდეს შევჩერდებით ჩვენი რესპუბლიკის საგამომძიებლო-სასამართლო პრაქტიკის რამდენიმე მაგალითზე.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს განაჩენით ტ. გ-ვა ცნობილ იქნა დამ-

¹ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დასახიჩრებას უწოდებენ ისეთ მძიმე კატეგორიის დაზიანებას, როდესაც პირდაპირი განზრახვით ზიანს აყენებენ დაზარალებულის რომელიმე გარკვეულ ორგანოს უნარს (მეტყველების, სმენის, სასქესო ორგანოებს და სხვა).

ნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის I ნაწილით იმისათვის, რომ მან მშურისძიების ნიადაგზე თავის ყოფილ მეუღლეს გოგირდის სიმყავე შეასხა თვალეზში და დააბრმავა.

მეორე შემთხვევაში ქ. თბილისის ლენინის სახ. რაიონის სახალხო სასამართლომ კ. ქ-ვეგი დამნაშავედ ცნო სსკ 110 მუხლის I ნაწილით იმისათვის, რომ მან მოქ. ე. წ-აურს ჩხუბის დროს სახის არეში ჩაართვა იატაკის საწმენდი ჯოხი და მიაყენა სახის წარუხოცელი დამახინჯება.

პირველი მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ მსჯავრდებული ტ. გ-ვა გოგირდის სიმყავეს ასხამდა რა მის ყოფილ ქმარს, მოქმედებდა განსაზღვრული პირდაპირი განზრახვით, რადგან ის ითვალისწინებდა რომ, დაზარალებულს აყენებდა სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანებას.

მეორე შემთხვევაში მსჯავრდებულმა კ. ქ-ვეგმა ჩაართვა დაზარალებულს იატაკის საწმენდი ჯოხი სახის არეში, იგი მოქმედებდა განუსაზღვრელი პირდაპირი განზრახვით, რადგან წინასწარ ვერ ითვალისწინებდა თუ რა ხასიათის და მოცულობის ზიანი დადებოდა მისი მოქმედებით. სახეში ჯოხის დარტყმით კ. ქ-ვეგს დაზარალებულისათვის შეეძლო გარდა მძიმე კატეგორიის დაზიანებისა, მიეყენებინა როგორც მსუბუქი, ისე ნაკლებად მძიმე დაზიანებაც.

ნათქვამიდან ნათელი ხდება, რომ დამნაშავეს განზრახვის ნამდვილი შინაარსის დასადგენად, საკმარისი არ არის გამოვიდეთ ისეთი სუბიექტური ხასიათის გარემოებებიდან, როგორიც არის დამნაშავეს და დაზარალებულის ურთიერთობა შემთხვევამდე, მოტივი, მიზანი და სხვა. ხშირ შემთხვევაში დამნაშავეს განზრახვის ნამდვილ შინაარსზე და მის მიმართულებაზე ლაპარაკობს ისეთი ობიექტური ხასიათის გარემოებანი, როგორიც არის დამნაშავეს მიერ გამოყენებული იარაღი და საშუალებები, მიყენებული დაზიანების ხასიათი და მისი ლოკალიზაცია და რაც მთავარია დანაშაულის ჩადენის ხერხი. ხშირ შემთხვევაში თვით მოქმედება განსაზღვრავს იმას თუ რა ამოქმედებდა დამნაშავეს. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „...რა ნიშნების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ რეალურ პიროვნებათა რეალურ „ზრახვებსა და გრძნობებზე“? ცხადია, ასეთი ნიშანი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: ამ პიროვნებათა მოქმედება, — ხოლო რადგან ლაპარაკია მხოლოდ საზოგადოებრივ „ზრახვებსა და გრძნობებზე“ ამიტომ უნდა დაემატოს კიდევ: პიროვნებათა საზოგადოებრივი მოქმედება ვ. ი. სოციალური ფაქტები...“¹

რამდენადაც დანაშაულის ჩადენის ხერხი არის მოქმედების განხორციელების მეთოდი, რომლის უკან დგას სუბიექტის სურვილი და განზრახვა, ამდენად ხშირ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ხერხი მოქმედების და შედეგის მიმართ პირის ფსიქიკური დამოკიდებულების ნამდვილ შინაარსზე მიუთითებს. სწორედ ამაშია დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური მხარის ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა.

სასამართლო პრაქტიკა საბინაო საშენებლო კოოპერატივის ნაპრობასთან დაკავშირებით

შ. ჩიკვაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ დასახა საბინაო მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა, რომლის წარმატებით გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საბინაო კოოპერატიულ მშენებლობას. ხუთწლედში (1966-1970 წ.წ.) დასახულია სამჯერ და უფრო მეტად გაიზარდოს საბინაო კოოპერატიული მშენებლობა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბინაო კოოპერატიული მშენებლობის გაფართოება, იწვევს სასამართლოებში ამ კატეგორიის საქმეთა ზრდას.

ამ სტატიაში განვიხილავთ სამართლებრივი ხასიათის ზოგიერთ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრობასთან. დავები პირობითად შეიძლება დაყოფილი იქნეს ორ კატეგორიად: პირველს მიეკუთვნება დავები დაკავშირებული კოოპერატივში წევრად მიღებაზე უარის თქმასთან, მეორეს — დავები, რომლებიც წარმოშობილია კოოპერატივიდან წევრის გარიცხვის გამო.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების თანახმად კოოპერატივის წევრად მიღების საკითხს წყვეტს მხოლოდ კოოპერატივის წევრთა საერთო კრება. გადაწყვეტილება კოოპერატივის წევრად მიღებაზე უარის თქმის შესახებ არ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას სასამართლოში. მისი გადასინჯვა შეუძლია მხოლოდ კოოპერატივის წევრთა საერთო კრებას, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა. სხვა ორგანოებს, მათ შორის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, უფლება არა აქვს უშუალოდ გადაწყვიტოს კოოპერატივში წევრის მიღების საკითხი. თუ აღმასრულებელი კომიტეტი ცნობს, რომ კრების გადაწყვეტილება უკანონოა, მას უფლება აქვს წინადადება მისცეს კოოპერატივის წევრთა საერთო კრებას გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება, აგრეთვე ურჩიოს კრებას განმცხადებელი მიიღოს კოოპერატივის წევრად.

სასამართლო ორგანოები სწორად იქცევიან როდესაც წარმოებაში არ ღებულობენ ასეთ განცხადებებს. კოოპერატივის წევრად მიღებაზე უარის თქმის გასაჩივრებით წარმოიშობა დავა არა სამოქალაქო უფლებაზე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისა და მის წევრთა შორის, არამედ საერთო კრების გადაწყვეტილებასა და პირს შორის, რომელიც არ არის კოოპერატივის წევრი.

ამ საერთო წესიდან გამონაკლისი დაშვებულია ზოგიერთი პირის მიმართ, რომელთაც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების შესაბამისად უპირატესი უფლება აქვთ კოოპერატივში წევრად მიღებისა.

კერძოდ ასეთი პირებია:

ა) მემკვიდრეები, რომლებიც მეპაიის სიცოცხლეში სარგებლობდნენ საცხოვრებელი ფართობით, ხოლო მათ მიერ კოოპერატივში შესვლაზე უარის

თქმის შემთხვევაში — გარდაცვლილის ოჯახის წევრები, რომლებიც მემკვიდრეებად არ ითვლებიან, მაგრამ გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრობდნენ და მასთან ერთად ეწეოდნენ საერთო მეურნეობას (24-ე პუნქტი);

ბ) მეუღლე, რომელიც კოოპერატივის წევრად არ ითვლება — პაის გაყოფის ან სასამართლოს მიერ პაის ნაწილზე უფლების ცნობის შემთხვევაში (25-ე პუნქტი).

შევჩერდეთ პირველ რიგში კოოპერატივის წევრთა შემადგენლობიდან გასული ან გარიცხული პირის ოჯახის წევრების კოოპერატივში უპირატესი მიღების უფლებაზე. ამას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდება ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელია. მაგრამ, ჩვენის აზრით, კოოპერატივის შემადგენლობიდან გასულ პირთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს ყველა შემთხვევაში აქვთ კოოპერატივში შესვლის უპირატესი უფლება, თუმცა წესდებაში ამაზე პირდაპირ არ არის ნათქვამი. ასეთი დასკვნის მიღება შეიძლება წესდების სხვა ნორმების ლოგიკური განმარტებით.

უპირველეს ყოვლისა, ძნელი წარმოსადგენია, რომ სანიმუშო წესდება რომელიც მეპაიის გარდაცვალებისა და აგრეთვე მეპაიესთან ერთად ცხოვრების შეუძლებლობის მიზეზით გარიცხვის შემთხვევაშიც კი მისი ოჯახის წევრებს ანიჭებს კოოპერატივში შესვლის უპირატეს უფლებას, ამავე დროს ართმევდეს ასეთ უფლებას იმ მეპაიის ოჯახის წევრებს, რომელიც კოოპერატივის შემადგენლობიდან გასულია სხვა საფუძვლით.

გარდა ამისა, სანიმუშო წესდების ნორმა იმის შესახებ, რომ მეპაიეს უფლება აქვს საერთო კრების თანხმობით გადასცეს პაიზე უფლება მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს, შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ როგორც ამ პირებისათვის კოოპერატივის წევრად შესვლის უპირატესი უფლების მინიჭება.

მეპაიეს კოოპერატივიდან გასვლის შემთხვევაში შეუძლია განკარგოს საპაიო თანხა თავისი შეხედულებით, რისთვისაც არავის თანხმობა არ არის საჭირო. ჩვენის აზრით სანიმუშო წესდება, რომელიც კოოპერატივის წევრს უფლებას აძლევს, რომ პაი გადასცეს მასთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს აწესებს, რომ მხოლოდ ამ პირებს და არა საერთოდ საპაიო თანხის მიმღებ პირებს აქვთ კოოპერატივში შესვლის უპირატესი უფლება.

ამრიგად სანიმუშო წესდების ცალკეული ნორმების ანალიზი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ კოოპერატივიდან გასული მეპაიის ოჯახის წევრებს აქვთ კოოპერატივში შესვლის უპირატესი უფლება. ამიტომ მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდებაში გათვალისწინებულ იქნეს კოოპერატივის შემადგენლობიდან გასული მეპაიის ოჯახის კოოპერატივში მიღების უპირატესი უფლება ყველა შემთხვევაში.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა საერთო კრებას შეუძლია უარი უთხრას კოოპერატივის წევრად მიღებაზე, იმ პირებს, რომლებსაც აქვთ კოოპერატივში შესვლის უპირატესი უფლება, მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ იმ საერთო მოთხოვნებს, რომლებიც წარედგინება კოოპერატივში შემსვლელ პირებს. საერთო კრების უსაფუძვლო უარი კოოპერატივის წევრად მიღების შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას სასამართლო წესით. ასეთი პირობებში კოოპერატივის წევრად მიღებაზე უარის თქმა ნიშნავს მოცემული პირის მიერ შეძენილი უფლების დარღვევას. ამ შემთხვევაში

დავა წარმოებს აღმოცენებული სამოქალაქო უფლების შესახებ და ამ დავის გადაწყვეტა მიეკუთვნება სასამართლო ორგანოების კომპეტენციას.¹

ამასთან ერთად უკანასკნელი პერიოდის (1964-1965 წლები) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასამართლო ორგანოების უმრავლესობა განხილვისათვის არ ღებულობს წარმოებაში მოქალაქეთა სარჩელებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად მიღების შესახებ. ზოგიერთი სასამართლოების მიერ ასეთი სარჩელები მიღებულ იქნა წარმოებაში, მაგრამ განხილვის პროცესში საქმე მოსპობილ იქნა ასეთი დავის სასამართლოს ორგანოებისათვის არაქვემდებარეობის მოტივით.

ამ მოსაზრებათა სისწორის მტკიცების ერთ-ერთ მოტივად მიუთითებენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების იმ ნორმაზე, რომლის თანახმად კოოპერატივის წევრად მიღება არის მხოლოდ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების კომპეტენცია.

ჩვენის აზრით ასეთი მოსაზრება არადამაჯერებელია, რამდენადაც კოოპერატივის საერთო კრების განსაკუთრებული უფლება კოოპერატივის წევრად მიღების შესახებ შეეხება იმ პირებს, რომლებიც არავითარ ურთიერთობაში არ იმყოფებიან კოოპერატივთან.

კოოპერატივიდან გასული (ნებაყოფლობით ან გარიცხვით) მეპაიესთან მცხოვრები ოჯახის წევრების უფლება ამ საცხოვრებელი ფართობით შემდგომში სარგებლობის შესახებ გარანტირებულია სანიმუშო წესდებით. ამ უფლების განხორციელების აუცილებელი პირობაა მეპაიის ოჯახის ერთ-ერთი წევრის კოოპერატივში შესვლა.

ის გარემოება, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდება მიუთითებს არა კოოპერატივის წევრად მიღებაზე, არამედ კოოპერატივში შესვლაზე, მოწმობს იმას, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მოცემულ შემთხვევაში აქვს კოოპერატივიდან გასული პირის ოჯახის ერთ-ერთი წევრის ნების გამომჟღავნებას კოოპერატივში შესვლის შესახებ.²

კოოპერატივში შესვლის საკითხი გადაწყვეტილი უნდა იქნეს მხოლოდ თვით მემკვიდრის მიერ. კოოპერატივიდან გასული პირის ოჯახის ერთ-ერთი წევრის ნება კოოპერატივში შესვლის შესახებ კოოპერატივისათვის სავალდებულოა.

ამრიგად, თუ სანიმუშო წესდებით გარანტირებული უფლება კოოპერატივში შესვლის შესახებ დარღვეულია კოოპერატივის მიერ, ამ უფლების აღდგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით. ასეთი დავა არის დავა სამოქალაქო უფლების შესახებ და ისევე როგორც ყოველ დავას სამოქალაქო უფლების შესახებ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად განიხილავს სასამართლო.

სასამართლოს მიერ სარჩელის განხილვა კოოპერატივის წევრთა საერთო კრების იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, რომლითაც უარყოფილი იქნა კოოპერატივიდან გასული მეპაიის ოჯახის წევრის თხოვნა კოოპერატივში მის მიღებაზე, არ წარმოადგენს საუწყებო ქვემდებარეობის პრინციპის დარღვევას.

¹ «Советская юстиция», 1960 г. № 14, стр. 27.

² А. И. Мальгинова, О правах на жилую площадь членов семьи пайщиков жилищно-строительных кооперативов, «Советское государство и право», 1965 г., № 5, стр. 121.

მეორე მოსაზრება, რომლითაც სასამართლო ორგანოები ასაბუთებენ აღნიშნული კატეგორიის სარჩელების სასამართლოს წესით განუხილველობის მართებულობას, არის ის, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების თანახმად სასამართლოს წესით განიხილება მხოლოდ სამოქალაქო უფლებრივი დავა კოოპერატივისა და მის წევრებს შორის. ხოლო აღნიშნული პირები კოოპერატივის წევრებს არ წარმოადგენენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრებაც უმართებულოა.

ის გარემოება, რომ სანიმუშო წესდების მიხედვით სასამართლო იხილავს მხოლოდ კოოპერატივისა და მის წევრთა შორის აღძრულ დავას არ ნიშნავს, რომ სხვა პირს, რომელიც არ არის კოოპერატივის წევრი უფლება არა აქვს მიმართოს სასამართლოს.

სანიმუშო წესდებაში ლაპარაკია მხოლოდ კოოპერატივის წევრების შესახებ იმიტომ, რომ სანიმუშო წესდების ძირითადი მიზანია კოოპერატივის საბინაო ურთიერთობის მოწესრიგება და არა კოოპერატივის ურთიერთობის მოწესრიგება მესამე პირებთან. მაგრამ ეს არ გამორიცხავს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სამოქალაქო უფლებრივი დავის სასამართლოს წესით გადაწყვეტის შესაძლებლობას სხვა პირებთან.

კოოპერატივის წევრად მიღების საკითხს წყვეტს მხოლოდ კოოპერატივის წევრთა საერთო კრება და არა მისი გამგეობა. ამიტომ გამგეობის უარი კოოპერატივის წევრად მიღებაზე არ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლო წესით, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს დავა სამოქალაქო უფლების შესახებ.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების 24-ე პუნქტის რედაქცია სრული მოცულობით არ განმარტავს გარდაცვალებულ მეპაიესთან ერთად მცხოვრები მემკვიდრეების კოოპერატივში შესვლის უფლებამოსილებას. სანიმუშო წესდების ამ პუნქტის ტექსტიდან („კოოპერატივს შეუძლია მიიღოს ისინი კოოპერატივის წევრებად“) ზოგიერთი სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კოოპერატივს უფლება აქვს არ მიიღოს აღნიშნული პირები. ასეთ მოსაზრებას მხარს უჭერს აგრეთვე ზოგიერთი ავტორი, კერძოდ, ე. ნ. გენძეხაძე. იგი მიუთითებს, რომ სხვა პირის მიერ პაის მემკვიდრეობის წესით მიღება კოოპერატივისათვის არ წარმოქმნის ვალდებულებას, რომ ეს პირი მიიღოს კოოპერატივის წევრად.¹


ასეთ მტკიცებას არ შეიძლება დავეთანხმეთ. როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა საერთო კრება ვალდებულია გარდაცვლილი მეპაიის მემკვიდრეები მიიღოს წევრებად, თუ ისინი ცხოვრობდნენ მოცემულ ბინაში.

სანიმუშო წესდების 24-ე პუნქტის სხვადასხვაგვარი გაგება მოწმობს ამ პუნქტის არასრულყოფილებას.

სასურველია, რომ აღნიშნული ნორმა ფორმულირებულ იქნეს როგორც გარდაცვლილი მეპაიის მემკვიდრეთა უფლება მათი კოოპერატივში მიღების მოთხოვნაზე.

მეპაიე და მისი ოჯახის წევრები, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა შემადგენლობიდან გარიცხვის შედეგად კარგავენ საცხოვრებელი ფართო-

¹ Е. Н. Гендзехадзе, Правовые вопросы строительной кооперации, «Вопросы Советского гражданского права в практике суда и арбитража», изд-во МГУ, 1960, стр. 202.



ბით სარგებლობის უფლებას და სხვა ქონებრივ უფლებებს. ამიტომ სავსებით გასაგებია გარიცხული პირის სურვილი კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ.

თუ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა კოოპერატივის წესდება, სწორად ცნობს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებას მეპაიის კოოპერატივის შემადგენლობიდან გარიცხვის შესახებ და არ გააუქმებს მას, მაშინ გარიცხულ პირს შეუძლია თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

პირთა მოთხოვნას — კოოპერატივის წევრთა შემადგენლობაში აღდგენის შესახებ სასამართლოები არ აკმაყოფილებენ, იმ მოტივით, რომ სასამართლოს არ შეუძლია განიხილოს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების შესაბამისად სამოქალაქო უფლებრივ დავას კოოპერატივსა და მის წევრებს შორის განიხილავს სასამართლო. დავა გარიცხვის შესახებ წარმოადგენს სამოქალაქო უფლებრივ დავას. მსგავსი დავების განხილვისათვის კანონით სხვა არავითარი წესები არ არის დადგენილი.

თუ დადგენილი იქნება, რომ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების უსწორო მოქმედება გამოიხატება მხოლოდ საწესდებო მოთხოვნის დარღვევაში (შემადგენლობის უსწორობა, საქმის ყოველმხრივ განხილვის არაუზრუნველყოფა და სხვა), მაშინ სასამართლო უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების გაუქმებით და საერთო კრებას მიეცეს საშუალება თავისი ნება გამოხატოს წესდებით განსაზღვრული ფორმით. თუ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება არსებითად არ არის სწორი, სასამართლოს შეუძლია უშუალოდ გადაწყვიტოს წევრობის საკითხი და მასთან დაკავშირებული მატერიალური სამართლის საკითხები.¹

პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლოს მიერ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების გაუქმება ნიშნავს თუ არა გარიცხული პირის კოოპერატივის წევრად აღდგენას, თუ აღნიშნული საკითხი ხელახლა უნდა განიხილოს კოოპერატივის წევრთა საერთო კრებამ?

ჩვენის აზრით, იმ გარემოების ძალით, რომ სასამართლო ორგანოებს მინიჭებული აქვთ უფლება განსაზღვრულ პირობებში გააუქმოს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება, კოოპერატივიდან გარიცხული პირი აღადგინოს თავის უფლებებში, ამ საკითხთან დაკავშირებით კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება საჭირო აღარ არის.

¹ См. «Судебная практика Верховного суда СССР», 1945 г., вып. III, стр. 18—19; «Социалистическая законность», 1952 г. № 3, стр. 92—93.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზა შემთხვევის პლგინზე

ო. გველაძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

კრიმინალისტიკური ექსპერტიზა შედარებით ახალი დარგია სასამართლო ექსპერტიზისა. იგი განსაკუთრებით განვითარდა ბოლო ხანს. წარმატებით იყენებს რა თავის საქმიანობაში ფიზიკის, ქიმიის, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, კიბერნეტიკის და სხვა მეცნიერებათა უახლეს მიღწევებსა და მონაცემებს, კრიმინალისტიკური ექსპერტიზა ისე, როგორც თვით კრიმინალისტიკა, უფრო სრულყოფილი, ბევრისმომცველი მეცნიერება გახდა.

საბჭოთა კრიმინალისტიკის ურომებში კრიმინალისტიკური ექსპერტიზა განხილულია, როგორც ექსპერტიზის სახე, რომელიც ლაბორატორიის პირობებში უნდა ჩატარდეს¹.

პროფ. ა. ი. ვინბერგის აზრით კი ლაბორატორიის გარეშე შეუძლებელია ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთთა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევა². თუმცადა, როგორც საგამომძიებლო და საექსპერტო პრაქტიკის შესწავლად დაგვანახვა კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარება ლაბორატორიის გარეშე, კერძოდ კი შემთხვევის ადგილზე არა თუ შესაძლებელია, არამედ ხშირ შემთხვევაში — ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხების სრულყოფილად გადასაწყვეტად — საგალღებულოც კი არის.

შემთხვევის ადგილზე კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტ-კრიმინალისტი დასკვნას იძლევა არა გამომძიებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, არამედ შემთხვევის ადგილის უშუალო აღქმის, ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთთა ადგილზევე გამოკვლევის შედეგების მიხედვით.


კრიმინალისტიკური ექსპერტიზის შემთხვევის ადგილზე ჩატარების აქტუალურ საკითხებს საპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ცნობილმა საბჭოთა კრიმინალისტმა ბ. მ. კომარინეცმა, რომელსაც მიაჩნია, რომ კრიმინალისტიკური ექსპერტიზა შემთხვევის ადგილზე შემდეგ შემთხვევებში უნდა ჩატარდეს:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად საგალღებულოა არა მარტო ცალკეული ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევა, არამედ თვით შემთხვევის ადგილის და იქ არსებულ ობიექტების დათვალიერება-შემოწმება (ადგილმდებარეობის რელიეფი, ვზის მდგომარეობა, ცალკეული ნაგებობების ზომა და განლაგება, იატაკის ზედაპირის აგებულება, ავეჯის განლაგება და ზომა და ა. შ.);

2. იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხის

¹ Е. У. Зицер, Д. Я. Мирский, Б. И. Шевченко, Криминалистическая экспертиза, М., 1948; Б. Л. Зотов, Особенности экспертного исследования, «Методика криминалистической экспертизы» № 1, М., 1960.

² А. И. Винберг, Криминалистическая экспертиза в советском уголовном процессе, М., 1956; стр. 9.



სრულყოფილად გადასაწყვეტად აუცილებელია შემთხვევის ადგილზე არსებული კვალბისა და სხვა საგნებს შორის ურთიერთკავშირის გამოკვლევა;

3. იმ შემთხვევაში, როდესაც კვალბიანი ნივთიერ-დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენა ლაბორატორიაში შეუძლებელია მათი სიდიდის გამო და აგრეთვე არსებობს საშიშროება, რომ ტრანსპორტით გადმოტანის დროს ეს ნივთმტკიცებები დაზიანდებიან¹.

ბ. მ. კომარინეცის აქ გამოთქმული მოსაზრებანი სავსებით სწორად უნდა მივიჩნიოთ, აქვე უნდა დაუმატოთ, რომ ექსპერტის მიერ შემთხვევის ადგილის პირადი აღქმა ყველაზე უფრო ეფექტური ფორმაა საქმის მასალების გაცნობისა, რაც მნიშვნელოვანია ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხების წარმატებით გადასაწყვეტად.

შემთხვევის ადგილზე ჩატარებული კრიმინალისტური ექსპერტიზის მეთოდიკა განსხვავდება ლაბორატორიული გამოკვლევის მეთოდიკისაგან. კრიმინალისტური ექსპერტიზა შემთხვევის ადგილზე შემდეგი ეტაპებისაგან უნდა შესდგებოდეს:

ა) ექსპერტი ეცნობა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, ფოტოსურათებსა და ნახაზებს (იმ შემთხვევაში თუ ექსპერტიზა ტარდება შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ).

ბ) ათვალიერებს შემთხვევის ადგილს და აწარმოებს შემთხვევის ადგილზე არსებული საგნებისა და კვალბის წინასწარ გამოკვლევას.

გ) წინასწარი გამოკვლევის და გამოძიებლისაგან საქმის შინაარსის შეტყობინების შემდეგ რეკომენდაციას აძლევს გამოძიებელს თუ რა კითხვები შეიძლება გადაწყდეს ექსპერტიზის საშუალებით.

დ) ეცნობა ბრალდებულის (თუ ცნობილია), მოწმეების და დაზარალებულის დაკითხვის ოქმებს და აზუსტებს ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელ მონაცემებს (მაგალითად — ცეცხლსროლელი იარაღით მკვლელობის შემთხვევაში — აზუსტებს თუ სად იმყოფებოდა სროლის დროს მსროლელი და დაზარალებული, რამდენჯერ იქნა მოხდენილი გასროლა, როგორი იყო სროლის მიმართულება და ა. შ.).

ე) აწარმოებს შემთხვევის ადგილზე არსებული კვალბისა და ნივთიერ-დამამტკიცებელი საბუთების დეტალურ გამოკვლევას და აღწერს კვლევის შედეგებს.

ვ) ადგენს ექსპერტის დასკვნას.

შემთხვევის ადგილზე ორი სახის კრიმინალისტური ექსპერტიზა ტარდება: ტრასოლოგიური და ბალისტიკური.

ტრასოლოგიური ექსპერტიზის ობიექტებია: ადამიანის კვალი (თითების, ფეხების, კბილების, ფრჩხილების), ადამიანის ფეხსაცმლის და ტანსაცმლის კვალი, სხვა და სხვა ინსტრუმენტებისა და იარაღების კვალი, რომლებიც გამოყენებული იყო შენობის (შესავლელი კარის, ფანჯრის, კედლის) გასატეხად, სატრანსპორტო საშუალებათა კვალი, ცხოველების და სხვა საგნების კვალი.

ბალისტიკური ექსპერტიზის ობიექტებს წარმოადგენენ: ცეცხლსროლელი იარაღი, ვაზნები, მასრები, ტყვიები, საფანტი, ტიზი, გასროლის კვალბი.

ტრასოლოგიური და ბალისტიკური ექსპერტიზების ჩატარებისას ხშირად

¹ В. М. Комаринец, Участие экспертов-криминалистов в проведении следственных действий по особо опасным преступлениям против личности, «Теория и практика судебной экспертизы» выпуск I(II), М., 1964, стр. 22.

წარმოიშვება რიგი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ შემთხვევის ადგილზეა შესაძლებელი. აღნიშნულის დასადასტურებლად რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ ჩვენი პრაქტიკიდან:

1. მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ს. გ.-მ ერთ ახალგაზრდას სრულიად უმიზეზოდ აუხიროდა და გინება დაუწყო. მიერე ესეც არ აკმარა და ხელი გაართყა სახეში. ჩხუბის დროს, ს. გ.-მ ჯიბიდან იარაღი ამოიღო და უდანაშაულო კაცს სასიკვდილო ჭრილობა მიაცენა. ბოროტმოქმედი დააკავეს, მას არ უარყვია დანაშაული, მაგრამ აქვე ისეთი ვერსია წამოაყენა, რომელსაც მთლიანად შეეძლო შეეცვალა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე: ორი კაცი დამესია, მიწაზე დამაგდეს, ცემა დამიწყეს, შემდეგ დახრჩობა დამიპირეს და მეც იძულებული ვიყავი მოგერიების მიზნით იარაღი მესროლაო—განმარტა ბრალდებულმა. გამომძიებელს საეჭვოდ ეჩვენა წამოყენებული ვერსია, რადგან მოწმეთა ჩვენებით ბრალდებულმა მაშინ მოახდინა გასროლა, როდესაც ფეხზე იდგა და იარაღი გაჭიმულ ხელში ეკავა.

გამომძიებელმა ბალისტიკური ექსპერტიზა დანიშნა, რათა გადაეწყვიტა საკითხი — თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა მსროლელი დაზარალებულის მიმართ დანაშაულის ჩადენის დროს, ე. ი. გასროლის დროს.

ექსპერტიზა შემთხვევის ადგილზე ჩატარდა, ვინაიდან შემთხვევის ადგილის დათვალიერების გარეშე (სადაც მოხდენილ იქნა ვიზირება, დაზუსტდა გასროლის ადგილი, შემოწმდა ნიადაგის ზედაპირის მდგომარეობა) შეუძლებელი იყო მსროლელის ადგილმდებარეობის განსაზღვრა, ე. ი. ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხის გადაწყვეტა.

2. სოფელ ლ-ში მალაზია გაქურდეს, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს დადგენილ იქნა, რომ ბოროტმოქმედებს იატაკი ამოეჭრათ, საქონლის გატანის დროს კი კედელი გამოენგრიათ.

გამოძიების პროცესში ეჭვი იქნა აღებული გაქურდვის ინსცენირებაზე. გამომძიებელმა ტრასოლოგიური ექსპერტიზა დანიშნა შემდეგი საკითხების გადაწყვეტად:

- ა) რომელი მხრიდან იყო ამოჭრილი იატაკი ზემოდან თუ ქვემოდან;
- ბ) რომელი მხრიდან იყო გამოენგრეული კედელი გარედან თუ შიგნიდან;
- გ) მალაზიის კედელზე არსებული კვალები, რაც აღმოჩნდა კედლის გამოენგრევის დროს იყო თუ არა დატოვებული მალაზიის გამყიდველის კუთვნილი ჩაქუჩით.

ცხადია, რომ ამ შემთხვევაშიც ექსპერტიზა შემთხვევის ადგილზე ჩატარდა, ვინაიდან ლაბორატორიის პირობებში ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელი იყო.

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარება ლაბორატორიის გარეშე, კერძოდ კი შემთხვევის ადგილზე, არა თუ შესაძლებელია, არამედ ხშირ შემთხვევაში აუცილებელიცაა.

კრიმინალისტური ექსპერტიზის შემთხვევის ადგილზე ჩატარება უნდა დაინერგოს ჩვენ საგამომძიებლო და საექსპერტო პრაქტიკაში, ამას მხოლოდ დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია.



იკს ერთი დამკვეთი გამომუშავებისა და დაუსჯადი

ა. ტაბიძე,

ქ. თბილისის პროკურორი.

საბჭოთა საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც უხეშად არღვევენ მართლწესრიგს, ხულიგნური და სხვა დანაშაულებრივი მოქმედებით მშრომელებს ხელს უშლიან შემოქმედებით შრომასა და წორმალურ დასვენებაში.

ხულიგნობის ჩამდენი პირი აშკარა უპატივცემულობას იჩენს საზოგადოების მიმართ, ამიტომ, ხულიგნობით დაზარალებულია მთელი საზოგადოება. ამის გამო, ხულიგნობის და მისი წარმომშობი მიზეზების ლიკვიდაცია საყოველთაო საქმეა.

საზოგადოებრიობა სავსებით სამართლიანად მოითხოვს, რომ ხულიგნებსა და დებოშირებს მკაცრად აგებინონ პასუხი; შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომ მათ ფეხქვეშ მიწა იწვოდეს, რომ ხულიგნობის თითოეული შემთხვევა გადაჭრით აღკვეთონ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა.

ხელმძღვანელობდა რა მშრომელთა სურვილებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. მიღებულ დადგენილებით განისაზღვრა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები ხულიგნობის აღმოფხვრისა და სოციალისტური კანონების განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამავე დროს მიიღო სპეციალური ბრძანებულება, რომლითაც გაზარდა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ხულიგნური მოქმედებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულება „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ კატეგორიულად მოითხოვს, რომ ხულიგანი, როგორც წესი პატიმრობაში იქნეს აყვანილი და არ იქნეს დაშვებული მათ მიმართ რაიმე სახის შემწყნარებლობა.

ამასთანავე ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების დასახული ღონისძიებანი განხორციელდეს სოციალისტური კანონიერების უმკაცრესი დაცვით. აუცილებელია სასჯელის მკაცრი ღონისძიებანი გონივრულად შეუხამონ საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და აღზრდის ღონისძიებებს იმ პირების მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს მცირემნიშვნელოვანი სამართალ-დარღვევა და რომლებიც შეიძლება გამოსწორდნენ. ასეთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მათი იზოლირება საზოგადოებიდან.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს ახალგაზრდობის მხრივ, კერძოდ კი მოსწავლეებისა და სტუდენტების მიერ.

ამასთან ხულიგნობის დიდი ნაწილი სიმთვრალეშია ჩადენილი.

იმის საილუსტრაციოდ თუ რა ზიანი მოაქვს სიმთვრალეს, რამდენი სპეციალისტი და თანამდებობის პირი გამოიყვანა წყობილებიდან ამ სენმა, უამრავი კონკრეტული ფაქტის დასახელება შეიძლებოდა.

ლოთობის შედეგად ხდება ავტოავარიები, ხულიგნობა, მკვლელობა, დაჭრა და სხვა. ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა ხელს უწყობს ყოველგვარი დანაშაულის და მათ შორის ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლასაც.

მიმდინარე წლის 9 აგვისტოს პლენაროვის გამზირზე სამტრედიის სპეციალიზებულ მდარშიაში მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა გივი დიმიტრის ძე ბაბუციძემ (ალკჳ წევრი, საშუალო განათლებით, ერთ-ერთი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კონსტრუქტორი) და გოდერძი მიხეილის ძე დიასამიძემ (რკინიგზის დეპოს ზეინკალი) დეზოში ატეხეს, დაამტკრიეს ბოთლები, შეურაცყოფა მიაყენეს თანამშრომლებს, არ დაემორჩილნენ და ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენეს მილიციის მუშაკებს. დამნაშავენი სამსჯავროს წინაშე წარსდგნენ ახალი ბრძანებულების მიხედვით.

სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა ი. ა. ვარტიკიანმა ლუნაჩარსკის ქუჩაზე ჩაიდინა ხულიგნობა, მოქ. ს. ბაქრაძეს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა. ვარტიკიანი სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულია.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა ნუგზარ ივანეს ძე ჭკუასელმა, რომელიც ხულიგნობისათვის 1965 წელს მსჯავრდებული იყო პირობით, მიმდინარე წლის მაისის თვეში კლარა ცეტკანის ქუჩიდან გაიტაცა სხვისი მანქანა. სასამართლოს განაჩენით ჭკუასელს პატიმრობა მიესაჯა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძა-


ნებულებით — „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ დადგენილია, რომ დანაშაულის ჩადენა სიმთვრალეში არის ვარემოება, რომელიც ამძიმებს ამ პირის პასუხისმგებლობას.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, სამეურნეო ხელმძღვანელებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ამოცანაა მკაცრად გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა მოსახლეობაში, უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობასთან, საწარმოებში, მშენებლობაზე, სასწავლო დაწესებულებებში. ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებენ სკოლა და მშობლები. თუ ჩვენ ანალიზს გავუკეთებთ ახალგაზრდობის მიერ ჩადენილ დანაშაულს, დავინახავთ, რომ უმეტესად მას ჩადიან ახალგაზრდები, რომლებიც მშობლების მეთვალყურეობის გარეშე იმყოფებიან ან, რომლებიც სწავლობენ ისეთ სკოლაში, სადაც აღმზრდელობითი მუშაობა დაბალ დონეზე დგას.

მშობლები და მასწავლებლები, რომლებიც უღარდელად ეკიდებიან ახალგაზრდობის აღზრდას და ამით ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას, გამოვლინებულ უნდა იქნან და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მათ მიმართ გატარდეს საჭირო ზომები. (დაგმობილი იქნას მათი ქცევა რადიოს და ტელევიზიის საშუალებით).

საზოგადოებრიობა არ უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო მოქმედების გულგრილი მყურებელი. თითოეული მისი წევრი უნდა აღაშფოთოს ხულიგნობის ფაქტებმა და არ უნდა დატოვოს იგი რეაგირების გარეშე. ეს იქნება კოლექტიური ზეგავლენის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება. იგი ფართოდ უნდა გამოვიყენოთ. სამწუხაროდ ყოველთვის ასე როდი ხდება.

მოქ. ვერა ტინდიევა (მცხ. შაუმიანის ქ. № 46) არ ეწეოდა საზოგადოებისათ-



ვის სასარგებლო შრომას, მიუხედავად იმისა, რომ მას ორი შვილი ჰყავს და ფიზიკურად ჯანმრთელია. იგი ოთხჯერ არის ნასამართლები. უკანასკნელად ქურდობაში თავისი შვილი, არასრულწლოვანი გურამი ჩაითრია, ორივენი პასუხისგებაში არიან მიცემული. გარშემო მყოფთ, რომ თავის დროზე დაეყენებინათ საკითხი ვერა ტინდივაზე შვილების ჩამორთმევის შესახებ, ეს უდავოდ სასარგებლო იქნებოდა საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულებით „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ წვრილმანი ხულიგნობა, თუ ეს მოქმედება თავისი ხასიათით არ იწვევს სისხლის სამართლებრივი სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებას, ისჯება პატიმრობით ათიდან — თხუთმეტ დღემდე, ან ერთიდან — ორ თვემდე შრომა-გასწორებითი მუშაობით ან ჯარიმით 10-დან — 30 მანეთამდე. მოსამართლის ან მილიციის უფროსის დადგენილება აღმინისტრაციული ღონისძიების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

პატიმრობაში მყოფთ გადახდებათ კვებისა და რჩენის ღირებულება. ეკრძალებათ ამანათების მიღება, კვების პროდუქტების ყიდვა. მათ შრომის აუნაზღაურებლად იყენებენ სამუშაოზე ქუჩების, ეზოების, საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების გასასუფთავებლად და სხვა ფიზიკურ სამუშაოებზე. ხოლო წლის განმავლობაში თუ მეორედ ჩაიდენენ წვრილმან ხულიგნობას, სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი ხულიგნობისათვის ბრძანებულების მე-9 მუხლის მიხედვით. ამ მუხლით ხულიგნობა, ესე იგი, საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობის გამომხატველი განზრახვი მოქმედება, ისჯება სისხლის სამართლის წესით თავისუფლების აღკვეთით

ექვსი თვიდან ერთ წლამდე ვადით, ან ამავე ვადით გამასწორებელი სამუშაოებით ან ჯარიმით 30-დან — 50-მანეთამდე.

ბოროტეული ხულიგნობა, ესე იგი, იგივე მოქმედება, რომელიც თავისი შინაარსით გამოირჩევა დიდი ცინიზმით, ან განსაკუთრებული თავხედობით, ან დაკავშირებულია წინააღმდეგობის გაწევასთან, ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის, ან ხულიგნური მოქმედების აღმკვეთი მოქალაქეებისათვის, ან ისეთი პირის მიერ, რომელიც წინა დანასამართლები იყო ხულიგნობისათვის ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთი წლიდან ხუთ წლამდე ვადით.

ცეცხლმსროლელი და ცივი იარაღის ხმარებით ჩადენილი ხულიგნობა საზოგადოებრივად უფრო საშიში დანაშაულია და ყველა ზომა უნდა მივიღოთ უნებართვოდ იარაღის ტარების აღსაკვეთად, განსაკუთრებით სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. მილიციის ორგანოებთან ერთად, ამ საქმეში დიდ როლი უნდა შეასრულონ პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. უნდა შევძლოთ, რომ არც ერთი ახალგაზრდა არ გვყავდეს დაუსაქმებელი, უსაქმურობა და პარაზიტული ცხოვრება წარმოშობს ყოველგვარი სახის დანაშაულს და კერძოდ ხულიგნობას.

უსაქმურობისა და პარაზიტული ცხოვრების წინააღმდეგ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველგვარი დანაშაულის აცილების საქმეში. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო იმაში როდი გამოიხატება, რომ მკაცრად დაისაჯოს დამნაშავე, საჭიროა აცილებულ იქნას დანაშაული, აღმოიფხვრას მისი წარმომშობი მიზეზები და პირობები, გაატაროს პროფილაქტიკური ღონისძიება, რათა მერყევ ელემენტებს არ მიეცეთ შესაძლებლობა დანაშაულის ჩადენისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური

პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებაში განსაზღვრულია მთელი რიგი ღონისძიებანი იმისათვის, რომ გაძლიერდეს ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლა ქუჩებში, სტადიონებზე, პარკებში, კლუბებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში. ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდ ქალაქებში დამატებით შეიქმნება მილიციის სპეციალური მოტორიზებული ნაწილები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საპატრულო-საგუშავო სამსახურის გასაწყვეად. გაფართოვდა მილიციის მუშაკთა უფლებები იმ დანაშაულებრივ მოქმედებათა აღსაკვეთად, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოქალაქეთა ჯანმრთელობას ან შეურაცყოფენ მის ღირსებას. დასახულია იმ პირთა ძებნის გაუმჯობესების ღონისძიებანი, რომლებიც გამოძიებას ან სასამართლოს ემალევიან, აგრეთვე მუქთახორების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებანი.

სსრ კავშირის პროკურატურისა და მისი ორგანოების წინაშე დასახულია ამოცანა გააძლიერონ ზედამხედველობა იმისადმი, რომ სახელმწიფოს ორგანოები, თანამდებობის პირები და ცალკეული მოქალაქენი ზუსტად და განუხრელად ასრულებდნენ სოციალისტურ კანონიერებას. მართლმსაჯულება უნდა ხორციელდებოდეს კანონის შესაბამისად, რათა ყველა ვინც დანაშაული ჩადინა, სამართლიანად დაისაჯოს და არც ერთი უდანაშაულო არ იყოს მსჯავრდებული.

მიღებულ გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების ხელმძღვანელთა, აგრეთვე პირველადი პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებისა და პროფკავშირების კომიტეტთა თავმჯდომარეების მნიშვნელოვანი როლი

მშრომელთა კოლექტივებში სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად. ისინი ადმინისტრაციული ორგანოების და სახალხო რაზმელთა მასალების მიხედვით, რომლებიც ეხება ცალკეულ პირთა ხულიგნობისა და სხვა უღირსი საქციელის ფაქტებს, მოვალენი არიან არა უგვიანეს 10 დღისა ვაატარონ სამართალდამრღვევთა მიმართ საჭირო ღონისძიებები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებების მიხედვით საწარმოს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციამ, აგრეთვე პროფკავშირულმა კომიტეტებმა საჭირო შემთხვევაში ხულიგნობის ჩამდენ პირებს ნაწილობრივად ან მთლიანად უნდა მოუსპონ პრემიები წარმოებაში, არ უნდა მისცენ დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების შეღავათიანი საგზურები, მათ შეიძლება გადაუწიონ საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგი. სოციალისტური შეჯიბრებების შედეგების შეჯამებისას და აგრეთვე საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობის შეფასებისას უნდა ვაითვალისწინონ, როგორც ერთ-ერთი დიდი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, თუ რამდენად ასრულებენ კოლექტივის წევრები საზოგადოებასა და ყოფაცხოვრებაში ქვეყნის წესებს საბჭოთა კანონებისა და კომუნისტური მორალის მოთხოვნების შესაბამისად.

ხულიგნობის საქმეთა მნიშვნელოვანი კატეგორიისათვის შემოღებულია ხულიგნების სამართალში მიცემის შემცირებული ვადა. გამოკვლევის ორგანოებმა სულ ბევრი ხუთი დღის ვადაში უნდა გამოარკვიონ ჩადენილი დანაშაულის გარემოებანი და სამართლის დამრღვევის პიროვნება. ასეთი საქმეები სასამართლომ თავის სხდომაზე უნდა განიხილოს არა უგვიანეს ხუთი დღის ვადისა მათი სასამართლოში შემოსვლის



მომენტიდან. იმ პირების მიმართ, რომლებიც ხულიგნური მოქმედებისათვის დააკავეს, სასამართლოში საქმის განხილვამდე, მათ მიმართ აღმკვეთ ღონისძიებად არჩეულ უნდა იყოს პატიმრობა.

რომ უფრო ეფექტური იყოს სახალხო რაზმების მოქმედება ხულიგნების და დებოშირების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამისათვის მათ წასახალისებლად გათვალისწინებულია ღონისძიებანი, რომელთა თანახმად მათ მიეცემათ დამატებითი ფასიანი შვებულებები, აგრეთვე დაჯილდოვდებიან საპატიო სიგელებით, ფულადი პრემიებითა და ფასიანი საჩუქრებით.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მოსახლეობის აქტიობის შემდგომი განვითარების მიზნით, შემოღებულია სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ მოქალაქეთა ინტერესების დაცვას, რომლებმაც ინიციატივა გამოიჩინეს მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში; კანონით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მათ მიმართ ვინც დაემუქრება, ან ძალას იხმარს იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლე-

ბიც მოქმედებენ დანაშაულებრივ გამოვლინებათა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა ასაცდენად და აღსაკვეთად.

დანაშაულებრივ ქმედობათა წინააღმდეგ ბრძოლა და მისი გამომწვევი პირობებისა და მიზეზების აღმოფხვრა დაკავშირებულია ყველა საბჭოთა მშრომელი ადამიანის ინტერესებთან და ამიტომ ამ ბრძოლაში მონაწილეობა ყველა საბჭოთა ადამიანის წმინდა მოვალეობაა. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული იდეოლოგიური ზეგავლენის ყველა ფორმები — პრესა, რადიო, ტელევიზია, ლექციები და საუბრები, რომ ფართო მასები — მმართველობის ორგანოებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებულნი იბრძოდნენ, ხულიგნების, ლოთების და მართლწესრიგის სხვა დამრღვევთა წინააღმდეგ, რომ არც ერთი წესრიგის დამრღვევი არ დაარჩეს გამოუვლინებელი და დაუსჯელი.

საბჭოთა კავშირში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა ადამიანების მოქალაქეობრივი მოვალეობა და პატრიოტული ვალია.

თანმიმდევრულად და ორგანიზებულად ვებრძობოთ ხელივნობას

ა. ჟღენტი,

ქ. ქუთაისის პროკურორი.

პარტიისა და მთავრობის 1966 წლის 23 ივლისის ერთობლივი დადგენილება — დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ — პირდაპირ გამოძინარეობს სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებიდან და მიზნად ისახავს სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, ამასვე ემსახურება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულება — „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცება პარტიისა და ხალხის დიდი, ყოველდღიური ამოცანაა და მოითხოვს არა მარტო ადმინისტრაციული ზემოქმედების სრულყოფას, არამედ აგრეთვე მოსახლეობის ფართო მასების, საზოგადოებრივი აქტივობის შემდგომ ზრდას. მის წარმატებით გადაწყვეტაზე ბევრად და დამოკიდებული ადამიანთა ახალი, კომუნისტური ურთიერთობის განვითარება.


ხულიგნური მოვლენების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები გულისხმობს აგრეთვე ისეთი მძიმე სახის დანაშაულთა მიმართ ბრძოლის გაძლიერებას, როგორცაა მკვლელობა, სხეულის დაზიანებები, ძარცვა, ყაჩაღობა, გაუპატიურება და ა. შ.

1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულება მკაცრია. მისი მიღება და ცხოვრებაში გატარება დროული და აუცილებელია. მაგრამ აღნიშნული ბრძანებულებით მოქალაქეთა დასჯა სრულიადაც

არ არის თვითმიზანი. რამდენადაც ნაკლები იქნება ბრძანებულების გამოყენების შემთხვევები (რა თქმა უნდა ამ სახის დანაშაულის შემცირების პროპორციულად), მით უკეთესი შედეგები გვექნება კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შეფასებისას უნდა გამოვდიოდეთ არა ფორმალური სტატისტიკური მონაცემებიდან, არამედ ქალაქში, რაიონში და ა. შ. დამნაშავეობასთან ბრძოლის ფაქტიური მდგომარეობიდან.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ლოთობის და სხვა ამორალური ქცევების წინააღმდეგ საბრძოლველად საზოგადოებრიობის როლის გაძლიერება ნიშნავს — თვითეული მშრომელის, თვითეული ჩვენგანის აქტიურ მოქმედებას. უნდა ითქვას, რომ ჩვენს ქალაქში ჯერ კიდევ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. ადმინისტრაციულ ორგანოებს ქმედითად ვერ ეხმარებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ცალკეული მოქალაქენი. ზემოაღნიშნული ბრძანებულება კი იძლევა გარანტიას მოქალაქეთა აქტიური მოქმედებისათვის ამ მიმართებით. საზოგადოების ძალას წინ ვერ ათუღვებიან ერთიული დამნაშავეები, მოხულიგნო ელემენტები, რომლებიც თავისთავად მხდალები არიან. დღემდე ბევრი მოქალაქე ფიქრობს, რომ დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა, თითქოს მის პირად საქმეს არ წარმოადგენს. იგი



სხვამ უნდა გააკეთოს. საზოგადოება ცალკეული წევრებისაგან შედგება და ეს „სხვა“ — თვითეულს ნიშნავს. ცალკეულმა ორგანიზაციამ თუ მოქალაქემ მაგალითი უნდა მისცეს სხვებს, კონკრეტულად რა გააკეთა გზასაცდენილის სწორ გზაზე დაყენებისათვის, წესრიგის დამრღვევის გამოსწორებისათვის, მიუთითა თუ არა მას დროულად, მიიღო თუ არა ქმედითი ღონისძიება დარღვევის აღსაკვეთად.

ყოველგვარი მიმნებებლობა ამ საქმეში ხშირად მიიძე შედეგით მთავრდება.

ქუთაისის ავეჯის ფაბრიკის მუშამ ს. პ. ამირანაშვილმა ა/წლის 18 ივლისს დაახლოებით 21 საათზე მთვრალმა, საბჭოთა ქუჩაზე ტროლეიბუსის გაჩერებასთან მდგომ უცნობ მოქალაქეს რ. სოკოლოვას წინადადება მისცა თან გაჰყოლოდა. ამ უკანასკნელმა უარი განუცხადა და ავიდა ტროლეიბუსში. ამირანაშვილიც აყვა მას და მიმართა უტენსურო სიტყვებით. სოკოლოვა იძულებული გახდა მგზავრებისათვის ეთხოვა ხულიგნის თავდასხმისაგან დაცვა. სამწუხაროდ, არც ერთი მგზავრი არ გამოესარჩლა, ხოლო ამირანაშვილი განაგრძობდა დებოშს, გინებასა და სოკოლოვას საჯაროდ ცემას. ამ აღმავლობებელ ფაქტთან დაკავშირებით საქმის აღძვრა და დამნაშავის დაკავება გაკიანურდა ა/წლის 3 აგვისტომდე, რის შემდეგ ამირანაშვილი დაპატიმრებული იქნა და ამჟამად მისჯილი აქვს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამასთან საგულისხმოა, რომ ავეჯის ფაბრიკის დირექტორის მოადგილემ, პარტიულ მდივანმა და საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ, საგამომძიებლო ქვეგანყოფილებას ა. წლის 5 აგვისტოს გამოუგზავნეს შუამდგომლობა ამირანაშვილის საქმის მათ კოლექტივზე გადაცემის შესახებ, რაც სამარ-

თლიანად უარყოფილი იქნა ჩვენს მიერ.

არა მარტო დაწესებულება — ორგანიზაციები, არამედ ხშირად სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა ამ მიმართებით ფორმალურ ხასიათს ატარებს, „არ წყენინების“ პოლიტიკა მოქმედებს. გაძლიერებას მოითხოვს იდეოლოგიური მუშაობა, კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა ახალგაზრდობაში, აღმზრდელობითი მუშაობა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

საჭიროა კანონმდებლობის პრობანდის გააქტიურება, რათა მოქალაქეს სწორი წარმოდგენა ქონდეს არა მარტო კანონის შინაარსზე, არამედ მისგან სწორი დასკვნების გამოტანა შეეძლოს.

მართლწესრიგის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ საკანონმდებლო აქტებით შეუძლებელია. ამ საქმეში საჭიროა სოციალ-ეკონომიური, იდეურ-აღმზრდელობითი და სამართლებრივი ხასიათის ფართო კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება. უნდა შეიგნოს ყველამ, რომ ლოთის, ხულიგნის, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევის მიმართ — კანონი მკაცრია.

ადმინისტრაციულმა ორგანოებმა თავის მხრივ ოპერატიულ, სამძებრო, საგამომძიებლო მუშაობასთან ერთად არ უნდა დაუშვან კანონიდან რაიმე გადახვევა, რომ არც ერთი დამნაშავე არ დარჩეს დაუსჯელი და უდანაშაულო არ დაისაჯოს. დარღვევის ერთეული შემთხვევაც მეტად სამწუხარო შედეგს გამოიწვევს.

ხულიგნობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა სწარმოებდეს თანმიმდევრულად, დიდი მოთმინებით და ორგანიზებულად.

მთვრალ მდგომარეობაში ქუჩებში მოქალაქეთა გამოჩენისას, რაც საზო-

გადობრივი წესრიგის დარღვევას იწვევს, მილიციის ორგანოებმა მტკიცედ უნდა გამოიყენონ ბრძანებულებით მინიჭებული უფლებები ჯარიმის შესახებ. ეს ვრცელდება აგრეთვე იმ მშობლებზეთა მიმართაც, რომელთა არასრულწლოვანი შვილები ასეთივე მდგომარეობაში გამოვლენ ქუჩაში.

ხულიგნობის ყველა შემთხვევისას დაწყებული წვრილმანიდან ბოროტეული ხულიგნობის ჩათვლით, დამნაშავეს, როგორც წესი, აღმკვეთ ღონისძიებად აერჩევა წინასწარი პატიმრობა.

კ. კ. იოსელიანი, 54 წლის, უმაღლესი განათლებით, საგალანტერო ფაბრიკის ეკონომისტი, 1966 წლის 27 აგვისტოს (ბრძანებულების გამოქვეყნების ერთი თვის თავზე) დღის 16 საათზე გამოვიდა მთვრალი კიროვის ქუჩაზე — მილიციის საქალაქო განყოფილების წინ და ატეხა დებოში, ავინა მოქ. სმოლიაკს, ხოლო შემდეგ დანა დაარტყა მუცლის არეში, მილიციაში მიყვანისას განაგრძობდა დებოშს. ბრძანებულების მეცხრე მუხლის შესამე ნაწილით იგი დაპატიმრებულია.

ვ. ა. აფხაიძემ, 1937 წელში დაბადებულმა, სალოკომოტივო დეპოს მემანქანის თანაშემწემ, სკკპ წევრმა, ასევე მთვრალმა, სადგურ რიონის მოსაცდელ ბაქანზე მიმდინარე წლის 26 აგვისტოს, 23 საათზე ატეხა დებოში, საჯაროდ ავინა და ცემა მოქ. ტ. სიხარულიძეს და მის დას ნ. სიხარულიძეს, მიაყენა უხეში შეურაცყოფა, დაანგრია რკინიგზის ბაქნის მოაჯირი; აფხაიძე დაპატიმრებულ იქნა.

იმავე წლის 28 აგვისტოს საავტომობილო ქარხნის კლუბში კინოსიანის მიმდინარეობისას 21 წლის მ. ს. კობახიძემ უმუშევარმა, რომელიც ადრე იყო შემჩნეული წესრიგის დარღვევაში. კვლავ უწესოდ მოიქცა, რაზედაც მიუთითა საავტომობილო ქარხნის საიარალო საამქროს-ზეინკალმა ჯ. ა. კაკაბაძემ. კობახიძემ საჯაროდ სცემა მას და მიაყენა


სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება. კობახიძე დაპატიმრებულია.

ხშირია ახალგაზრდებისა და სრულწლოვანთა მიერ მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტები. ჩ. პ. ჯუღელი ადრე პასუხისგებაში იყო ქურდობისათვის, ა. წლის 18 ივნისს სადგურ რიონში ჩაიღინა ბოროტი ხულიგნობა, რომელშიც ავინა მგზავრებს, დანით დაჭრა მოქ. გაგუა და გაიწია სხვა მოქალაქეებისაკენ. ჯუღელს 13 აგვისტოს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით. სამი წლის პატიმრობა მიესაჯა აგრეთვე ი. გ. ონიანს, რომელიც არ მუშაობდა არსად, ადრე გასამართლებული იყო ხულიგნობისათვის და ა. წლის 2 ივნისს კვლავ ჩაიღინა ხულიგნობა.

შესამე საშუალო სკოლის მოსწავლე რ. ი. სხილაძე, 1949 წელში დაბადებული, 1965 წელს ჩადენილი ქურდობისათვის აღმასკომთან არსებულ არასრულწლოვანთა კომისიას გადაეცა აღსაზრდელად, მიუხედავად ამისა მიმდინარე წლის 7 ივნისს კვლავ ჩაიღინა ქურდობა, დ. ი. ჯანელიძესთან ერთად უნივერსალიდან მოიპარა 280 მანეთის ქონება. ისინი მიცემულნი არიან პასუხისგებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოთ მითითებული დადგენილების შესაბამისად მიმდინარე წლის 12 აგვისტოს საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს დადგენილება „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, სადაც გათვალისწინებულია მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების დაცვის კონკრეტული ღონისძიებები. აქედან გამომდინარე მკაცრი ბრძოლა საჭირო აგრეთვე ყველა ჯურის საქმოსნების, თადლითების, მტაცებლების, სპეკულანტების, მექრთამეებისა და სხვა საშიში დამნაშავეების მიმართ.

საშიში დამნაშავეები მკაცრად უნ-



და დაისაჯონ. ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ მცირე მნიშვნელობის დანაშაულისათვის, რომელთა ჩამდენი პირები შესაძლოა იზოლაციის გარეშე გამოსწორდნენ და აღიზარდონ, — მიზანშეწონილია მათ მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის საზოგადოებრივი ზემოქმედების გატარება. საჭიროა ამ საკითხში როგორც საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოების ზუსტი მიდგომა კანონის სწორად გატარებისათვის, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების არა ფორმალური, არამედ საქმიანი დამოკიდებულება, იმ პირთა მიმართ აღმზრდელობითი ღონისძიების გასატარებლად, რომელთა თავდებობაც მათ იკისრეს.

დასჯითი და აღმზრდელობითი ღონისძიებების შეფარდება ყოველთვის სასჯელს უნდა შეესაბამებოდეს. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის პრინციპის მიხედვით, სასჯელის ზომა უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულში გამოვლინებულ ბრალის ხარისხს. ამ პრინციპის ყოველგვარი გადახვევა საბჭოთა კანონიერების დარღვევას იწვევს.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფილაქტიკა, დანაშაულის თავიდან აცილება, საზოგადოების როლი ამ საქმეში, რჩება ძირითად საშუალებად ახალი ადამიანის ჩამოყალიბების გზაზე; რამდენადაც მაღალია შეგნება, მით უფრო იოლია ებრძოლო წესრიგის დამრღვევს. უნდა მივადწიოთ, რომ თვითეული მოქალაქე საბჭოთა კანონს ასრულებდეს არა შიშის გამო, რომ მას დასჯიან, არამედ თავისი შეგნებისა და რწმენის გამო, რომ არ უნდა დაირღვეს კანონი. ეს დებულება სრულიადაც არ ნიშნავს, რომ არ დაისაჯოს და მკაცრადაც ყველა ის, ვინც მძიმე დანაშაული ჩაიდინა.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში ზოგჯერ აღგიო აქვს კანონის არასწორად გამოყენების შემთხვევებს დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რაც გა-

მოიხატება სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის დაუსაბუთებელი შეზღუდვით, საპატიმრო ადგილებიდან ვადადე განთავისუფლების, ან სასჯელის ღონისძიების შეფარდების, ან შემცირებისას ნაჩქარევი თუ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებით და ა. შ. ყოველივე აღნიშნული კანონის ავტორიტეტის დაცემას და დანაშაულთან ბრძოლის შეფერხებას იწვევს.

ნაკლოვანებას ადგილი აქვს არა მარტო ადგილობრივი საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოებს, არამედ ზემდგომი ინსტანციების საქმიანობაშიც.

ქ. ქუთაისის სახ. სასამართლოს მიმდინარე წლის 16-17 ივნისის განაჩენით ტ. ი. ეფიშვიც (45 წლის) მკვლელობის მცდელობისათვის ხუთი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. იგი იყო რა მთვრალ მდგომარეობაში არასრულწლოვან ა. ნემსიწვერიძეს მუცლის არეში დანის დარტყმით მიაყენა სიცოცხლისათვის სხეულის საშიში მძიმე დაზიანება. 25 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ აღნიშნული განაჩენი გააუქმა და საქმე შეწყვიტა წარმოებით პატიმრის განთავისუფლებით მის ქმედებაში „დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო“. საქმის შინაარსი კი ასეთია: ეფიშვიც, რომელიც იშვიათად ატარებდა შლაპას, დაუნახეს ახალგაზრდებმა, რომელთაგან ერთმა, გულასპაროვმა გადაუგდო; ამაზე განაწყენებული ეფიშვიცი გამოიჩინა მათ. დაეწია და სრულიად უდანაშაულო ნემსიწვერიძეს დანა დაარტყა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს განჩინების მოტივი, რომ ოთხ ახალგაზრდასთან თითქოს ეფიშვიცი თავდამცველის როლში გამოდიოდა, ყოვლად დაუსაბუთებელია.

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროკურატის სათუძველზე ა. წლის 15 აგვისტოს დადგინ-

ლებით გააუქმა კოლეგიის ზემოთ მითითებული განჩინება.

უნდა გაძლიერდეს ერთობლივი ბრძოლა ისეთი სახის დანაშაულთა წინააღმდეგ, როგორცაა გაფლანგვა-მტაცებლობა, მექრთამეობა, მკვლელობა, სპეკულაცია, მყიდველთა მოტყუება და სხვა.

ამ მხრივ მეტი ოპერატიულობა და მოქნილობა მართებთ ადმინისტრაციული დარგის მუშაკებს. აღსანიშნავია, რომ ქალაქის კავშირგაბმულობის კვანძში მიმდინარე წელს მომხდარი დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხის მტაცებლობის საქმე, რომელიც ტექნიკური

ხერხის გამოყენებითაა შესრულებული დღემდე გახსნილი არ არის.

დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანები მოითხოვს კიდევ უფრო გააქტიურდეს კონტაქტი მილიციის, სასამართლოს, პროკურატურისა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა მუშაობაში, პრაქტიკულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად, ფართო საზოგადოებრიობაზე დაყრდნობით, ერთობლივი ძალებით გაკეთდეს ყველაფერი, ჩვენს ქალაქში სანიშნავი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისა და საბჭოთა კანონიერების ზუსტად გატარებისათვის.



რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის

იურიდიული ტერმინები „ვეფხისტყაოსანში“

დოც. რ. შამელაშვილი

პროფ. ალ. ღლონტის ხატოვანი სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართული ენის ლექსიკა მიაგავს უნაბირო ოკეანეს, რომელსაც ავსებს მძლავრი ზღვები და წყალუხვი მდინარეები თავიანთი დიდი და მცირე შენაკადებითურთ. ასევე ზღვასავით ფართო, ვრცელი, ღრმა და უკიდევანო გენიალური შ.რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური მარაგი.

„ვეფხისტყაოსნის“ მდიდარ ლექსიკაში გამოიყოფა ისეთი სიტყვა-ტერმინები, რომლებიც დამახასიათებელია გარკვეული სპეციალობის ადამიანთა მეტყველებისათვის. სხვასთან ერთად პოემაში საკმაოდ გილი უჭირავს იურიდიულ ტერმინოლოგიას.

როცა იურიდიული ტერმინოლოგიის შესახებ ვმსჯელობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შ. რუსთაველის უკვდავი ქმნილება, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული ნაწარმოებია და მის ავტორს მიზნად არ ჰქონია სამართლისმცოდნეობის სპეციალური ტერმინების მთელი სიზუსტით გადმოცემა. მაგრამ რამდენადაც იურიდიულ მეცნიერებათა ერთობლიობა, მეცნიერება სამართლის შესახებ დაკავშირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარესთან, ამდენად შ.რუსთაველმა, როგორც თავისი ეპოქის შვილმა, პოემაში კარი გაუღო იმ სპეციფიკურ ტერმინოლოგიასაც, რომელიც მის დროს ენობრივ პრაქტიკაში გამოიყენებოდა.

სანამ უშუალოდ გადავიდეთ ჩვენთვის საინტერესო საკირსზე, უნდა შევნიშნოთ, რომ იურიდიული მნიშვნელობის ტერმინოლოგიის შერჩევა ბევრ სიძველესთან არის დაკავშირებული, რადგან სხვადასხვა ურთიერთობაში თითქმის ყველა სიტყვას შეიძლება იურიდიული მნიშვნელობა მიენიჭოს. ამიტომ ჩვენ მხოლოდ მთავარ, ძირითად ტერმინებს მივაქცევთ ყურადღებას.

ცნობილია, რომ საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა უმაღლესი სასწავლებლები, აკადემიები. სადაც სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებს შორის საპატიო ადგილი ეკავა იურისპრუდენციას, სამართლის მეცნიერებას. მაგ. ბერძენი ფილოსოფოსისა და ორატორის თემისტოკლას სიტყვიდან ჩანს, რომ მე-4 საუკუნის შუა წლებში კოლხეთში, დღევანდელი ფოთის მახლობლად, არსებობდა რიტორიკული განათლების ცენტრი, ე. წ. კოლხეთის აკადემია, სადაც ფილოსოფიას და მჭევრმეტყველებას სწავლობდნენ ჩვენში საგანგებოდ მოვლინებული ბერძენი ახალგაზრდები, და, რა თქმა უნდა, ქართველებიც (კ. ან-

დელაკი, ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება, თბ., 1961, გვ. 25). ი. ჯავახიშვილის გამორკვევებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართული იურიდიული მწერლობა საკმაოდ განვითარებული ყოფილა შ. რუსთაველის ეპოქაში: იყვნენ პროფესიული იურისტები, რომლებიც მეფის მოწვევით მონაწილეობას იღებდნენ სამართლის რთული საკითხების გადაწყვეტაში (ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, 2, თბ., 1929, გვ. 537). მე-12 საუკუნის იურიდიული მწერლობის ტერმინოლოგია, იურიდიული ენა იმდენად დახვეწილი, გამართული, დამუშავებული და სრულყოფილია, რომ სპეციალისტებს საფუძველს აძლევს ამტიკონ საქართველოში სამართლის სხვადასხვა სახის — სახელმწიფო, სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საპროცესო სამართლის ჩამოყალიბებული სახით არსებობა (ალ. ვაჩიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, თბ., 1946, გვ. 81).

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება იურიდიული შინაარსის ისეთ ტერმინები, როგორცაა: სასჯელი, ვაყრა, ვაჭირი, სისხლი, პატიჟი, ჭურჭელი, მონაგები, მამული, სპასპეტი, სამართალი, პატიმარი, შვილება, დარიბი, ქორწინება, ვალი, ქრთამი, ქურდი, მოქალაქე, გაბტეხი, ბიძა, საქმე, მოსამართლე, ანდერძი, ციხე, საჩივარი, წილი, მოწმე, მოჩმახვა, ცილი, გვარი, დასაჯა, საკანი, ფიცი, ფლიდი, ცრუ, მკვლელი, წესი, ტყვე, დასტური და მრავალი სხვ.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ სიტყვები „დანაშაული“ და „სასჯელი“ ძველ ქართულში ხშირად არ იხმარებოდა. დანაშაულის ცნებას გამოხატავდა სიტყვა „შეცოდება“. საინტერესო სურათს იძლევა ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი“. პოემაში ტერმინი „დანაშაული“ სრულად არ გვხვდება, სამაგიეროდ სასჯელი რამდენჯერმე წარმოდგენილი და, რაც მთავარია, პოეტი მას იყენებს წმინდა იურიდიული, სამართლებრივი მნიშვნელობით. როგორც ირკვევა, შოთას დროსაც ამ ტერმინს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონია, რაც დღესაც აქვს:

„ჯერ თ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამაღაჲს მხენია:

არა თუ კაცთა, სასჯელი ქვათაცა შესაძრწენია“ (850, 1—2).

საბა იცნობს ამ სიტყვას, მაგრამ მნიშვნელობას არ ხსნის. დიდებული ლექსიკოგრაფი სასჯელ სიტყვას ფონეტიკურ შესწორებას აძლევს და „განმარტავს“ ასე: „საშჯელი“ (იხ. „სიტყვის კონა“, გვ. 575).

შ. რუსთაველი სიტყვას „გაყრა“ სწორედ იურიდიული მნიშვნელობით ხმარობს:

„მათადგე სახედ, რომელსა ესენი დაუბადიან,
იგივე გაპყრის, სიშორე არა თუ ნებით
სწადიან“ (1570, 1-2)

„არღა შეგყარნა, გაგყარნა, ხელი უქნა
ცრემლთა დაღენით“ (930,2).

„მას თუ გამყრი, საწუთრო, ჩემი ღონი
გარდასარულა“ (862,3).

ასევე: „თქვენნი გაყრა მეცა დია მეძნელე-
ბის“ (646,1); „მოყვრისა გაყრა კაცისა მველე-
ლია“ (942,3); „მე შენი გაყრა სიკვდილად მიჩნს“ (1015,2) და ა. შ.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სიტყვა ვაზირი არ არის ფიქსირებული, სამაგიეროდ მოცემულია ვაზირობა, რომელიც ახსნილია ასე: „საკუმის რჩევა“. პროფ. ა. შანიძე კი ასეთ განმარტებას იძლევა: ვაზირი მინისტრი. „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გვხვდება ტერმინი ვაზირი:

„ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა
დასისა“ (44,3).

ამ ტერმინისაგან აწარმოებს შ. რუსთაველი ისეთ სიტყვებს, როგორცაა: ვაზირება, ვაზირობა, ნავაზირები, სავაზირო (იხ. ვეფხისტყაოსანის სიმფონია, გვ. 107).

ჩვენს ყურადღებას იპყრობს „ვეფხისტყაოსანში“ სისხლი, როგორც გარკვეული იურიდიული ტერმინი. სისხლი ძველ ქართულ იურიდიულ მწერლობაში სისხლის სამართლის დანაშაულობისათვის დაწესებულ სასჯელს ეწოდებოდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1928 წ., გვ. 98., შდრ. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 192).

„ვეფხისტყაოსანში“ ძალიან ხშირად გვხვდება ეს ტერმინი სწორედ სასჯელის გაგებით. მოვუაქვს რამდენიმე მაგალითი:

„ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად
დამადებინე“ (562,1)

„ვეჭვ; ჩემი სისხლი არ შეპჩრჩეს, ძალი
შემწევდეს ქაღისა“ (608,2)

ყურადღებას იპყრობს პოემაში არაერთჯერ გამოყენებული ტერმინი პატიჟი, რომელსაც სწორად განმარტავს პროფ. ა. შანიძე: პატიჟი — ტანჯვა.

ძველ ქართულ სამართალში პატიჟი სასჯე-

ლის ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა. „პატიჟი იგივე სასჯელია, თანამედროვე ტერმინით რომ ვიხმაროთ. ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანამდევ“ გვხვდება ქართულ ძეგლებში („მარტვილობა ეგსტათი მცხეთელისა“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ოთხთავი, ფსალმუნი და სხვ.).

სწორედ სასჯელის, ტანჯვის მნიშვნელობით იხმარება პოემაში ეს სიტყვა რამდენჯერმე:

„ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატიჟად ნურად
გვონია“ (242,1).

„რადგან მოვშორდი, დავრჩები პატიჟთა
გაასოცებით“ (1575,3).

აკად. ი. დოლიძე მიუთითებს, რომ უსულო მოძრაეი ქონებისა და საკუთრების აღმნიშვნელ ტერმინად ძველ ქართულ მწერლობაში „ჭურჭელი“ იხმარებოდა, რაც ყოველგვარ ავეჯს, იარაღს, ძვირფასსა და მოძრავ განძეულობას ნიშნავდა.

„ჭურჭელი“ ქართული სანივთო სამართლის ერთერთი საყურადღებო ტერმინია, რომელიც რამდენჯერმე გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“:

„ავლა ჭურჭელი თვალთა თლილთა, არ კოვზები,
არ ჩამჩები“ (1658,2).

„მოიღებდიან ჭურჭელსა ტურფასა
ახალ-ახალსა“ (1012,3).


„ჭურჭლიდან“ აწარმოებს შოთა რუსთაველი ახალ სიტყვას — საჭურჭლე: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“ (803,3).

პოემაში ჭურჭელი სამჯერ გვხვდება, ხოლო მისგან ნაწარმოები საჭურჭლე სხვადასხვა ბრუნვისა და რიცხვის ფორმით — ორმოცდაორჯერ.

ძველ ქართულ სამართლის ტერმინოლოგიაში სრული საკუთრების გამომხატველი ტერმინი იყო მონაგები, რომელიც დასტურდება ბ. ზარზმელის ოხზულებაში. იგი „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება: „სიცოცხლე და სულ-დემულობა, მონაგები ჩემთა ხელთა“ (1214,2).

იურიდიულ ტერმინოლოგიიდან გვხვდება სიტყვა მამული, რომელიც საბაას განმარტებული აქვს ასე: მამისეული (იხ. სიტყვის კონა, გვ. 348). მამასადამე, საბაას მამული ესმის, როგორც მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონება. სპეციალისტების აზრით, მე-12 საუკუნიდან „მამული“ დღის ნაშითევე უძრავ ქონებასაც შეიცავდა „ვეფხისტყაოსანში“ მამული პირვანდელი მნიშვნელობით, საბასეული გაგებით („მამისეული“) იხმარება; ნესტან-დარეჯანი, აძლევს რატარიელს სამოქმედო გეგმას სასიძოს მოკვლის შესახებ, ეუბნება, რომ პოლოს, როცა ხვარაზმშას შვილს მოჰკლავ, მამჩემს უთხარიო: „ჩემია მკვიდრი მამული, არ მიგსცემ არცა დრამასა“ (544,3).

როგორც ცნობილია, ფეოდალურ საქართველოში მეორე პირი მეფის შემდეგ მოსამართლეობდა და სა-



რდლობდა, ე. ი. მართლმსაჯულებასა და სამხედრო საქმეს განაგებდა. დაბადების ქართულ თარგმანში ჯარის უფროსის აღსანიშნავად „ერისმთავარი“ იხმარება. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან „ჯარისაღმნიშვნელ ტერმინად მაშინ ერი იხმარებოდა. „ერისმთავარი“ იგივე სპასპეტი იყო. (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1928, გვ. 184). ეს უკანასკნელი ტერმინი კი „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება. მოგვყავს ორიოდვე მაგალითი:

„ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა“ (40,1)

„სპასპეტი როსტენ მეფისა, ვერვისგან დაწუნებული“ (127,3).

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება იურიდიული ტერმინი: „სამართალი“, „მოსამართლე“, საბას განმარტებით, „სამართალი არის შჯა, მართლად გამოყოფილბა ღირსებისებრი თითულებასა“.

„მო და უყავ სამართალი, გაებრჯობის გული გულსა“ (959,2).

„ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მიგა რად“ (1309,2).

„მოსამართლე და მოწყალე, მორტმული, განგებოიანი“ (32,3).

მოსამართლე ამ კონტექსტში ნიშნავს სამართლის დამყარებელს, სამართლიანს. ამჟამად კი — ვინც ასამართლებს, თანამდებობის პირი, რომელიც სასამართლოს წევრით რაიმე საქმეს არჩევს.

„სამართალი“, როგორც იურიდიული ტერმინი, „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება ქართულ მწერლობაში (მაგ., „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ და სხვ.). ეს სიტყვა „მართალი“—საგან არის წარმოდგენილი, რაც თავდაპირველად „სწორესა“ ნიშნავდა ამისდა მისხვედით „სამართალი“—ც სისწორეს. სწორობას აღნიშნავს. „სამართლის“ მნიშვნელობით ძველ ქართულ მწერლობაში „სჯული“, „შჯული“ იხმარებოდა: „ნუ დაგვხოცო, შენსა სჯულსა“ (1045,2); „ვატება ფიცი, სიმტიციე სჯულისა“ (1170,1). ეს ტერმინი ბერძნულიდან ნათარგმნი ძეგლებში ჰონომოს— უდრიდა, რაც კანონს, სამართალს ნიშნავდა. ეს სიტყვა ზმნა „სჯა“—საგან არის ნაწარმოები და თავდაპირველად ნაბჭობის, გადაწყვეტილების მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ძველ ქართულ მწერლობაში „სჯულს“, „შჯულს“ მაინც უფრო სარწმუნოებრივი, საეკლესიო სამართლის მნიშვნელობის ელფერი ედგა და ამით იგი ტერმინისაგან „სამართალი“ განსხვავდებოდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1928, წიგნი I, გვ. 7-9).

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში პატიმრის ასეთნაირ განმარტებას იძლევა: პატიმარი შეუკრავად პყრობილი. ეს სიტყვა პოემაში ორ-

ჯერ გვხვდება ერთსა და იმავე ნაწილში, სახელდობრ იმ თავში, რომელსაც ჰქვია „წიგნი ავთანდილისა ფრიდონთანა. აი, ეს მაგალითებიც:

„იგი მზე ქაჯთა მეფესა ჰყავს, ქაჯეთს პატიმარი“ (1320,1).

„გზა-გზა ყოფნა აღარა მცალს, პატიმრად იგი მთვარე“ (1322,2).

იურიდიულ ლექსიკაში გვაქვს ტერმინი აღოპტაცია, რაც ქართულად თარგმნილია ასე: შეილება, შეილად აყვანა (იხ. იურიდიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი), შეადგინეს გ. ყვანიამ, დ. ფურცელაძემ, პ. ქავთარაძემ, თ. წერეთელმა, თბ., 1963, გვ. 8). აღოპტაცია ლათინური სიტყვაა და სამართალმცოდნეობაში მცირეწლოვანი ბავშვის შეილად აყვანას ნიშნავს. „ვეფხისტყაოსანში“, რა თქმა უნდა, არ გვხვდება ეს უცხოური სიტყვა. მაგრამ ფიქსირებულია მისი ქართული შენატყვისი ტერმინი — „შვილობით“. იმ თავში, სადაკ აღწერილია ავთანდილის მისვლა ფრიდონთან, ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ:

„მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით.“

დიდი სპასპეტი, სახელად მიხომონენ

ავთანდილობით,

მე დიდებულთა დიდ-გვართა, ზრდილი მეფეთა შვილობით,


საკრძალავი და უკადრი, მყოფი არვისგან ცილობით“ (992).

როცა შ. რუსთაველი პოემის პრელოგში მიჯნობის შესახებ მსჯელობს, ერთ ადგილზე ხმარობა იურიდიულ ტერმინებს — მეძავი, მრუმი:

„ხამს მიჯნური ხანთერი, არ მეძავი, ბილწი, მრუმი“ (25,1). ამ ტემში ჩვენს ყურადღებას იპყრობს სამი სიტყვა (მეძავი, ბილწი, მრუმი). მეძავი ჰქვია ისეთ ქალს, რომელიც საბრძებო სახსრების საშოვნელად თავისი სხეულით ვაჭრობს. ასეთ ადამიანს როსკიპსაც ეძახიან. ეს სიტყვა გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ („როსკიპო, ბოზო, დიაცო“, 578,1).

ბილწი ბინძურის, უწმინდურის სინონიმია, ხოლო მრუმი — ცოლ-ქმრობის წესის გამტეხს ეძახით. იურიდიულ ტერმინოლოგიაში ამ უკანასკნელი ცნებას გამოსახატავად იყენებენ ფრანგულ ტერმინს — აღიულტერი (-მეუღლის მოტყუება, დაღატი). საბას განმარტებით, მრუმიობა მეუღლიანის ბოზობაა, ხოლო მეძავი ქალი უქმრო ბოზია. დიდებული ლექსიკოგრაფი ამ ორ ტერმინს დიფერენცირებულად განმარტავს და ესენი მას სინონიმებად რთლი ესმის, როგორც ეს თანამედროვე სიტყვაზმარებაში შეინიშნება.

ხშირად იყენებს შ. რუსთაველი ტერმინს ქორწილი, ქორწილობა, ქორწინება (ქორწილი, საბას განმარტებით, სძლის მოყვანა):



„გარდავისადოთ ქორწილი, ხამს ვითა დასა, სრულია“ (549,2).
 „ვითარცა ქორწილობა ხამს, ევეთსა გარდინდიღეს“ (1640,2).
 „ჯერთ ქორწინებად არა მცალს, აჲ გული ცეცხლ-ნადებო“ (1240,2).

ქორწინება ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში იხმარება რუსული „брах“-ის მნიშვნელობით. ქორწინება ქართულია წარმოშობით. სამართალმცოდნეობაში იყენებენ ტერმინს ვალი, რომელიც „ვეფხისტყაოსანშიც“ დასტურდება:

„დავ ვალი შენი ჩემზედა გარდაუხდელი, დიღია“ (1443,2).
 „რამცა ვქმენ ნაცვლად, თვით რომე მისი ჩემზედა ვალია“ (584,2).

ვალი, საბას აზრით, თანამდები, ხოლო ნიკო ჩუბინაშვილის სიტყვით, ვალი თანანადები გარდასახადი, ვახში, ვახჩი, „ДОУХ“ (ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, აღ. დლონტიის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1951, გვ. 214).

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება სიტყვა ქრთამი რომელსაც საბა განმარტავს როგორც „საცოდავი ძღუენი“. პოემაში ეს სიტყვა ოთხჯერ გვხვდება ჩვენ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტანთ:

„ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს, თუცა ცრემლსა ვერ იწურვებს:
 — მიკვირს რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა შეიურვებს! —
 „ვინ არ მისცემს ქადებულსა, მოურავსა მთიმდურებს,
 თქმულა: „ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსცა დაიურვებს“ (764).

ამჟამად ამ ტერმინით აღინიშნება შემდეგი შინაარსი: თანამდებობის პირისათვის მოსასყიდლად მირთმეული ძღვენი ან ფული. სწორედ ამ მნიშვნელობით დასტურდება ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“. ქართული ანდაზაც ხომ ამბობს: „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“. შესაძლებელია, ეს ანდაზა ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი 764-ე სტროფის ზეგავლენით იყოს შექმნილი, არ არის გამორიცხული არც ის, რომ საწინააღმდეგო მოვლენას ჰქონდეს ადგილი, პირიქით იყოს.

ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინად იურიდიულ ლექსიკაში გამოყენებულა ბიძა, რომელიც ძველი ქართული სამწერლობო ენის ძეგლებისათვის უცნობია. ეს სიტყვა პირველად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, აგრეთვე საისტორიო ხასიათის ნაშრომში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ („და მობართა თავისივე ბიძასა“. „ქართლის ცხოვრე-

ბა“, ტ. II, გვ. 20). ადრეულ ძეგლებშიც სიტყვა მნიშვნელობა გადმოცემულია აღწერითად (მამის ძმა. დედის ძმა). პოემაში ბიძა ოთხჯერ გვხვდება. ნიმუშისათვის მოგვაქვს ერთი მაგალითი:
 „თვით ბიძასა ჩემსა მიჰხვდა, ვისთა შევითა აჲ დამკოდეს“ (601,3).

ფიქრობთ, სიტყვა ბიძა შოთას ეკუთვნის და „ვეფხისტყაოსანში“ დამკვიდრდა იგი ქართველ ხალხში, მწერლობაში.
 საინტერესოა, რომ ბიძის პარალელურად პოემაში იხმარება მამის ძმაც:
 „მამის ძმა და მამა-ჩემი პაპა-ჩემიან გაყენა ოდეს“ (601,1).

შ. რუსთაველი ხშირად იყენებს იურიდიულ ტერმინს ანდერძი. „ანდერძი მოკვდავათაგან დარიგება“ (საბა). პოემის ერთ-ერთ ქვესათაურში ეს სიტყვა გამოყენებული: ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე“. ხშირად ვხვდებით მას მის ტექსტშიც:
 „გასრულდა ჩემი ანდერძი, ჩემგან ნაწერს ხელითა“ (807,1).

ანდერძი ადამიანის მიერ სიტყვლემდეგ ზეპირად ან წერილობით გამოთქმული სურვილია მისი სიკვდილის შემდეგ შესასრულებელი. სწორედ ამ გაგებით იყენებს შოთა აღნიშნულ ტერმინს.

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება აგრეთვე ისეთი იურიდიული ტერმინები, როგორცაა: ციხე (1430,3; 1240,4 და სხვ.); საჩივარი (1308,1); წილი (1305,1; 1649,3); მოწმე (872,4); მოჩმახვა (351,3); ცილი (= ტყუილი). (320,1); დამსაჯარი (= დასჯა) (1461,3); საკანი (267,1); ფიცო (525,3; 532,1; 862,3); ფლდი (782,3; 1150,3); ცრუ (162,4; 339,3); მკვლელი (1024,4; 1190,2); ტყვე (251,3; 855,2); დასტური (326,4; 463,3) და ა. შ.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ტერმინებზე მეფე გვარი.

„იურიდიულ ტერმინოლოგიაში“ (გვ. 304) შეტანილია მეფე და მისგან ნაწარმოები სიტყვები — მეფობა, მეფობს, მეფური, სამეფო, მეფობა და სხვ. „ვეფხისტყაოსანში“ მეფე ყველაზე ხშირად ხმარებულ სიტყვათა ჯგუფს განეკუთვნება. იგი სხვადასხვა ბრუნვითა და რიცხვის ფორმით თითქმის სამასჯერ გვხვდება.

შ. რუსთაველი პოემის დასაწყისშივე იყენებს ან სიტყვას:

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი“ (32,1).

მგონათ-მგოსანი სიტყვისაგან მეფე აწარმოებს ახალი შინაარსის ლექსიკურ ერთეულებს: გამეფდა (405,3); მეფეთა-მეფე (1318,1); მეფობა (38,4); სამეფო (48,3; 514,2); უმეფოდ (1610,2).
 მეფე, ივ. ჯავახიშვილის სიტყვათ.



თავდაპირველად „მეფე“ გამოთქმულა და იწერებოდა. შემდეგ კი დროთა ვითარებაში მეფე ი, ბოლოს კი მეფე წარმოდგა. საქართველოს მეფე, როგორც სამეფო სახლობისა და საგვარეულო უფროსი, ამავე დროს მამასახლისადაც ითვლებოდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თბ., 1928, გვ. 173).

„იურიდიულ ტერმინოლოგიაში“ (გვ. 299) შეტანილია გვარი, როგორც სამართალმცოდნეობის ლექსიკური ერთეული. საგულისხმოა, რომ ეს ტერმინი ქართული იურიდიული მწერლობის ძეგლებში მე-11 საუკუნემდე არ გვხვდება (ივ. ჯავახიშვილი). ტომიც უცნობია ძველ ქართულ მწერლობაში (იგი წარმოშობის სპარსულია). ეს ტერმინები „ვეფხისტყაოსანში“ პართოგშივეა ფიქსირებული:

„ვთქვა მიჯნურთა პირველი და ტომი გვართა ზენათა“ (20,1).

დასასრულს, მსურს შევიჩინოთ ძველ იურიდიულ მწერლობაში საკმაოდ გავრცელებულ ტერმინზე. ეს არის წესი (ОБЫЧАИ იხ. „იურიდიული ტერმინოლოგია, გვ. 165).

„სიტყვა წესი ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება ძველ ქართულ მწერლობაში და ეს არც გასაკვირვებელია. წესი აღნიშნავს ისეთ ცნებას, რომელიც საზოგადოების, სახელმწიფოსა და საეკლესიო ცხოვრებაში მუდმივ მოქმედებს. მნიშვნელობით სიტყვა წესი არც სამართალს, არც სჯულს, არც კანონს არ უდრის და არ ეთანასწორება. პირიქით, ძველ მწერლობაში წესი და მჯული თითქმის ცოველთვის გარკვეული, განსაკუთრებული მნიშვნელობით იხმარება. „წესი“ ყველაზე უწინარესად ჩვეულებას ერქვა... ჩვეულება: ადამიანის ისეთ ქცევას ჰქვია, რომელსაც იგი უნებლიეთ მისდევს, რომელსაც იგი ჩვეულია“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 1, 1928, გვ. 12—13).

საბა წესს შემდგენიად განმარტავს: „წესი (16.21 გამოსლ.) წესი უწოდია ჩვეულებასა განმტკიცებულსა და მდგომარესა, ვინაიცა ჩვეულება არა ოდენ მისი სახელი არს, რომელსაც ჟამ ქმნილთა ჩვეულებათ შეჰქონდეს, არამედ ოდესმე მისცა, რომელი ბუნებით ოდეს რამე იყოს წეს განმტკიცებულთ. ვინაიცა უსულითა და უძრავთა აქუს ესრეთ დაბადება, რამეთუ წეს ეწოდების მსგავსებითსა და შემსგავსებულსა საქმესა“ (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949, გვ. 864). მაშასადამე, საბა წესსა და ჩვეულებასა რაღაც ავიკვებს, როგორც ეს ამჟამად ხდება, პირიქით, მათ შორის გარკვეულ სხვაობას ხედავს. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ წესი ახსნილია, როგორც გარკვეული ქცევის ნორმა, რიგი, ჩვეულება“ (იხ. ტ. მე-8, გვ. 1062). ადათი კი არაბული სიტყვაა და ჩვეულებას ნიშნავს. ადათი მამა—პაპათაგან დამკვიდრებული ჩვეულებაა, ხალხში სავალდებულოდ მიღებული წესია. თანამედროვე ქართულში ადათი, ჩვეულება, ზნე,

ზნე-ჩვეულება, წესი, ადათ-წესი (ადათ-წესები) სინონიმებად გვეხმის (იხ. ალ. ნეიშანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. 5). ქართული ანდაზა ამბობს: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიათ“.

„ვეფხისტყაოსანში“ ტერმინი წესი ორათეულზე მეტჯერ გვხვდება. ჩვენ რამდენიმე მაგალითის მოტანით დავაკმაყოფილებთ:

„მის მოყმისა წესი იყო, მეტსა თურე არ ასრე ჯდა“ (226,1).

„ბრძანეთ, მოღით შეგვებენით, ვითა წესი და რიგია“ (443,3).

„წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა“ (775,3).

„ძველი წესისა სოფლისა, არ ახლდა მოსასმენია“ (918,3).

„ამა ქალაქსა წესისა, დღესა მას ნაერთობასა არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა“ (1121,1—2).

თუ დავაკვირდებით ამ სტრიქონებს, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ შ. რუსთაველი მშენივნად იცნობს ქართველ ხალხში საუკუნოებით გამტკიცებულ ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებას (მივაქციეთ ყურადღება ჩვენ მიერ დამოწმებულ მაგალითებში გამოთქმებს: „მოყმის წესი“, „მამაცის (მამაკაცის) წესი“, „სოფლის წესი“, „ქალაქის წესი“, „ხელმწიფეთა წესი“, „მგზავრთა წესი“). ამ თვალსაზრისით პოემის განხილვა სპეციალისტ სამართალმცოდნეს ბევრ საყურადღებო იურიდიულ ნორმას გამოაჩენურებინებს. ნიშნისათვის ერთ დეტალს ავიღებთ. „ვეფხისტყაოსნის“ ყოფაქცევის წესების მიხედვით მამაკაცისათვის სირცხვილია თავშიშველი სიარული. ეს ნათლად ჩანს როსტევეან მეფისა და აფთანდილის პირობიდან: „ვინცა იყოს უარესი, თავშიშველი სამ დღე ვლიდეს“ (69,4).

სწორად მიუთითებს აკად. ი. დოლიძე, რომ ძველ საქართველოში სამართლის ძირითად წყაროს ადათი წარმოადგენდა. კანონი უფრო გვიან იჭერს წამყვან ადგილს სამართლის სხვა წყაროებს შორის. კანონი მხოლოდ ფეოდალური დაქუცმაცების დასასრულსა და აბსოლიტიზმის დასაწყისში ხდება სამართლის ძირითადი წყარო (ი. დოლიძე ძვ. ქართ. სამართალი, 1953, გვ. 121). მართლაც უძველეს ხანებში სამართალი და ერის ზნე-ჩვეულება ერთი და იგივე იყო. შემდეგ, როცა კაცობრიობა განვითარდა და წარმატებული მოქალაქეობრივი ცხოვრება შეიქმნა, მაშინ სამართალი ზნე-ჩვეულებას დაშორდა, დაწინაურდა და კანონდებულ სამართლად გადაიქცა (ივ. ჯავახიშვილი ე).

შ. რუსთაველის პოემა ჯერ კიდევ არ გამხდარა სპეციალისტ იურისტთა შესწავლის საგანი. ამ თვალსაზრისით შოთას უკვდავი ქმნილების ანალიზი ქართულ სამართლისმცოდნეობას ძვირფასი მასალებით გაამდიდრებდა.

მხნეობა და სინამდვილე

18 წელი. ეს ის დაუვიწყარი ასაკია, როდესაც ოცნება და სინამდვილე ერთმანეთს ხვდება, როცა ცხოვრების დიდ და საინტერესო გზაზე ჯერ კიდევ გაუბედავ, ფრთხილ ნაბიჯებს ადგამ. აქამდე სიძინელების გადალახვა მხოლოდ მერხთან და ნიშნების გამოწვრებასთან იყო დაკავშირებული. სკოლის პერიოდს რომ მოიღვე, აი მაშინ შეეყრები ცხოვრების ავ-კარგს. შემდეგ ჩამოყალიბდება საკუთარი რწმენა და შეხედულება აღამიანებში, ცხოვრებაზე საერთოდ. და რა ძნელია, როდესაც ამ დროს ისეთი რამე შეგემთხვევა, რაც სამუდამოდ თუ არა დიდი ხნით მაინც გაგიტეხს გულს.

ახალი წელი, ყველასათვის სასიხარულო და განსაკუთრებით ახლობელი დღესასწაული, რაც ცუდი და უკმაყოფილება გადახდომია. თითქოს ძველ წელს გაჰყვება თან. ამ დღეს ყველა შეიმობს, იმედოვნებს, ოცნებობს.

ვალენტინა მელნიკოვას, პატარა, მუყუდრო ოჯახშიც საჭეიშო განწყობილებაა.

— დედა, შენც წამოდი ნაძვის ხეზე, გთხოვ.

— არა, შვილო, ჩემი ადგილი იქ არ არის — გაიღმა თმაშეთოვლილმა ვალენტინამ.

ამასობაში მარინას მეგობრებიც მოვიდნენ. ისინი ოფიცერთა სახლში მიდიოდნენ ახალი წლის შესახვედრად.

— მარინა ვარდისფერი, კაბა ჩაიცვი, ძალიან გიხდება. ოღონდ მიივებს ნუ გაიკეთებ, ზედ-შეტია კარგი? რჩევა-დარიგებით იკლებს მარინას მოუსვენარი ცირა.

— დეიდა ვალა, ძვირფასო, რა გემრიელი გოზინაყი გაგიკეთებია, — არ ისვენებს პატარა და დიდთვალა ირა.

— გოგოებო ჩქარა, ახალი წელი მორბის, ფანჯრიდან ვხედავ, ენაწულიანობს სვეტლანა, რომელსაც ყოველთვის ყველგან ეჩქარება და ყველგან აკვიანდება.

— უუფ... არ გამიგია ამდენი სუნამო ერთად არეული, თავი ამტკივდა, უკმაყოფილებას გამოთქვამს ძალით ხმადაბობებული ალიკა, რომელმაც დღეს 1965 წლის 31 დეკემბერს პირველად მოიპარსა წვერი. პირველად ჩაიცვა ახალი კოსტუმი. რა მისი ბრალია რომ უფროსი ძმა უავს და ყოველთვის მის ტანსაცმელში გამოაწყობდნენ ხოლმე.

უყურებს ვალენტინა თავის ერთადერთ შვილს, შვილთა ტოლებს და შეჭხარის მათ. მარინას მამაც მან საახალწლო დღესასწაულზე გაიცნო... ექვ ნეტა ის დღე იყოს. დარდიანად გაფიქრა ვალენტინამ. ბედნიერების ერთი წელიც არ დასცალდა. ომში გაიწვიეს. შინმოუსვლელი უცნობი მამის ორი ბარათი აქვს ფრონტიდან გამოგზავნილი მარინას, სასოებით, რომ ინახავს და უფრთხილდება.

— დედიკო წავედიო!

— კარგით შვილო, აბა თქვენ იცით როგორ ისიამოვნებთ, რა ჭკუით იქნებით.



საახალწლო ნაძვის ხე. გაჩირადნებულ დარბაზში ვალისს ნაზი მელოდია იღვრება. მარინა მეგობრების წრეში ტრიალებს. გული სისხარულს ვერ იტევს. მეოცნებე თვალებით უყურებს მოცეკვავეებს. რამდენიმე წუთში ახალი წლის მობრძანებას მიულოცავენ ერთმანეთს მეგობრები, სიკეთესა და ბედნიერებას უსურვებენ ერთიმეორეს.



მარინასკენ ორი ახალგაზრდა გამოემართა... ერთ მათგანს სიარულსა და სახის გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რომ ფხიზელი არ იყო, ჭიუტად უახლოვდებოდა გოგონას.

— ვიცეკვოთ! — თითქოს უბრძანა.

— მაპატიეთ, მაგრამ არ მინდა. გმადლობთ დაპატიუებისათვის.

— როგორ?! უარს მეუბნები მე შენი... ხელი გაჰკრა, მეორე ხელით სახე მკერდზე მოუქცია, სილა მაგრად გააწნა. უხეში ფეხსაცმლის ქუსლი ფეხში ჩასცა. ფეხიდან სისხლმა იჩქეფა. მარინამ გრძნობა დაჰკარგა.

— იქვე მილიცია გაჩნდა. ზუსტად 12 საათი იყო. როდესაც ის სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გააქანეს. ერთი თვე გაატარა იქ.

— მაპატიეთ პატივცემულო მოსამართლე, მეტს აღარ ჩავიდენ. თვალეში ცრემლი უკიაფებს ბრალდებულ ვალერი სტეფანოვს.

საქმე კალინინის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლემ ლუბა არზინამ განიხილა — თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, ფიქრობს გამოცდილი მოსამართლე, რომ დამნაშავეს პატიება არ ეთხოვოს. მერე ყველა განიცდის, მაგრამ ფაქტი მომხდარია. დანაშაული ჩადენილია. დამნაშავემ პასუხი უნდა ავოს.


განაჩენით ვლადიმერ სტეფანოვს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

იყო და არა იყო რა

იყო და არა იყო რა კაცის უკეთესი რა იქნებოდა, იყო იური ვასილის-ძე გორიანოვი. იური გორიანოვს ჰყავდა ცოლი და ორი შვილი. მის სახლში მშუდამ ხელმწიფის საკადრის სუფრა იშლებოდა. — ნატვრის თვალო, ნატვრის თვალო, ამ საღამოსაც ერთი კარგად დაბრაწული ვარია, ზედაც ხვანჭკარა, შავ-წითელი ხიზილადა, ერთი ორი ბოთლი ხუთვარსკვლავა, ყურძენი და ფორთოხალი მომსურვებია — მსუნაგი თვალეების ცეცებით მოუთმენლად წამოიძახებდა და სუფრაზე თვალისდახამხამებაში გაჩნდებოდა ნანატრო.

— ესეც ესე; კმაყოფილებით დაყოლებდა, მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველებდა, უცნაურად მოირთვებოდა, უჩინ-მაჩინის ქუდს დაიხურავდა და გაუდგებოდა გზას.

იმ საღამოსაც ბევრი იარა თუ ცოტა მიადგა ერთ სარდაფს. წინასწარ მოსიჩქული ჰქონდა ადგილსამყოფელი. შეჩერდა. უზარმაზარი ჯიბიდან ერთი დიდი ხანჯალი, ასორმოცდაათი სხვალსხვა ფორმისა და მოცულობის გასაღებები ამოაჩნდია. კარები ხელად დაემორჩილა გამოცდილს. ყველაფერი ირგზეა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა. ხანდახან თავგების უდროო ფხაკუნით თუ შეაკრთობდა. შეაკრთობდა თორემ ასეთ ვაჟკაცს და მკლავმაგარს პატარა თავგები რას გაუმკლავდებოდნენ.



— ეეეჰ, რა ტყუილად მოვცდი, მე აქ უფრო მეტ რამეს მოველოდი — ჩაილაპარაკა ნაწყენმა და ყოველ შემთხვევაში პავლოვის ქუჩიდან მაინც წამოიღო 7 კგ. ზეთი, 30 ლ. შავი ღვინო, მიკროსკოპი, 90 ჩანგალი, ფაიფურის ვაბზარული ლარნაკი, 17 სამარილე, კედლის საათი და 3 1/2 კგ ხახვი.

— ვინ იცის მიკროსკოპი რაში გამომადგებო — გაიფიქრა.

— მეორე დღეს ბევრი იარა თუ ცოტა იარა მიადგა ანაგის ქუჩა № 30-ში მცხოვრებ სხილაძეების სარდაფს, რუსაძეებს გაუარა და იქიდან ბეუიტაძეებს და სურგულაძეებს ესტუმრა.

ხვარიელი აღმოჩნდა მიწის ქვეშა კვლევა-ძიება... ყველაფერს ამას თავის სარდაფში მოუყარა თავი. რას არ ნახავდით აქ: ქვაბები და უთოები, კასრები და ბალონები, საათები და თეფშები, ბოცები და ბროლის ვაზა, კონსერვები და მარილი, ერო, კვერცხი, მიკროსკოპი, ფაიფურის ჭამ-ჭურჭელი, ერთი კილო ხიზილადა, კონიაკი და ყანწები, ყველა ზომის ფეხსაცმელი. ახალი და თუგინდ ძველი, ათი ფუთი თეთრი ღვინო, წმინდა ნინოს ძველი ხატი, ათი დანა, შვიდი ცოცხი, ერთი ცალი მტვერსასრუტი, ხუთი ძველი რბილი სკამი, ორი სათამაშო ნავი...

კაცის თვალი ხარბიაო — უთქვამთ. და აბა რა გემტყუნებოდა იური გორიანოვს, თუ ლენინის ქუჩაზე ლომიას სარდაფი გახსნა და უშფოთველად განაგრძნო ჭერ კიდევ ანაგის ქუჩაზე დაწყებული საქმე. ზომაზე მეტად დაიტვირთა. ცალ ხელში სანოვავე, მეორე ხელში დიდი ბაღონი ოქროსფერი ღვინო დაიჭირა, ფრთხილად გამოიხურა კარები და ცენტრალური გასასვლელისაკენ გაემართა, მაგრამ რა ხდებდა, ეჩვენება თუ... თვალები განზე გაეჭტა, აზრები ერთმანეთში აერია როცა საღარბაზოდან თავშეპყრილმა ხალხმა გზა გადაუღობა.

— ვაიმე რა ვქნა, საიდან ვაძვარე — გზა კი ერთი იყო და ისევე სარდაფში შებრუნდა. — ნეტა როგორ ჩამავლეს, ვახ, აქამდე რა სუფთად ვმუშაობდი — ფიქრობდა საფანგში გაბმული.

— თურმე ნე იტყვიოთ ლომიების ოჯახში უცხო არ იყო ასეთი მოულოდნელი სტუმარი. ბოლოს მობეჭრებულმა და უფრო მეტად კი დაზარალბულებმა ხერხი იხმარეს. ზარი გაიყვანეს სარდაფში, რომლის გაბმულმა წკრიალმა აუწყა მათ უცხო სტუმრის არც თუ ინტერეს-მოკლებული ვიზიტი.

სარდაფში ხალხს მოეყარა თავი, ბევრი ეძებეს გორიანოვი, მაგრამ დახეთ საოცრებას — იგი არსად ჩანდა. გულდასმით ეძებდნენ მიწისქვეშა მძებნელს. წულაიას სარდაფში შევიდნენ, იქაც სიცარიელე. ის-ის იყო გამოსვლას აპირებდნენ, რომ მილიციელის გამოცდილ მშერას არ გამოპარვია ძველი კარადის უჭრა, რომელშიც ოთხად მოკაკულიყო იური გორიანოვი. თქვენ წარმოიდგინეთ ოთხფეხას ასეთი პოზა უფრო მეტად შევენოდა.

იური ვასილის ძე გორიანოვის საქმე განიხილა ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ. მას საქართველოს სსრ სსკ 150 მუხლის მე-2 ნაწილით და 238 მუხლის მე-2 ნაწილით 3/2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მონადირეზე ნადირზე

უშფოთველი კაცის სახელით იცნობდნენ მიხეილ ცაბაძეს. სიმუდროვე უყვარს, ცოტა შეოცნებებდა და ხშირად დადის სანადიროდ.

ეს კვირაც ჩვეულებრივად დაიწყო. იანვრისთვის უჩვეულო, მზიანი დარი იყო და ნეშობლებიც ლოგინებთან ერთად გარეთ გამომწეურებულიყვნენ.

— როგორა ხარ სერგო პაპა? — ეკითხება პატარა ირაკლი სკამზე ჩამოჭდარ მოხუცს.

— ეეეჰ... ბაბუა, საერთოდ ვარ კი? თითქოს თავისივე თავს პასუხობსო, მოხუცი, — კარგად ბაბუა, მზეს ვევიცხები.

მეორე სართულზე ბეჭებანიერი თემური მეტად მონდომებით ვარჯიშობს. წელს ფიზკულტურის ინსტიტუტში აპირებს სესვლას და გონებასთან ერთად ძალას ანვითარებს. იქნებ ეს უფრო გამოადგესო — ვინ იცის...

ოჯახის მონამორჩილ საღომეს დილიდანვე უშველებელი სარეცხის ქვაბი დაედგა, თავზე მოსახვევი წაქვრა ყოველშემთხვევისთვის და ჩუმად, თავისთვის შრომობდა. მამაკაცები კვირის ჩვეულებას არ ღალატობდნენ და ნარდს თამაშობდნენ. თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო. მაგრამ...

— შეხედე ერთი ამ არგასაზრდელს, რამხელა ვაზრდილა და თავი ჭერ კიდევ პატარა ჰგონია, დანებე თავი ბიჭო ამ საცოდავ კატას, რას ერჩი, გაისმა ხმა, ხმა ასეთი ნაცნობი და ავის მომასწავებელი. ხმა, რომელიც ეძებს პატარა საბაბს ჩხუბისა და უსიამოვნებისათვის.

— მოდი შეილო სახლში, — მოეცალე მანდაურობას — ეძახის „არგასაზრდელის“ გამაზრდელი თავის უდროოდ გაზრდილს და მუჭლუგუნის ცემით შეყავს პატარა ჭემალი სახლში.

ბიძია მიშა მოღის, ბიძია მიშა, ეზოს გოგო-ბიჭები შემოეხვეივნენ მიხეილ ცაბაძეს, რომელიც ნადირობიდან დაბრუნდა. ბავშვებს ძალიან უყვარდათ იგი. მიხეილ ცაბაძე მუდამ საინტერესო ამბებს უყვებოდა პატარებს.



დაღლილმა ხალათი აივანის თოკზე ჩამოკიდა და სახლში შევიდა.

— ფუუუუ, რაა ეს, რა კიღია, ნესტოები დამიბერა, ტვინი გამიხეთქა, კვირა დღე ჩამიმწარა, თოკი იმიტომ გააგრძელეთ, რომ სიცოცხლე შემიმოკლოთ ხომ?! გაისმა ალისას გაავებული ხმა.



ხმაურზე მეზობლების რიცხვი გამრავლდა. ყველა მეტ-ნაკლები ინტერესით შეზვდა ამ ამბავს. ზოგი სეირის მიზნით შეჰყურებდა ალისას და ახალი ამბის მოლოდინში სახეს ჭაჩავდა. ნეიტრალური ბუნების ადამიანები ოდნავ მობეზრებით გადი-გამოდინდნენ. ცნობისმოყვარე გულშემატკივრები სულს ვერ ითქვამდნენ.

მიხეილ ცაბაძე გარეთ გამოვიდა.

— წაიდე ეს გაბინძურებული ხალატი აქედან, ნუ მიწამლავ კარმიდამოს, ნუ მიმწარბე კვირა დღეს, ამას კითხულობ გაზეთებში, ადამიანები ერთმანეთს უნდა უფრთხილდებოდნენო. კარგი მეზობელი კარგ ნათესავს მირჩევნიაო. ნერვიულობამ ინფარქტი იცისო, თუმცა შენ ტყეში ამაზე ვინ გეტყვის. მე ვეღარ მოვიტოვებ ამდენ ჩაგვრას. დაბალი რომ ვარ ამიტომ მამაცირებ, ვერა და ვერა—დაავლო ხელი გაკაპასებულმა ალისამ აივანზე მდგარ ვედროს და ესროლა დამუნჯებულ ცაბაძეს. საფეთქლიდან იფეთქა სისხლმა და ალისას გაავება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე მივიდა.

სასამართლომ ღირსეული სასჯელი მიუზღო ეზოს „გმირს“.

სად არის გულწრფელი მონანიება?

პოლიტექნიკური ინსტიტუტი რომ დაამთავრა, ლერი ერისთავმა რუსთავის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მშობლებს რომ მოწყდა გულს ეთანადრებოდა, მაგრამ მუშაობამ გაიტაცა, საქმის სიყვარულმა.

მეგობრის დაბადების დღეზე გაიცნო ცისფერთავლება ქეთინო. მართალი კაცი იყო და დიდხანს აღარ დაუმალა გულისაქმა. ლერიმ თბილისში შეატყობინა ოჯახის წევრებს. დედა სახარულით ცას ეწია, შვილი მიბედნიერდებაო. მამა უთქმელი კაცი იყო და მხოლოდ ეს უთხრა მეუღლეს — დიდი ქორწილი უნდა გადავუხადო ჩემს ვაჟკაცს.

— ქეთინო ნამდვილად გიყვარვარ? იქნებ სცდები. მე კი ყოველთვის შენნაირი ცოლწარმომიდგენია. ქალიშვილი თუ გვეყოლება შენ უნდა დაგემსგავსოს. მასაც ქეთინო დავარჯვთ. კარგი?

— ხო, მამაჩემმა პანქანა მიყიდა, მე ბიჭი არა მყავს და რად მინდა ამდენი სიკეთე თქვენს თუ არ გაიხარებთო.

-- კი მაგრამ, რა საჭიროა.



ნიშნობის დღეს ახალ ტანსაცმელში გამოაწყვეს სასიძო, უხერხულობისაგან იშმუშუნებოდა ლერი, მაგრამ რას იტყოდა.

ქორწილი გადიხადეს. სუფრას არ დაკლებია სვავი და ბარაქა. ენაშვიანობდა ოქროპირი თამადა. პატარძლის სადღეგრძელო რომ შესვეს, ქართველი ქალის პატიოსნება ცამდე აიყვანეს სუფრის წევრებმა. კარგ დედობას და ერთგულ მეუღლეობას უსურვებდნენ სადღეგრძელოში. მიხაკების ცეცხლი ანათებდა ახალი ფუძის კარიბჭეს. ქორწილი დამთავრდა. ყველა წავიდა.

— ლერი, იცი შენ არა ხარ ჩემთვის პირველი... მე უკვე მიყვარდა ერთხელ.

მოულოდნელმა ამბავმა თვალი დაუბნელა ლერი ერისთავს.

კი მაგრამ რატომ აქამდე არ მითხარი. ხუთი წუთი საუკუნედ იქცა... ახალმა ტანსაცმელმა თითქოს დაწვაო, თავიანი ძველი კოსტუმი მონახა, ჩაიცვა და წავიდა...

ეს იყო და ეს.

ახლა მათი გასქორწინების საქმეს იხილავს კალენინის რაიონის სახალხო სასამართლო.

— ლერი, შვილო, ახალგაზრდა გოგონაა, ერთხელ უყვარდა და შეცდა. არ აპატიებ? —
ფრთხილად ეკითხება მოსამართლე.

— ვერ ვაპატიებ პატივცემულო მოსამართლე. ვერ ვაპატიებ, გაიმეორა ერისთავის სიტყ-
ვები მოსამართლემ. არა რომ ეთქვა ნაკლებ სარწმუნო იქნებოდა, გაიფიქრა და შეხედა ლერო
ერისთავს, რომლის სახე ტანჯვას დაეფარა.

— რატომ მომატყუა, ადრე ეთქვა ყველაფერი, შეუგნებელ კაცს არ მეძახიან, გულწრფე-
ლად ეღიარებინა. ცუდი გზა აირჩია.

— თანახმა ხარ განქორწინებაზე ქეთინო...

— დიახ.

— ხომ არაფერს არ აჭარბებს შენი შეუღლე, იქნებ არ იძახის სიმართლეს.

— არა, ყველაფერი სწორია.

დაინგრა ოჯახი, რომელიც არ აშენებულა.

სავალალო ფაქტია. მიზეზი? მიზეზი დიდი და მეტად მტკივნეული.

ლ. ზანტურია.



მ. ო. ბ. ო. ბ. ა.

მ. ო. ბ. ო. ბ. ა.

— თქვენი აზრით სად წაგიყვანეს?
— აბა რა ვიცი. დარწმუნებული ვარ ქალაქ-ვარეთ ვიყავი, უფრო მაიაკოვსკის რაიონისაკენ, მაგრამ სად, წარმოდგენა არა მაქვს.

— რამ შეგიქმნათ ასეთი რწმენა?
— ჯერ ერთი იმან, რომ დაახლოებით 30 კილომეტრი ვიარეთ, მეორეც, თუმცა მცირე მანძილი, მაგრამ საკმაოდ საგრძნობი დაღმართი გავიარეთ. უნდა მოგახსენოთ, რომ წნევის ცვალებადობა ჩემზე ცუდად მოქმედებს. მე არა ერთხელ ვყოფილვარ მანქანით მაიაკოვსკში როგორც მგზავრად, ისე მანქანის საჭესთან და სადგური რიონის დაღმართს თვალდახუჭულიც კი ვცნობდი. დაეშვებოდა თუ არა მანქანა იმ დაღმართზე, ყურები მაშინვე შემიგუბდებოდა.

— კი მაგრამ, დაღმართი სხვა მიმართულებითაც არის, მაგალითად ზესტაფონის გზაზე. გაცდებოთ თუ არა საფიჩხის რკინიგზის ხილს, იქაც ასეთივე დაღმართი იწყება, — ჩაუროთ ბალანჩივაძემ.

— მართალია. ამ გზაზეც მივლია და იგივე მიგრძენია, რაც სხვა დაღმართის ჩავლისას, ამიტომ მე არ ვამტკიცებ, რომ უეჭველად მაიაკოვსკისაკენ ვიყავი, ეს მხოლოდ ვარაუდია აგებული ამ გარემოებაზე: ერთი, დაღმართი დაახლოებით 8-10 კმ. გავლის შემდეგ ვიგრძენი, ხოლო ჩემს სახლიდან საფიჩხიამდე 2 კმ. თუ იქნება. ამასთან უკან დაბრუნებისას აღმართი არ მიგრძენია, ხოლო როდესაც იმ ჩიხიდან ვამოვედი, სადაც ბანდიტებმა ჩამომსვეს, შევამჩნიე, რომ ჩემი მომყვანი მანქანა წერეთლის ქუჩით აბრეშუმკომბინატისაკენ წასულა, მანქანის საბურავების კვალი კარგად ჩანდა, თუმცა იმ დროის განმავლობაში, რაც მე თვალახვეული ვიდექი, კვალი საკმაოდ ამოევსოთოვლს.

— თუ შევიძლიათ აგვიწერეთ თქვენი წამყვანები და დაჭრილი, — თხოვა ექიმს მინდელმა.

— სიამოვნებით, ჭაღარა დაახლოებით 50-55 წლისა იქნება, საშუალოზე მაღალი ტანის გახლავთ, თვალების ფერს ვერ გეტყვით რადგან დღის შუქზე არ მინახავს. კარგად მოყვანილი

მოგრძო, ლამაზი და მიმზიდველი სახე, ფართო შუბლი, ძალზე მეტყველი ალურსიანი გამოხედვა. გაბრაზების დროს თვალები საოცრად აენთება, ბოროტ ნაპერწკლებს ისვრიან და მთელი სახე რაღაც საშინელ ბოროტ გამომეტყველებას ედებულობს. ხმა ოდნავ ჩახრინწული, სიცილი ცივი, მეტად უსიამოვნო. ლაპარაკობს დინჯად. კილო მტკიცე და მომთხონი, ცხვირი საშუალო ზომის, სწორი, მახვილი ერთმანეთზე გადაბმული წარბები, მის ასაკთან შედარებით, ძლიერი კარგად განვითარებული კუნთები აქვს, წვერი, როგორც მოგახსენეთ, ჭაღარა ოდნავ მელოტი, დადის გამართული. სასიამოვნო მოსაუბრეა. ზრდილობიანია, შეიძლება ითქვას ნატიფი. ნაკითხი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს და საკმაოდ ერკვევა მედიცინაში.

მისი თანმხლები 30-32 წლის ახალგაზრდა იქნება, საშუალო სიმაღლის, ქერა, პატარა ჭროლა ჩავარდნილი თვალები, თითქმის სწორი წარბებში, საკმაოდ დიდი თავი, შუბლი წამოწეული, თმა წინიდან უკან აქვს გადავარტანილი, ოდნავ კეხიანი ცხვირი, მოკლედ შეკრეპილი ქერა უღვაშები, ლაპარაკობს წვრილი, ქალური ხმით, გამხონძვა ცივი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი.

ავადმყოფის სახესა და თვალებზე ვერას გეტყვით, ქერა თმა, უფრო ოქროსფერი, ოდნავ ხუჭუჭი. 24-26 წლისა იქნება, შედარებით პატარა ტანისა, ხელები თეთრი, ქალივით ნაზი, ალბათ ფიზიკურად არასოდეს უშუშავნია, წარბები საკმაოდ მოხრილ, მოკლედ შეკრეპილი უღვაშები, შედარებით გამხდარი და სუსტი აგებულებისა, — დაამთავრა ექიმმა.

— რაიმე განსაკუთრებული ნიშნები ხომ არ შეგიმჩნევიათ რომელიმე მათგანისათვის? — შეკითხა ბალანჩივაძე.

ექიმი ცოტახანს დაფიქრდა, ჩანდა მესხიერებაში თავის ძალადაპყრობის იხსენებდა და შემდეგ გადაჭრით უპასუხა:

— არა, არავითარი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ გარემოებას: ჭაღარას საოცრად თეთრი, ლამაზი და როგორც ეტყობა საკმაოდ მაგარი კბილები აქვს.

— თქვენ დაჭრილი რამდენჯერმე ნახეთ, რო-

1. გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1966 წელი № 3.

გორც აღნიშნეთ, პულსიც გაუსინჯეთ, ხომ არ მიგიქცევით ყურადღება მარჯვენა ხელის თითებზე? — ჰკითხა მინდელმა.

— განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია, როგორც მოგახსენეთ. მე მხოლოდ ის შევამჩნიე, რომ ხელები ნაზი და უფრო ქალური აქვს, ვიდრე მამაკაცის ხელებია.

— რაზე განსაკუთრებული ნიშანი ხომ არა აქვს? — გაიმეორა კითხვა მინდელმა.

— არა, ამხანაგო გამომძიებელო, ეს კია მარჯვენა ხელის შუათითზე პატარა ნახვლეტი ჭრილობა შევამჩნიე, მაგრამ ეს ხომ რაიმე განსაკუთრებული ნიშანი არაა, თქვენ რომ გამოგადგეთ.

მინდელს გაეღიმა.

— ჩვენ ყველაფერი გამოგვადგება, თუ გენბავთ ასეთი წვრილმანიც, ამიტომ გთხოვთ შეძლებისდაგვარად ყველაფერი გაიხსენოთ. ის, რაც თქვენთვის უმნიშვნელოა, შეიძლება გამოძიებას გამოადგეს.

გრძელიძე ჩაფიქრდა. სათვალეები ისევ მოიხსნა, გულდაგულ გაწმინდა ცხვირსახოცი, კვლავ გაიკეთა და მიუგო:

— არა, სხვა რაიმე არ შემიმჩნევია.

— ექიმო გთხოვთ, საწყენად არ მიიღოთ, ყველას თუ არა, ადამიანთა დიდ უმრავლესობას რაღაც თავისებურება ახასიათებს, რაღაც სხვისაგან განსხვავებული ჩევეა აქვს, ეს კი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. აი თქვენ, მაგალითად, ამ ერთი საათის განმავლობაში სათვალე 7-ჯერ გაწმინდეთ, ეს ალბათ ჩვეულების ამბავია და ადამიანი უანგარიშოდ აკეთებს, — მინდელს კვლავ გაეღიმა.

გრძელიძე შეცბუნდა, სიწითლე მოერია, შემდეგ გაოცებით შეხედა მინდელს.

— თქვენ მართალი ხართ, ეს ჩემი ჩვეულებაა და თითქმის მექანიკურად ვაკეთებ, არც მიფიქრია, რომ შეამჩნევდით, თქვენ კი დაგიოვლიათ კიდევ.

ექიმი ერთი წამით დაფიქრდა და შემდეგ ყოყმანით დაუმატა:

— იცით რა! დაბეჯითებით ვერ გეტყვით, მაგრამ მე მგონია, ჭადარა ფრჩხილებს იკვნიტავს.

ბალანჩივაძემ გაიცინა.

— აი, ხომ ხედავთ ექიმო, თქვენც შეგიმჩნევიათ ისეთი რამ, რაც ჭადარას თავისებურ, არც თუ მეტად პოეზიურ ჩვევაზე მიუთითებს.

— დიახ, დიახ! თქვენ მართალი ხართ! მე არ მეგონა, თუ ასეთ წვრილმანებს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა.

— თქვენ ნამდვილად გახსოვთ კიბის საფეხურების რიცხვი? — შემდეგი კითხვა დასვა მინდელმა.

— ნამდვილად, ამხანაგო გამომძიებელო. აკი

მოგახსენეთ, საფეხურები ისე, ანგარიშსაცემულად, მეც არ ვიცი რატომ, მაგრამ ნამდვილად დავთვალე. მათი რაოდენობა მტკიცედ დამამახსოვრდა 17, შემდეგ ბაქანი და კვლავ 22; დამაცათ... ახლა გამახსენდა, რომ იმ 22 საფეხური-



დან ერთერთს, მერვეს თუ მეათეს, მარტხენა მხარე მოაჯირისაქენ ჩამოტეხილი აქვს. თვალახვეულმა ცხადია ვერ შევამჩნიე და კინაღამ დავეცი. ჭადარამ ბოდიშიც კი მოიხსნა ამის გამო.

— მოაჯირი ხისაა?

— არა, რკინის, კუთხოვანი რკინის. როდესაც კიბეზე ავდიოდი, სახელურს უთათმანო ხელით ვეხებოდი.

— შეგიძლიათ ავიწეროთ ოთახები?

გრძელიძე ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

— პირველი ოთახი დაახლოებით 16-18 კვ. მეტრი იქნება, მღალი ჭერი, შუაში ოთხკუთხა მაგიდა, რამდენიმე სკამი, კუთხეში წიგნების თარო, ტახტი, მის პირდაპირ კედელზე ხალიჩა გახლავთ ჩამოკიდებული, რაც ტახტის ნაწილსაც ფარავს. სხვა ნივთები არ შემიმჩნევია. მეორე ოთახი უფრო ბიძია 20-22 კვ. მეტრი. ძვირფასი ხის ორი საწოლი, სარკე—„ჩინური ვაზა“, ტუმბოები, ტანსაცმელის დიდი კარადა ჭერზე პატარა ზომის ბროლის ჭადი, ნათურების რაოდენობა არ მახსოვს, მაგიდის მცირე შუქის მქონე ნათურა.

— ხომ არ მიგიქცევიათ ყურადღება წიგნებისათვის?

— არა, ამხანაგო გამომძიებელო, მხოლოდ „ჩვენი საუნჯე“ კი დავინახე რამდენიმე ტომი.

მართალი ვითხრათ, ტყვეობაში დროის მოკვლის მიზნით მინდოდა რაიმე წიგნით გამერთო თავი, მაგრამ ნება არ მომცეს, ახლოსაც არ მიმაკარეს თაროს.

— ვარდა თქვენი მომტაცებლებისა ხომ არავინ გინახავთ?

— არა, არავინ.

— ლაპარაკიც არ მოგისმენიათ? — კვლავ შეეკითხა მინდელი.

— არა, არ მომისმენია. როგორც მოგახსენეთ, დილას სასმელ-საჭმელი ახალგაზრდამ შემოიტანა, საღამოს მანვე მოიტანა მოხარული ქათამი და შემწვარი ხორცი, რა თქმა უნდა, ღვინო და კონიაკი. სხვა არც ვინმე მინახავს, არც საუბარი მსმენია. ქალაქი ამ ორი ოთახიდან არ გასულა. თითქმის მთელი დრო დაჭრილთან გაატარა. ხანდახან გამოდიოდა ჩემთან, მესაუბრებოდა და უკანვე ოთახში გადიოდა. ახალგაზრდა კი მთელი დღე ჩემთან ერთად იჯდა ოთახში, მხოლოდ წამოსვლამდე რამდენიმე წუთით გავიდა გარეთ. ასე, რომ არც კი ვიცი უკან მან წამოიყვანა მანქანა თუ სხვამ.

კაბინეტში ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა. მინდელმა კალმისტარი აიღო, სუფთა ფურცლები გადაანობრა და გრძელიძეს მიმართა:

— ექიმო, მართალია გვიან არის, მაგრამ ცოტა ხნით კიდევ უნდა ვაგაჩროთ, ვიკიდებ თქვენს ჩვენებას წერალბობით გავაფორმებ და ხელს მოგაწერინებთ. შემდეგ კი მივიღებთ ზომებს თქვენი სახლში გაცილებისა და უშიშროებისათვის.

— მადლობას მოგახსენებთ ამხანაგო გამოძიებელი, მაგრამ მე მგონია თქვენ მთავარი დაგვიწყდათ. ამ თავაზიანმა ყაჩაღებმა ჩემი შრომისა და შიშის მეფური სახლური გადაიხადეს. მე ავადმყოფის საშველად ხშირად დამით ფენილი თუ ცხენით 10-12 კ. ვამივლია, მაგრამ ფული პატიოსანი ხალხიდანაც არ ამიღია, მე მხოლოდ ექიმის მოვალეობას ვასრულებდი და ასეთი გზით აღებული ფული ჩემთვის, მით უმეტეს, არ არის საჭირო.

გრძელიძემ ჯიბეში ხელი ჩაიყო, ორად გაეცილი 6 ცალი 50 მანეთიანი ამიიღო და მინდელის წინ მაგიდაზე დაწყო.

ბალანჩივაძეს გაეღიმა.

— თქვენი უანგარობის მტკიცება ჩვენთვის საჭირო არ არის, საკმაოდ გიცნობთ და ექვი არ გვეპარება რაიმეში. ფულს კი უსათუოდ დავიტოვებთ. ის საქმეს უნდა დაერთოს.

— პატივცემულო დავით, — მიმართა მინდელმა ბალანჩივაძეს, — მე ისე სასწრაფოდ წამოვედი თქვენთან, არც კი მომგონებია კაბინეტს ჩრდილელის ვაფრთხილება, ის ალბათ პროკურატურაში შეძებს, იქნებ ვაფრთხილოთ მორიგე თქვენთან გამოგზავნოს ჩრდილელი, ვატყობ,

ამაღამ არც ერთ ჩვენგანს ძილი არ გვიწერია, საჭირო იქნება სწრაფი მოქმედება. ჯიბეში მე ამხანაგ გრძელიძის ჩვენებას გავაფორმებ, აუცილებელია ოპერატიული ჯგუფის თავმოყრა და შემდგომი მოქმედების ვეგმის შემუშავება.

— კეთილი, კეთილი. ოპერატიულები ყველაინ აქ არიან. შეტყობინების გარეშე არც ერთი მათგანი არ მიდის განყოფილებიდან. ბალანჩივაძემ ზარის ღლიაკს თითი დააჭირა და შემოსულ სერჟანტს უბრძანა, რომ 20 წუთის განმავლობაში შეეკრიბა მის კაბინეტში ყველა ოპერატიული მუშაკი.

თავი III

კვლავ გადაუღებელივ თოვდა. ეძინა ქუთაისს. შრომით დაღლილი ქალაქი ისვენებდა, ღონეს იკრებდა.

არ ეძინა მხოლოდ მილიციის საქალაქო განყოფილებას, სადაც თავი მოეყარა მთელ აპარატს. ბალანჩივაძის კაბინეტში თათბირი მიმდინარეობდა. აქ იყო პროკურორი ხომერტიკი.

მინდელმა თათბირს გააცნო ქირურგ გრძელიძის მოტაცების ამბავი და მისი დაკითხვიდან გაკეთებული დასკვნები.

— საქმე მეტად სერიოზულია, — განაცხადა მან ინფორმაციის დასასრულს. — მართალია, ჯერჯერობით არავითარი ისეთი მონაცემები არ გავაჩნია ვამტკიცოთ, რომ გრძელიძის მოტაცება ტყველიაძის მკვლელობასთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ ვფიქრობ, სწორედ ეს დაჭრილი დაეხსა თავს ტყველიაძის ოჯახს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ბოროტმოქმედნი გამოცდილნი, თავისი საქმის მცოდნენ, მოხერხებული და გამბედავი ნაპირალები არიან. მაგრამ როგორი ძლიერი და ჭკვიანიც არ უნდა იყოს დამნაშავე, როგორც არ უნდა ფრთხილობდეს იგი, კვალს მაინც ტოვებს. არ არსებობს დანაშაული კვალის გარეშე. უნდა შეგვეძლოს ამ კვალის პოვნა, უნდა შეგვეძლოს მოვლენათა ჯაჭვში მხოლოდ მთავარი რგოლის მოძებნა, რომ ხელი ჩავჭიდოთ და მისი საშუალებით დანაშაულის მთელი არსი გამოვიტანოთ დღის სანათლვეს. ექიმ გრძელიძის ჩვენება მეტად საინტერესო მონაცემებს შეიცავს. რაც სასწრაფოდ შემოწმებას და მთელი ოპერატიული ჯგუფის დაძაბულ შრომას მოითხოვს. არც ის უნდა დაგვაფიწყდეს, რომ დამნაშავენი ფრთხილობენ. დაჭრილი ოპერირებულია და პირველი შესაძლებლობისთანავე შეეცდებიან დატოვონ ქუთაისი. დიახ, ქუთაისი! რადგან მე დარწმუნებული ვარ იაინი ქუთაისში იწყობებიან. თუმცა გრძელიძე ამტკიცებს, რომ ის ქალაქგარეთ ჰყავდათ წყევანილი. საჭიროა, დაუყოვნებლივ მივიღოთ ზომები ბანდიტების ბლუაგის აღმოსაჩენად. ეს არის მთავარი რგოლი ტყველია-

ძის საქმეში და ჩვენც მას უნდა ჩავჭიდოთ ხელი. ჩვენ გვაქვს სამი დამნაშავეს, თუმცა არასრული, მაგრამ მაინც საკმაოდ ნათელი სიტყვიერი პორტრეტი. ვიცით, რომ სახლი, რომელშიაც ისინი იმალებიან, ორსართულიანია, შესასვლელი ეზოდან აქვს და ბინას უკავშირდება ორმარშიანი კიბით. კიბე ვადაუხურავია. ქვის 39 საფეხურს შეიცავს, მეორე მარშის ერთ-ერთი საფეხური მარცხენა მოაჯირისაკენ ჩამოტეხილია. ასეთი მონაცემებით არც თუ ადვილია სახლის პოვნა. მაგრამ გვაქვს კიდევ ერთი თავისებურება, დიდი თოვლის გამო გარეუბნებში ტრანსპორტი თითქმის არ მოძრაობს. აქედან დასკვნა: ჩვენთვის საინტერესო სახლი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და ძებნაც აქ უნდა ვაწარმოოთ.

მინდელმა პაპიროსს მოუხედა, ღრმად მოსწია. შემდეგ საათს დახედა და განაცხადო:

— ახლა დარს 3 საათია. არ უნდა დავკარგოთ არც ერთი წუთი. საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი ღონისძიების გატარება: უნდა გაისინჯოს ქუჩებში მოძრავი ყველა მსუბუქი მანქანა. ეჭვგარეშეა ბანდიტებს საკუთარი მანქანა ჰყავთ. ეს დადასტურებულია ექიმის ჩვენებით. დამნაშავეთა მანქანის უკანა სავრძლის მარცხენა ნაწილი დაზიანებულია, ზამბარა აქვს ამოვარდნილი. აღმოჩენის შემთხვევაში მანქანა და შიგ მსხდომნი დაკავებული უნდა იქნენ რაიმე უმნიშვნელო მიზეზით. შემდეგ: ახლავ უნდა დაეუკავშირდეთ ქალაქის საარქიტექტურო სამმართველოს და ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს, დილისათვის ჩვენს ხელთ უნდა იყოს ჩემს მიერ აღწერილ სახლების სია, რის შემდეგ მოვახერხებთ საბაბის პოვნას ამ ბინებში შესასვლელად. გასხოვედით, ჭალარა და მისი დამქაშები ჩვეულებრივი ქურდბაცაცები როდი არიან. მცირედი ეჭვი, რომ მათ ჩავარდნის საფრთხე ემუქრებათ, საკმარისია ახალი მკვლელობის ჩასადენად, ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გვამრთებს, — დაამთავრა მინდელმა.

— შეიძლება? — წამოდგა ოპერატიული ქვეგანყოფილების უფროსი მაიორი თედიაშვილი.

ბალანჩივაძემ უსიტყვოდ დაუქნია თავი.


— რა მონაცემები გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენთვის საინტერესო სახლი ქუთაისში მდებარეობს? ვრძელიძე ამტკიცებს მანქანამ დაახლოებით 30 კმ. ვაიარაო, ამტკიცებს აგრეთვე, რომ ვადალახეს საკმაოდ დამრეცი დაღმართი და ეს მან წნევის ცვალებადობით იგრძნო. ავტონსპექტორი დეგდარიანის ნახაზითაც დადგენილია, რომ ჩიხში გრძელიძის მიტოვების შემდეგ მანქანა წერეთლის ქუჩით ლტობონის ქარხნისკენ ე. ი. მაიაკოვსკის მიმართულებით წა-

სულა. განა ყველა ეს არ გვაფიქრებინებს, რომ ექიმი ქალაქგარეთ წაიყვანეს?

— არა, — უბასუხა პროკურორმა ხომერიკმა, — ჩვენთვის საინტერესო სახლი ქუთაისში მდებარეობს. ეს დასკვნა მე, ბალანჩივაძემ და მინდელმა სწორი ლოგიკური ფაქტების ანალიზის შედეგად გვაკეთეთ. როგორც ირკვევა, ტყეშელიძის მკვლელი საკმაოდ მძიმედ არის დაჭრილი, ისე მძიმედ, რომ ჭალარა ჩავარდნასაც არ მოერიდა და დაჭრილის საოპერაციოდ ქალაქის ერთერთი ცნობილი ქირურგიც კი მოიბრუნა. და მოიბრუნა, დანაშაულის ჩადენიდან დაახლოებით 1,5-2 საათის შემდეგ. ხოლო ამ დროის განმავლობაში ბანდიტები რაიონში ჩასვლას და უკანეე ჩამოსვლას ვერ მოასწრებდნენ. ნუ დაგავიწყდებათ, აგრეთვე ისიც, რომ ვიღრე ექიმის მოტაცებას ვადაწყვეტდნენ, ჭალარამ თვით აღმოუჩინა დაჭრილს სათანადო სამედიცინო დახმარება, ამასაც დრო ჰქონდა. ლოგიკურია, ისიც, რომ ჭალარამ დიდი ყოყმანისა და უკიდურესი აუცილებლობის გამო გასწია რისკი ექიმის წაყვანისა და ვიღრე ეს გადაწყვეტილება მიიღო საკმაოდ დრო გავიდა. თუ ყველა ამას გავითვალისწინებთ, მივალთ უეჭველ დასკვნამდე, რომ ბანდიტები ქუთაისში არიან მოკალათებული.

გარდა ამისა, პროფესიული დამნაშავენი ყოველთვის ერიდებიან სიფელსა და დაბებში დაბინავებას. კარგად იციან, იქ უტვხო ხალხი ადვილი შესამჩნევია. ესეც მინდელის დასკვნის სასარგებლოდ ლაპარაკობს, — დაუმატა პოლკოვნიკმა.

— რაც შეეხება დაღმართს და 30 წუთის განმავლობაში მგზავრობას, — განმარტა მინდელმა, — ეს ჭალარას ტყვიანური მოსაზრების ნაყოფია. მიუხედავად მუქარისა, ის უეჭველად ითვლისწინებდა გრძელიძის მოტაცების გამყვანების შესაძლებლობას, ამიტომ შეეცადა მოხერხებულად დაეხდინა კვალი. მანქანა ქალაქში ატარა ხოლო ჯავარძის, მიასნიკოვის, მახარაძისა და თბილისის ქუჩებს ისეთი დაქანება აქვს, რომ მანქანის დაშვება დაავადებულ კაცს უეჭველად აგრძნობინებს წნევის ცვალებადობას. არის კიდევ ერთი გარემოება, რაც სავსებით გამორიცხავს ბანდიტების ბუნავის ქალაქის ტერიტორიის გარეთ არსებობას: ყოველი დამნაშავე, როგორი მოხერხებულებიც არ უნდა იყოს იგი, აუცილებლად უშვებს ერთი შეხედვით მცირე, თითქმის შეუმჩნეველ შეცდომას, ასე მოუვიდა ჭალარასაც: მან ჩიხში მიტოვებულ გრძელიძეს სიკვდილის მუქარით აუკრძალა 30 წუთის განმავლობაში თვალსაზრისის მოხსნა. ეს დრო სავსებით საკმარისია წერეთლის ქუჩის IV ჩიხიდან ქალაქის, რომელიც გნებავთ, ცენტრალურ ნა-



წილში მდებარე ქუჩაზე მისასვლელად, ხოლო ძალზე მცირეა რაიონში ჩასასვლელად.

კაბინეტში ცოტა ხნით სიწყნარე ჩამოვარდა.

— მაშ ასე ამხანაგებო, — წამოდგა პოლკოვნიკი, — ამოცანა ნათელია. თუმცა დაჭრილი მძიმე მდგომარეობაშია და ექიმმაც აუკრძალა ჭალარას მისი განძრევა, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ის ამაღამვე შეეცდება თანამზრახველებით ქალაქიდან გასვლას. ქალაქის ყველა მისასვლელეზე უნდა ჩაიკეტოს, შეიკრას! ქუთაისიდან შეუმოწყმებელი არ უნდა გავიდეს არც ერთი მანქანა!

ამხანაგო გრიგოლ, — მიმართა მან მელოტ კაპიტანს — ახლავე პირდაპირი ხაზით დაუკავშირდით სამტრედიას, ჩოხატაურს, ზესტაფონს, და ხაშურს, ვადაცეით შეამოწმონ ქუთაისიდან მიმავალი ყველა მანქანა, გამორიცხული არ არის, რომ ზანდიტების ჯგუფი უკვე გავიდა ქალაქის ტერიტორიიდან. საქმის საერთო გამოძიებას ამხანაგი მინდელი ხელმძღვანელობს, მილიციის ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელობას კი კაპიტან ჩრდილელს ვაგალებ. თუ შეკითხვები არ არის, შეუდგეთი დავალების შესრულებას.

ყველანი წამოდგნენ.

— ამხანაგო შალვა, თქვენ ცოტა ხნით დარჩით, ზოგიერთ საკითხზე უნდა მოგვლაპარაკოთ, თან ჩიკვაიძის დაკითხვის მასალებს გავაცნობთ, — მიმართა მინდელმა კაპიტანს.

— ახლავე, — უბასუხა ჩრდილელმა, — ამხანაგებს დავალებებს გაუქნაწილებ და დაებრუნდები.

კაბინეტში ბალანჩივაძე, ხომერიკი და მინდელი დარჩნენ.

ბალანჩივაძემ ბორჯომის ბოთლი ვახსნა, წყალი ჭიქაში ჩაასხა, ხომერიკსა და მინდელს შესთავაზა და თვითონაც დალია. შემდეგ ტელეფონის ყურმილი აიღო და თავის ბინას დაუკავშირდა.

— ნინა, დავითი ვარ, როგორ არის ბავშვი? პო, კარგი, კარგი, მე დამაგვიანდება. შეიძლება დილამდე ვერ მოვიდე. ნუ დარდობ, შიმშილით არ მოვეკლები, — დაუმატა ღიმილით და ყურმილი დაკიდა.

ხომერიკს გაეცინა.

— ყველგან ასეა, ჩემი მუშაობის 15 წლის მანძილზე გამოძიების ყველა მუშაკის ოჯახში ერთი და იგივე მესმის: „როდის დაიძინებ?“ „როდის ისაღილებ?“ „როდის მოიცლი ოჯახისათვის, ბავშვისათვის?“ და იცით რა? მე მგონია თავისებურად ცოლები მართალნი არიან. მათაც ხომ აქეთ უფლება მოითხოვონ ქმრისაგან ის, რაც ჩვეულებრივი და ასე ხელმისაწვდომია სხვა ღარგის მუშაკებისათვის?

— რა თქმა უნდა, თავისებურად მართალნი არიან, — ღიმილით უბასუხა პოლკოვნიკმა და განაგრძო, — მაგრამ არც ჩვენ ვართ მტყუანნი. ჩვენ მათ ძილს, ასეებისა და ათი ათასების ძილს ვდარაჯობთ, ხოლო როცა სადარაჯოზე ხარ, ფრთხილად უნდა იყო. ნინას ეს ესმის, სხვებსაც, მაგრამ ოჯახი თავისას მოითხოვს. ხანდახან ხომ რამდენიმე ღამე ისე გაიკვლის მხოლოდ ერთი ორი საათით თუ წაიძინებ. ასეთ დროს ჩემი მეუღლე უეჭველად აბუზღუნდება და გულს იმით იხებებს, რომ სერიოზულად მარწმუნებს: — „შენ ერთადერთი ღამურა ხარ ჩვენს ოჯახში და ღმერთმა ნუ ქნას შეიღებოც შენ გზას დაადგენო“.

სამთავეს გაეცინათ.

კაბინეტის კარები ჩრდილელმა შემოაღო.

— შეიძლება? — იკითხა მან.

— შემოდი შალვა, შემოდი! — ნება დართო პოლკოვნიკმა.

ჩრდილელი მავიდასთან ლევანის გვერდზე დაჯდა, საქალაქიდან რამდენიმე ფურცელი ამოიღო და გამოძიებულს გაუწოდა.

— დაკითხვის ოქმებია, — განმარტა მან.

ლევანმა ქალაქები ჩამოართვა, ჩუმად გადაიკითხა, რამდენიმე სტრიქონს წითელი ფანქრით ხაზი გაავლო და შემდეგ ჩრდილელს ჰკითხა:

— როგორ იქცეოდა ჩიკვაიძე დაკითხვაზე?

კაპიტანი არ აჩქარებულა, ერთხანს ღუმდა, შემდეგ კი უბასუხა:

— ჩიკვაიძე მე პირველად დღის 6 საათზე დავკითხე. ცოტა უხერხულიც იყო მისი გამოწვევა, რადგან ის არის ახლა ერთადერთი ნუგეში დაქვრივებული ქალისა და ტყეშელიაძის დაკრძალვამდე არ მინდოდა ოჯახის შეწუხება, მაგრამ მაინც გაუფუხავნე უწყება. მოვიდა. ძალზე შეწუხებულია. მხოლოდ ეს არის, რატომღაც მომეჩვენა, რომ მისი მწუხარება უფრო ღრმაა, ვიდრე მოკლულის ნათესავს ან შვილს შეიძლება ჰქონდეს.

დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი. გამოირკვა, სოფელ იანეთიდან, სადაც მისი დედა ცხოვრობს, დეპეშა მიუღია დედის ავადმყოფობის შესახებ. ბინის გასაღები მეზობელ გორდელ-ლაძისათვის დაუტოვებია და ავტობუსით სოფელში წასულა. სოფლიდან 12 იანვარს უნდა დაბრუნებულიყო. ასე დაუბარებია გორდელაძისათვის. მეორე დღის 2 საათზე ტელეფონით შეატყობინეს ალექსანდრე ტყეშელიაძის სიკვდილი. არაფრით არ დაეჯერებინა, რადგან დეიდამისი და ალექსანდრე თბილისში იყვნენ წასული და იცოდა 15 იანვრამდე არ დაბრუნდებოდნენ. შემდეგ როდესაც დაურწმუნებიათ, დეიდამისთან ერთად ჩამოსულა.

— დედამისთან ერთად? — გაუკვირდა მინ-
დელს.

— დიახ, დედამისთან ერთად. ამას მეც მივა-
ქციე ყურადღება, მაგრამ ჩიკვაიძისათვის არ
მიგრძნობინებია, გავუწვი. შემდეგ სასწრაფოდ
ტელეგრაფში წავედი და იანეთიდან 11 იანვარს
გამოგზავნილი დეპეშის ასლი მოვითხოვე. არ
აღმოჩნდა. ჩემი თხოვნით ტელეგრაფის უფროს-
სი მაშინვე დაუკავშირდა იანეთის საფოსტო გან-
ყოფილებას, სიდანაც გვიპასუხეს, რომ არავი-
თარი დეპეშა ტყეშელიაძის ან ჩიკვაიძის სახელ-
ზე საფოსტო განყოფილებაში მიღებული არ
ყოფილა.

— შემდეგ? — იკითხა ხომარიკმა, რომელიც
ბალანჩივაძესთან ერთად ყურადღებით უსმენ-
და ჩრდილელს.

— მე უკვე ეჭვი დამებდა ჩიკვაიძის ჩვენე-
ბის სისწორეში და გადავწყვიტე მისი პიროვნე-
ბის შესახებ ცნობები შემეყრიბა. პირველ რიგ-
ში ინსტიტუტში წავედი.

კომკავშირის კომიტეტის მდივანმა არასა-
ხარბიელოდ დაახასიათა ჩიკვაიძე: ცუდად სწავ-
ლობს, ხშირად სვამს, ინსტიტუტში არავისთან
არ მეგობრობს, ე. წ. „სტილნი ბიჭია“. ვასული
წლის ოქტომბერში უღირსი საქციელისათვის,
რაც მისივე სოფელი სტუდენტი ქალიშვილის
გალახვამი გამოიხატა, ჩიკვაიძის საკითხი დი-
რექციისა და კომკავშირის კომიტეტის მსჯელო-
ბის საგანი გამხდარა. ინსტიტუტში პირობით
დაუტოვებიათ, ხოლო კომკავშირის კომიტეტს
სასტიკი საყვედური ჩაუწერია სააღრიცხვო ბა-
რათში.

— რატომ უცემია ქალიშვილი ჩიკვაიძეს? —
გააწყვეტინა მოხსენება პოლკოვნიკმა ჩრდი-
ლელს.

— საბედნიეროდ გალახული გოგონა ინსტი-
ტუტში აღმოჩნდა, ვესაუბრე, შემდეგ დავკითხ-
ე, — ჩრდილელმა საქადალდედან რამდენიმე
ფურცელი ამოიღო და განაგრძო.

— მე ვფიქრობ ეს გოგონა გულგრილი არ
არის ანზორისადმი. თანაუგრძნობს თუ არა ჩი-
კვაიძე, გალახულისათვის არ მიკითხავს, მოვერი-
დე, როგორც ეტყობა თამარ ლეჟავას, ეს სტუ-
დენტი ქალიშვილის გვარია, არ მოსწონდა ჩიკ-
ვაიძის ქცევა, მისი ხშირი სმა და საეჭვო პი-
რებთან მეგობრობა. ანზორი ვატყებულო
ყოფილა პოკერის თამაშით. ერთხელ ნასჯამს
თითონვე დაუტრიახებია ქალიშვილთან „გუ-
შინ 2000 მანეთი მოვიგეო“. ლეჟავა აღფოთე-
ბულა და დამუქრებია, თუ ამ სისაძაღლეს არ
მოეშვები, დეიდაშენს ვეტყვიო, ანზორმა პირო-
ბა მისცა, მაგრამ არ შეასრულა. რამდენიმე წნის
შემდეგ თამარს მუქარა აუსრტლებია და ანზო-
რის დეიდასათვის ყველაფერი უთქვამს. რა ზო-
მები მიიღო ტყეშელიაძის მეუღლემ ეს ლეჟა-

ვამ არ იცის, ხოლო მეორე დღეს ინსტიტუტში
მოსულ ანზორს საჯაროდ გაულანძღავს ქალიშ-
ვილი და ხელითაც შეხებია.

როგორც ჩანს ინსტიტუტში კარგად ვერ
დგას ახალგაზრდობის აღზრდის საქმე. კომკავ-
შირის კომიტეტმა და დირექციამ არც კი იცი-
ან საქმის ნამდვილი არსი, რადგან პოკერის თა-
მამის შესახებ ლეჟავა არაფერი გაუზმელია.
ცემა რაღაც სხვა გარემოებით ახსნა და... საქმე
იმით გათავებულა, რომ ჩიკვაიძეს ბიუროზე
ბოდიში მოუხდია და პატიება უთხოვნია.

— გამოარკვეით ვისთან მეგობრობდა ჩიკვა-
იძე? — იკითხა მინდელმა.

— ვერა, ლეჟავა ჩიკვაიძის მეგობრებს არ
იცნობს. უნახავს რამდენჯერმე ორ ახალგაზრ-
დასთან ერთად ქალაქში, მაგრამ მათი ვინაობა
არ იცის, სახით ორთავეს იცნობს, ხოლო ვინ
არიან, ქუთაისში ცხოვრობენ თუ სხვაგან, ან
რა საქმიანობას ეწევიან, მისთვის ცნობილი
არ არის.

შევკრიბე რა ეს ცნობები, ხელმეორედ გა-
მოვიძახე ჩიკვაიძე. მან კატეგორიულად უარყო
ყოველივე. ლეჟავას ცემა კი დაადასტურა და
განაცხადა: ვასაქანს არ მაძლევდა, სულ კუდში
დამდევდა საშინლად ეჭვიანობდა ყველა ქალი-
შვილებზე და პრეტენზიებს აცხადებდა ჩემზე,
თუმცა ამის საბაზი არ მიმიციაო. მოგითხოვე
დექეშა. მიბასუხა სადღაც დავკარგეო.

თქვენგან არა ერთხელ მსმენია გამოძიებლის
ინტუიციისა და იმის შესახებ, რომ უნდა გვე-
როდეს ამ გრძნობისა, ამიტომ გადავწყვიტე კი-
დეც ჩიკვაიძე დამეკავებინა. მაგრამ იმის გამო
რომ მასალა მეტად სუსტი იყო შეეცოყმანდი,
მერე უხერხულადაც ჩავთვალე ჩიკვაიძის დაკა-
ვება. თუ ჩემი ვარაუდი არ გამართლდებოდა
ანზორს წარუხლოცელ ჩირქს მოვცებდი. ზოგი-
ერთის თვალში ის უმღამ მოამავე ბიძის, აღმზ-
რელი დედის ქმრის მკვლელი დარჩებოდა და
ეს ეჭვი სამუდამოდ დაამახინჯებდა მის ცხოვ-
რებას, ამიტომ, დავამთავრე თუ არა დაკითხვა,
ჩიკვაიძე გავუწვი, მე კი პროკურატურაში წა-
მოვედი. იქ მითხრეს მინდელი საქალაქო განყო-
ფილებაში წაივია და ისევ უკან დაებრუნდი.
მაგრამ თქვენ, ამხანაგო ლევან, გრძელბის და-
კითხვით იყავით დაკავებული და ხელი არ შე-
გიშალეთ, მით უმეტეს საჩქარო არაფერი იყო.

— რომელ სახელზე გაუშვით ჩიკვაიძე? —
იკითხა მინდელმა.

— პირველ საათს ხუთი წუთი აკლდა.

— არა სწორად მოქცეულხართ ამხანაგო შალ-
ვა. ჩენი თანხმობის გარეშე მეორედ არ უნდა
დაგებარებიათ ჩიკვაიძე. ეს შეცდომაა. ხოლო მე-
ორე შეცდომა ის გახლავთ, რომ არ დააკავეთ.
როგორ ფიქრობთ, თუ ჩიკვაიძე ტყეშელიაძის
მკვლელობის მონაწილეა, თანამზახველები



თვალყურს არ ადევნებენ? ეს ხომ ჩვენი მუშაობის სრული გაშიფვრაა! როგორ დაუშვით? — მკაცრად მიმართა ხომერიკმა.

ჩრდილელი შეკრთა.

კაბინეტში შემოსვლამდე დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი ჩინებულად გააკეთა, სწრაფი ოპერატიული მოქმედებით ამხილა ჩიკვაიძის ჩვენების სიყალბე. მთელი დღე საჭირო ცნობების შეკრებასა და ლეკავას დაკითხვას მონაწილეობდა. ახლა კი... ხომერიკის მკაცრი შენიშვნის შემდეგ მიხვდა თუ რა დიდი ვნება შეეჭლო მოცეცანა საქმისათვის მის თვითნებურ მოქმედებას.

— მკვლელობაში ჩიკვაიძის მონაწილეობა წარმოუდგენლად მიმაჩნია. ადამიანი აფთარი უნდა იყოს, რომ აღმზრდელი ბიძა ასე ვერაგულად გაიმეტოს. მერე და რისთვის უნდა მოეკლა? თუ გაძარცვა სურდა, ბინა მის განკარგულებაში იყო, შეეძლო თავისუფლად გაეტანა, რაც უნდოდა. გარდა ამისა, შეგროვილი მასალებიდან ჩანს, რომ ტყეშელიაძე ფულსა და ძვირფასეულობას დაკეტილში არ ინახავდა. 2500 მანეთის 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაცია, რაც ბროკტმოქმედებმა საათებთან ერთად გაიტაცეს, დაუქმებავ კარადაში ინახებოდა; ეს ანზორმაძე იცოდა და ობლიგაციისათვის ხელი არასოდეს უხვია. არა! მე არ ვამართლებ ჩრდილელის მოქმედებას. ეს ოპერატიული თვალსაზრისით შეცდომაა, დიდი შეცდომა, მაგრამ არა მგონია ჩიკვაიძეს რაიმე კავშირი ჰქონდეს ტყეშელიაძის მკვლელობასთან, — წარმოთქვა ბოლკოვნიკმა და მინდელს შეხვდა.

მინდელი დუმდა. მოწვეული პაპიროსი საფერფელში ჩასრისა, შემდეგ ახალს მოუკიდა.

— მე... მე არ მეგონა ამხანაგო ბროკტოროო თუ ჩემი მოქმედება საფრთხეს შეუქმნიდა საქმის გახსნას, ახლა კი ვგრძნობ რომ შეცდომა დამიშვია, სინანულით ჩაილაპარაკა ჩრდილელმა და თავი ჩაჰკიდა.

— ეს მარტო ჩრდილელის შეცდომა არ არის, მეცა ვარ დამნაშავე, ჩიკვაიძის დაკითხვა სხვისთვის არ უნდა მიმენდო, მე უნდა მომეკიდა ხელი. მით უმეტეს რომ...

ტელეფონის ზარმა მინდელს სიტყვა გააწყვეტინა.

ბალანჩივაძემ ყურმილი აიღო.

— გისმენთ. სად? რომელ საათზე? კარგი გასაგებია, — ყრუდ დაამთავრა მან მოკლე საუბარი და ყურმილი აპარატზე დასდო.

— რა მოხდა? შეეკითხა ხომერიკი ვაფითრებულ ბოლკოვნიკს.

— 35 წუთის წინ ღამის 4 საათზე წულუკიძის ბაღში საბავირო გზის სადგურთან შემოვლისას უფროსმა სერჟანტმა გვაში აღმოაჩინა, როგორც ჯიბეში ნაპოვნი საბუთებით დასტურ-

დება მოკლული ახალგაზრდა ანზორ ილიას ძე ჩიკვაიძეა.

ხომერიკს ასანთის ასაღებად გავწვდილი ხელი გაუშეშდა. ჩრდილელი მოწყვეტით დაეცა სკამზე.

— კიდევ ერთი მსხვერპლი! კიდევ ერთი მკვლელობა! ჭაღარას ბანდა მტკიცედ მოქმედებს, — თქვა მინდელმა და მისი თვლებიდან ნალველშერეულმა რისხვამ იელვა.

თ ა ვ ი IV

ვათენდა. ღამენათვეი, დაღლილი მინდელი თავის საწერ მაგიდასთან იჯდა და გვამის აღმომჩენ მილიციელის ჩვენებას აფორმებდა.

მილიციის უფროსი სერჟანტი ახვლედიანი დინჯად და დალაგებით გადასცემდა მოძხდარ ამბავს.

— ცვლა ღამის 12 საათზე ჩაივებარე. მოგვხსენებათ, ჩემი საგუშავო უბანი არც თუ ისე მცირე ტერიტორიას მოიცავს. ღამის დაახლოებით 12 ს. 40 წუთზე სასტუმრო „ქუთაისიდან“ თეთრი ხიდის მიმართულებით წავედი, ხილთან მდებარე სკვერი და საბავირო გზის სადგური დავათვალიერე, შემდეგ ქუჩის მეორე მხარეს გადავედი და მალაზიები შევამოწმე. რადგან საეკვო არაფერი შემიმჩნევია, უკანვე სასტუმროსაკენ დაბრუნდი. გადაუღებლოვ თოვდა. ქუჩაში თითქმის არავინ იყო. როდესაც სასტუმროს მივეუახლოვედი, ორი ახალგაზრდა დავინახე,



ერთმანეთს ათიოდე მეტრით დაშორებულნი, თეთრი ხიდის მიმართულებით მიდიოდნენ. ყურადღებასაც არ მიაქცევდი ალბათ, მაგრამ როგორც აღვნიშნე დაცარიელებულ ქუჩაში

სხვა არავინ იყო. უხმოდ ამიარეს გვერდი და შესახვევში თვალს მიეფარნენ. დაახლოებით ერთი საათი სასტუმროსთან დავყავი, შემდეგ ისევ გავაგრძელე საგუშაგო უბნის შემოვლა. როცა სკვერთან მივედი, საათს დავხედე. 3 სრულდებოდა. აქ ჩემი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიქცია. გზის მარჯვენა მხრიდან სკვერის მიმართულებით გაუტეხავ თოვლში აშკარად ჩანდა ფეხის კვალი. გამოვიკვრიდა, საბაგირო გზა არ მუშაობდა, რა საქმე უნდა ჰქონოდა ვინმეს სკვერში? გულდასმით დავაკვირდი თოვლის თითქმის ამოვსებულ ნაკვალევს, სულ ადვილად გავარკვიე, რომ არ აღამიანს გაველო. მაგრამ საკვირველი ის უფრო იყო, რომ უკან დაბრუნების კვალი არ ჩანდა. მაშასადამე, ისინი, ვინც რამდენიმე ხნის წინ სკვერში შევიდნენ, ჯერ ისევ იქ იყვნენ. გადავწყვიტე გამომერკვია რაში იყო საქმე და კვალს მივყვი. ბევრი არ მივლია. მიუხაზლოვდი თუ არა საბაგირო გზის სადგურს, ვაგონის მისაღებ ბაქნის ქვეშ თოვლისგან დაუფარავ ადგილზე რალაც შავი საგანი შევამჩნიე, მწოლიარე აღამიანად მივიღე და შევძახე. ის არ განძრეულა. ახლოს მივედი, მართლაც აღამიანი აღმოჩნდა ცემენტის იატაკზე გულაღმა გაწოლილი. მთვრალი მეგონა და ხელი მოვკიდე. მაგრამ შევეხე თუ არა დატრწმუნდი, რომ უკვე მკვდარი იყო.

— რაღა უნდა მექნა, საგანგაშოდ გავისროლე, რამდენიმე წუთში მეზობელ საგუშაგოდან მილიციელი მოვიდა. ის გვაშთან დავტოვე, მე კი ყოველივე ტელეფონის ვაცნობე მილიციის მეორე განყოფილების მორიგეს, — დაამთავრა ახვლედიანმა.

— ხომ არ დაკვირვებხართ სასტუმროსთან შესვედრილ ორ მოქალაქეს? — შეეკითხა მინდელს.

— არა, არ დაკვირვებვიარ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ისინი ერთად იყვნენ?

— უფროსი სერჟანტი ცოტა ხანს დუმიდა.

— არა, არ ვფიქრობ. მე მგონია ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ და თითოეული მათგანი თავის გზით მიდიოდა. მე არ ვიცი ვინ იყვნენ გამვლელები, მაგრამ ჩემის აზრით, მოკლული, რომელიმე მათგანი არ არის.

— რატომ გგონიათ?

— ამის ახსნა არ შემიძლია ამხანაგო გამომძიებლო, მაგრამ ფიქრობ, მოკლული არც ერთ მათგანს არ ჰკავს.

— განა თქვენ დაკვირდით უცნობებს?

— არა, არ დაკვირვებვიარ, მაგრამ მოკლულს მაინც ვერ ვამგანებ რომელიმე მათგანს.

— კეთილი.

მინდელს მეტი კითხვა აღარ დაუსვამს. სწრაფად გააფორმა ჩვენება და ახვლედიანი გაუშვა. უფროსი სერჟანტის ჩვენებას ახალი არაფერი მოუტანია უკვე შეკრებილი მასალებისათვის.

ჯერ კიდევ გათენებამდე მინდელმა, ხომერიკმა და ბალანჩივაძემ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთან ერთად გულდასმით გამოიკვლიეს ჩიკვაიძის მკვლელობის ადგილი. დათვლიერებაში გართულთ შეუქმნევლად შემოეღიათ ღამე და ალიონის მკრთალ, ნაცრისფერ სინათლეზე ოთხივემ კარგად ვაარჩიეს, რომ ბებერი ჭადრისაკენ წასული მკვლეელი ქვის გალავანზე აფოფებულა და გალავნის იქით მდებარე სკოლის ეზოდან უკვალოდ გამქრალა.

მკვლელობის ადგილზე რაიმე თვალსაჩინო კვალი ვერ იქნა აღმოჩენილი. მინდელმა ისიც კი არ იცოდა, რამდენ ხანს იდგნენ საბაგირო გზის სადგურთან მკვლეელი და მოკლული, რადგან ამ ადგილს ბაქანი ფარავდა და ცემენტის იატაკს თოვლი არ ხვდებოდა. მხოლოდ ერთი რამ დადგინდა მტკიცედ: ჩიკვაიძის მკვლეელი მართო იყო. ჭადრისკენ მხოლოდ ერთი აღამიანის კვალი მიდიოდა.

ადგილზე მისვლამდე მინდელს კიდევ ჰქონდა მცირე იმედი, იქნებ მოკლული ჩიკვაიძე არ იყოსო, მაგრამ ეს იმედი მალე გაჰქრა, ჩრდილელმა უყოყმანოდ ამოიწყო მასთან რამდენიმე საათის წინ დაკითხვაზე მყოფი ჩიკვაიძე.

როდესაც ვეამი ვასინჯეს, ყველანი სახტად დარჩნენ, ცხედარს მარცხენა ძუძუსში თვინაქეთი ბეზუთის სისტემის დანა ბოლომდე ჰქონდა ჩასმული. ექსპერტმა იქვე დაასკვნა: დანის დარტყმა დიდი ძალით იყო წარმოებული და სიკვდილი ელვისებურად დადგებოდაო. გვაშის ვაკეთამ დაადასტურა ექსპერტის წინასწარი მოსაზრება. დანას ნეკნი გაეტეხა და ანზორისათვის გული გაეგმირა.

ყველაფერი ეს ლოგიკურად მიუთითებდა, რომ ჩიკვაიძე მკვლელობის მსხვერპლი იყო, მაგრამ, როდესაც სათვალვეში ჩაიკვლია მკვლელობის ამოღებულ დანა დაათვალიერეს, გამომძიებლის ვაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: დანის ტარზე გარკვევით ჩანდა ამოჭრილი სახელი „ანზორი“. ვისია დანა? ნუთუ ანზორის? ხოლო თუ დანა ჩიკვაიძისაა, საიდან განჩნდა ის მკვლელის ხელში? იქნებ ჩიკვაიძემ ვერ აიტანა ბიძის სიკვდილი და თავი მოიკლა? ზედიზედ გაუღვლა ამ კითხვებმა გონებაში გამომძიებელს დანის დათვალიერებისას. არა, დაასკვნა მან, ყველაფრის დამეება შეიძლება, მაგრამ თვითმკვლელობისა კი არა. ანზორს არ შეეძლო თავი მოეკლა. ესეც არ იყოს, თავს ასე არ იკლავენ. მაგრამ იქნებ ჩიკვაიძე ბიძის სიკვდილში ერია და ჩრდილელის მიერ მეორედ დაკითხვისას დარწმუნდა,



რომ გამოძიებამ რაღაც კვალს მიაგნო? იქნებ საშინელ სინამდვილის გამოძიებებსაც სიკვდილი არჩია? მაგრამ მაშინ რა უნდოდა სკვერში? თოვლში დარჩენილი კვალის დათვალიერებით და გაზომვით უღაო იყო, რომ ჩიკვაიძე და მასთან მყოფი უცნობი ერთად, გვერდი-გვერდ მიმაგალი გადავიდნენ ქვაფენილიდან, უკვალავ თოვლში, ასევე ერთად მივიდნენ ბაქნამდე და იქ ცემენტის იატაკზე შეჩერდნენ. ჩიკვაიძე სამუდამოდ დარჩა ადგილზე დანით გულგანგმიური. მასთან მყოფი კი უკვალოდ მიიშალა. მარტოოდენ ეს ფაქტი სასეხებით გამოორიქხავდა თვითმკვლელობის ვერსიას, მაგრამ დანა... როგორ მოხვდა ანზორის დანა მკვლელის ხელში? თუ დანა მართლაც ანზორისაა, — განაგრძობდა ფიქრს გამოძიებელი, — ბუნებრივია, უნდა დავასკვნათ, რომ მკვლელი ახლო ნაცნობია ჩიკვაიძისა და განიზრახა რა მკვლელობა, კვალის არევის მიზნით, წინასწარ ითხოვა იარაღი ანზორისაგან. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე ჩიკვაიძის ახლობელთა წრეში უნდა მოიძებნოს. უცნობს ხომ არ ათხოვებდა დანას ანზორი?

მინდელმა ამ სამი დღის განმავლობაში ოპერატიულ ჯგუფთან ერთად გულდასმით, საფუძვლიანად შესისწავლა სასამართლო არქივი, ეძებდა ანალოგიურ საქმეს, მაგრამ უშედეგოდ, გამოძიებელს მანამდეც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ მკვლელობა კვალიფიციური დამნაშავის მიერ იყო ჩადენილი, ხოლო არქივის შესწავლამ და რეგისტრირებულ დამნაშავეთა ბარათების დაბეჭდვით შემოწმებამ დაარწმუნა, რომ ბოროტმოქმედნი, ყოველშემთხვევაში მკვლელი, ქუთაისში რეგისტრირებულ დამნაშავე ელემენტებს არ ეკუთვნოდა.

ახლა კი ეჭვი შეეპარა თავისი ვერსიის სისწორეში. იქნებ ორთავე მკვლელობა შურისძიებით იქნა ჩადენილი და გაძარცვა მხოლოდ ფანდია გამოძიების ცრუ კვალზე გასაყვანად?

ხოლო თუ გაძარცვაა, რა ურთიერთობა ჰქონდა ჩიკვაიძეს მკვლელებთან, საიდან იყვნენ ისინი ჩამოხულნი? როგორ დაუკავშირდნენ ჩიკვაიძეს და რამე განხდა იძულებული ბოროტმოქმედნი ანზორის თვალში?

მინდელს თვალწინ წარმოუდგა ჩიკვაიძის სახედაკაწრული, თითქმის შეშლილი ღედა, რომელიც ცრემლგამაშრალი თვალებით უაზროდ მისჩერებოდა საავადმყოფოს საპროზექტუროს და გამეტებით ურტყამდა თავს კარებს. გამოძიებელს გულწრფელად შეებრაღა მრავალტანჯული ღედა უზომო ჯაფას ნაადრევად დაებერებინა. ერთ დროს შესამჩნევად ლამაზი ქალი, ხოლო ზედიზედ თავს დამტყდარ საშინელ უბედურებას ისე მოექცია, ღრმად მოხუცი ეგონებოდა ადამიანს.

ვერც მინდელმა, ვერც სხვებმა ვერ მოძებნეს


ორი ძვირფასი ადამიანის ასე ტრაგიკულად დამკარგავი, გაუბედურებული ქალის დამამშვიდებელი სიტყვები. გრძნობდნენ, რომ ნუგეში ასეთ მდგომარეობაში მყოფისათვის მხოლოდ ლიტონი სიტყვა იქნებოდა. ღუმდნენ და უსიტყვოდ, მოკრძალებით პატივსცემდნენ ნაადრევად გათვრებულ დედის აუტანელ მწუხარებას.

ძლივს დაიყოლიეს გაკერპებული ქალი შვილის გვაში დროებით დაეტოვებინა საავადმყოფოში. გავიგებაც კი არ სურდა გაკვეთისა, მხოლოდ ხომერიკის ნათქვამმა, რომ ეს აუცილებელი იყო მკვლელის აღმოსაჩენად, მოსტეხა იგი და დათანხმდა.

ასეთ პირობებში ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა ანზორის დედის დაკითხვაზე. მინდელს არც უცდია მისი დაკითხვა. მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ქალის მოთქმასა და მოკლე საუბარში გამოარაკის ის, რაც პირველ რიგში ანტიერესებდა. ჩიკვაიძე ადრე დაბრუნდა, მაშა 1943 წელს ფრონტზე დაეღუპა. ხუთი წლის ანზორი დედისამარა გაიზარდა. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე ტყეშელიაძემ ქუთაისში წაიყვანა ცოლის ობოლი დისშვილი, დაეხმარა, ინსტიტუტში მოაწყო და თავისთან დააბინავა. ანზორს არასოდეს არ უცხოვრია თბილისში ან დიდ ქალაქში. ყოფილა დედაქალაქში, მაგრამ სულ რამდენიმე დღით. მანასადამე, ანზორს ბოროტმოქმედთა ჯგუფი ქუთაისში დაუკავშირდა, მაგრამ როდის? რამდენი ხნის წინათ?

მინდელს კარგად ესმოდა, კვალიფიციური ბოროტმოქმედნი უცხო და შედარებით პატარა ქალაქში დიდხანს არ ჩერდებიან უსაქმოდ. მოახდენენ რამდენიმე თავდასხმას და სწრაფად მიიშალებიან. იქნებ ადრე ჰქონდათ დაგეგმილი ტყეშელიაძის ოჯახის ამოწყვეტა? იქნებ შემთხვევამ შეუშალათ ხელი ტყეშელიაძის ცოლის მოკვლევიც და ანზორიც იმიტომ გადარჩა რამდენიმე დღით, რომ მკვლელობის დამესასხლეში არ იყო? თუ ტყეშელიაძის და შემდეგ ანზორის მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე მოხდა, მაშინ... მაშინ ჰქონდა, დაჭრილი და მათთან მყოფი მესამე (მინდელმა მანქანის მძღოლს ეს სახელი უწოდა) ტყეშელიაძის ოჯახს კარგად იცნობენ. ხოლო თუ ეს ასეა, რატომ აირჩიეს თავდასხმისათვის 12 ინვარი? ამ დღეს ხომ ტყეშელიაძე და მისი ცოლი შემთხვევით დაბრუნდნენ თბილისიდან? განა შურისძიებით ჩადენილ მკვლელობას მიფიქრებულად, წინასწარმედგინილი გეგმით არ ამზადებენ? იქნებ თბილისიდან გამოყვნი მკვლელები?

...არა, — განაგრძობდა ფიქრს მინდელი, — ტყეშელიაძის მოკლა ბოროტმოქმედთა თავდაპირველ გეგმაში არ შედიოდა. ამას საქმის ყველა მონაცემი ადასტურებს. თავდასხმის მი-



ზანი უეჭველად გაძარცვა იყო, ხოლო ჩიკვაიძე ან მონაწილეა ან... რალაც იცოდა და... თავიდან მოიშორეს, დააღუმეს. ყოველ შემთხვევაში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შესაძლო ვერსიაც შურისძიების შესახებ, მთავარია ბოროტმოქმედთა აღმოჩენა, დეტალები კი დაზუსტდება.

კაბინეტის კარები წყნარად გაიღო და ოთახში სამედიცინო ექსპერტი შემოვიდა. მინდელი გამოერკვა, წამოდგა, შემოსულს მიეგება.

ექსპერტმა ხმაურით გასწია სკამი, ტახტზე ჩამოჯდა.

— ფიქრობთ ლევან?

— ვფიქრობ ავთანდილ, — მოწყენილად გაიღიმა გამომძიებელმა, — ამ დანამ მთლად არია ყველაფერი.

— ჰოო, — ჩაილაპარაკა ექსპერტმა, — მართლაც რომ არია, ასეთი ჭრილობა არ მინახავს. მკვლელი ეტყობა ფიზიკურად ძალზე განვითარებული და დიდი ღონის პატრონი.

— ეგ ჭრილობით დასკვენნი?

— ჭრილობით, ასეთ დარტყმას საშუალო ღონის ადამიანი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებს.

— გაამზადე დასკვნა?

— გავამზადე, დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ სიკვდილი რამდენიმე წამში დადგა. გვამს სხვა ჭრილობა არა აქვს. მარჯვენა მჯახზე და ნიკაპის არეში არსებული სისხლჩაქცევები მსუბუქ კატეგორიას მიეკუთვნება და სიკვდილის წინა აქვს მიყენებული, — ექიმმა გულის ჯიბიდან ორად გაკეცილი ფურცელი ამოიღო მინდელს გაუწოდა და ტახტიდან წამოდგა. — დაწერილებით აქ წერია ყოველივე.

— კეთილი, გმადლობთ.

მინდელმა დასკვნა ჩამოართვა და გადაათვალიერა.

— მე წავალ ლევან, შენ დასკვნას გაეცანი. თუ რაიმეში საჭირო ვიყო, დამირეკე, დღის ბოლომდე კაბინეტში ვიქნები.

მინდელი მარტო დარჩა. რამოდენიმეჯერ გადაიკითხა გვამის სასამართლო გაკვეთის აქტი, ზოგი რამ ცალკე ფურცელზე ამოიწერა. შემდეგ დასკვნა საქალაქოში ჩაღო და ტელეფონის ყურმილი აიღო, მაგრამ ნომრები აღარ აუტრეფია, კარები უეცრად გაიღო და კაბინეტში საარქიტექტურო სამამართველოს უფროსი ლევიძე და ქალაქის აღმასკომის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს გამგე აბაშიძე შემოვიდნენ.

— მობრძანდით ამხანაგებო, ეს იყო დარტყმის ვაპირებდი, — მიეგება შემოსულთ მინდელი. შემდეგ ორთავეს ხელი ჩამოართვა, სკამები შესთავაზა და ვიდრე თითონაც დაჯდებოდა შეეკითხა:

— როგორ არის საქმე, შეასრულეთ ჩვენი დავალება?

— მთლიანად ვერა, ამხანაგო ლევან. დღის 9 საათიდან მთელი აპარატი შეუსვენებლივ მუშაობს, მაგრამ თქვენთვის საინტერესო ყველა ქუჩის შემოწმება ვერ შეეძლებოდა, — მიუგო აბაშიძემ. — ომის შემდეგ ბევრი ორსართულიანი სახლი აშენდა ქუთაისში, განსაკუთრებით ცენტრალურ ქუჩებში. ასე რომ რამდენიმე საათში მნელი ამ დავალების შესრულება.

— საჭირო ცნობები ფრიალ სასწრაფოა, ამიტომ გადმოგვეცით იმ სახლების სია, რომლებიც თქვენს მიერ უკვე შემოწმებულ ქუჩებზე უღებებიან ჩვენთვის საინტერესო სახლის ნიშნებს. რაც არ უნდა მოხდეს, ამ საკითხის შემოწმება დღესვე უნდა დამთავრდეს, ხვალ შეიძლება გვიანაც იყოს. თუ ამ ამოცანის დაძლევა საკუთარ ძალებით არ შეგიძლიათ, ვთხოვთ აღმასკომის თავმჯდომარეს სხვა განყოფილებიდან დაგახმარონ მუშაკები.

— არა, ამხანაგო ლევან, დახმარება საჭირო არ არის, კიდევ რამდენიმე საათი და ყველა ქუჩა შემოწმებული იქნება.

— კეთილი, როგორც კი დამთავრებთ, დაუყოვნებლივ გამომიგზავნეთ, მე დაველოდებით.

კაბინეტში ხომერიკი შემოვიდა. ის ძალზე დაღრმეპილი იყო, ფეხზე წამომდგარ მინდელს ხელით ანიშნა დამჯდარიყო, თითონაც დაჯდა. შემდეგ პაპიროსს მოუკიდა.

— არის ახალი რაიმე? — იკითხა მან, როგორც კი გამომძიებელთან მარტო დარჩა.

— დიახ, ამხანაგო პროკურორო. ამ დღილით კრიმინალისტური ლაბორატორიის საქსპერტო დასკვნა მივიღეთ. დანაზე, რომელიც ტყეშელიძის მკვლელობის ადგილზე ვიპოვეთ, აღმოჩენილია მხოლოდ ერთი ადამიანის თითების ანაბეჭდები და ისინი განსვენებულ ტყეშელიძეს ეკუთვნის, რაც შეეხება ფანჯარასთან ლურსმანზე აღმოჩენილ რამოდენიმე ძაფს, ექსპერტი ასკენის, რომ ეს ძაფები ქალის, ფაბრიკული ნაწარმის მსუბუქი ხელთათმანისაა.

— მაშ ექსპერტის ვარაუდით მკვლელობაში ქალიც ურევია? — კვლავ დასვა კითხვა ხომერიკმა.

მინდელმა მხრები აიჩეჩა:

— თინა ტყეშელიძე ამტკიცებს, რომ მან ოთახში მხოლოდ ერთი ადამიანი — მამაკაცი დაინახა, მაგრამ ამ ჩვენების სრულ ქეშმარიტებად მიჩნევა ვერ ნაადრევია, მით უმეტეს, რომ თავდამსხმელი ერთი არ ყოფილა. შესაძლებელია მეორე ან მესამე თინა ტყეშელიძის გამოღვიძებამდე გადასტა ფანჯრიდან, გამორიცხული არ არის სხვა ვერსიაც...

კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა.

ხომერიკი წამოდგა, რამდენჯერმე გაიარა, შემდეგ კუთხეში ტახტზე ჩამოჯდა.



— დაკითხე ვინმე ჩიკვაიძის დანის შესახებ?
— დაარღვია ღუმელი პროკურორმა.

— ჯერ არა, პატივცემულო გიორგი, ლეჟავა და ანზორის სხვა რამდენიმე ამხანაგი დავიბარე, დღის ბოლოს დავკითხე, დანის ამოცნობასაც მოვახდენ, თუმცა ძნელია, მაგრამ იქნებ თინა ტყეშელიაძის და ანზორის დედის დაკითხვაც მოვახერხო ამ საკითხზე. საღამოს პანაშვიდზე მინდა წავიდე. იქ შევძლებ მათთან გასაუბრებას.

— ჩიკვაიძის მკვლელობაზე რას ფიქრობთ? — მოულოდნელად კითხვა დასვა პროკურორმა.

მინდელი ერთხანს ღუმდა.

— მიმიძის პასუხის გაცემა პატივცემულო გიორგი, ეს მეტად რთული საკითხია, თუ დანა ჩიკვაიძის აღმოჩნდა, მაშინ...

— მაშინ რა?

— მაშინ შეიძლება სულ სხვა რამ გამოირკვეს, — დაამთავრა მინდელმა.

— სახელდობრ?

— ვინ იცის ჩიკვაიძის მკვლელობა იქნებ სულაც არ არის დაკავშირებული ტყეშელიაძის მკვლელობასთან და ეს ორი სიკვდილი შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს, — მიუგო ყოყმანით მინდელმა.

— შეიძლება — დაეთანხმა ხომერიკი, — მაგრამ უფრო დასაშვებია, რომ ორივეს მკვლელობა ერთი და იმავე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ არის ჩადენილი. ვინდა ვითხრათ რას ფიქრობ? თითქმის იცევი არ მეპარება, რომ დანა ჩიკვაიძის კუთვნილება და მკვლელობა რომელიც ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ანზორთან წინასწარ ინათობდა ან მოიპარა ეს დანა, რათა გამოძიება ცრუ კვლავ გავყვანა.

— ეგ მეც ვიფიქრე; ამასთან ჩიკვაიძეს შეიძლება უთვალთვალეს და სწორედ იმიტომ მოკლეს, რომ შეეძლო გამოძიება დამნაშავეთა კვალზე დაეყენებინა.

ხომერიკმა ამოიხორა.

— ასე თუ ისე ჩრდილელის შეცდომა ძვირად დაგვიჯდა. ანზორ ჩიკვაიძეს უუქველად იმავე ბანდამ მოუღო ბოლო, რომელმაც ბიძამისი გამოასალმა სიცოცხლეს. ეს მწარე, ძალზე მწარე ვაკეთებოდა. სამართლის მიუხადა შეცდომას ყოველთვის ადამიანის სიკვდილი თუ არა დიდი მორალური ტრამვა მინც მოსდევს.

— გეთანხმებით პატივცემულო გიორგი, მაგრამ ჩრდილელის შეცდომაზე ხომ სწორედ ამ მეორე ფაქტორის თავიდან აცილების ცდამ განაპირობა. ის მოერიდა ჩიკვაიძის სახელს, შეეშინდა სწორედ მორალურად არ დაემახინჯებინა ანზორი, ჩირქი არ მოეცხო ხალხის თვალში, მოერიდა ვინმეს არ ჩაეთვალა ანზორი ბიძის მკვლელობის მონაწილედ და აი, ანზორი დაიღუპა. ძნელია, მეტად ძნელია ჩვენი სამუშაო. დიდ

სიდურთხილეს, ათასჯერ ვაზომვას, მაგრამ ხშირად ძალზე სწრაფ მოქმედებას მოითხოვს. ჩრდილელი რომ ნახოთ, ვერ იცნობთ, ამ ერთ ღამეში ათი წლით მაინც დაბერდა კაპიტანი. თადარიგში გასვლასაც კი ფიქრობს.

— თადარიგში გასვლა ყველა იქ ასეთ შეცდომას არ დაუშვებ, მაგრამ ყველა თუ თადარიგში გავიდა, ჩვენს სამუშაოს ვინ შეასრულებს? ჩრდილელმა დააშვა და დასაყვებაკიდევ, მაგრამ ახლა მე სულ სხვა რამ მინდა გითხრათ: ზოგიერთი ჩვენი მუშაკი ცუდად ერკვევა საზოგადოებრივ აზრში. აი შენც, თუმცა საკმაოდ კვალიფიციური გამოძიებელი ხარ, მაგრამ ამ საკითხზე ჩრდილელის შეზღუდულებას იზიარებ: „ჩირქი არ მოეცხოს, ვინმეს მიერ ბიძის მკვლელად არ იქნეს აღიარებული“, მერე ვინ არის ეს „ვინმე“ ობიექტურად მოაზროვნე ვილაც კაცუნები, რომლებიც სამწუხაროდ ჯერ კიდევ შემორჩნენ ჩვენს საზოგადოებას! ვინა მათ აზრს ჩვენი საზოგადოებისათვის მნიშვნელობა აქვს?

საზოგადოებრივი აზრი — ჩვენი დასკვნაა, სასამართლოს განაჩენია და არა ვილაც ჭორიკანების ჩამხვას! ამიტომ დაგვსევს აქ მეც, თქვენც, ჩრდილელიც და ათასობით სხვა! ჩვენ არ გვაქვს უფლება მსგავსი შეცდომის დაშვებისა. ჩრდილელი ახალგაზრდა მუშაკია, მან თავი შერლოკ ზოლმსად წარმოიდგინა, „სწრაფად, ოპერატიულად“ ამხილა ჩიკვაიძის სიტრუე და რამდენიმე საათის შემდეგ კვლავ გამოიძახა დაკითხვაზე, ხოლო შედეგი? ჩიკვაიძე მოკლეს, დაიღუპა ადამიანი, ჩვენ კი ჯერჯერობით მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, უფრო სწორედ ვიფიქროთ, რომ მას უთვალთვალედნენ. რატომ? შესაძლოა მან რაიმე იცოდა, შეეძლო დამნაშავეთა კვალზე დაეყენებინეთ. ეს შესაძლებლობაც დიკარგა, მკვლელებს კი თავისთვისადმი რწმენა მოემატათ. ორ ღამეში ორი მკვლელობა ქუთაისში! გესმით ეს რას ნიშნავს? — ხომერიკის ხმა ძალზე მკაცრად აქერდა.

მინდელი ღუმდა.

ხომერიკმა კვლავ პაპიროსს მოუკიდა, რამდენჯერმე გაიარა კაბინეტში და ფანჯარასთან მისულე უკან მიუხედავად შეეკითხა მინდელს:

— სახლების ნუსხა როდის იქნება მზად?

— ერთ საათში ან ცოტა უფრო ადრე, მუშაობენ.

საღამოსათვის უკვე დადგენილ უნდა იქნას საექვო სახლი. დრო არ ითმენს. ჭლარას ბანდა ყოველ წუთში შეეცდება დატოვოს ქუთაისი. ეს კი არ უნდა მოხდეს.

— ყველაფერს გავაკეთებთ. ჩიკვაიძე ჭლარას უკანასკნელი მსხვერპლია. ძვირად დაუჯდებით ავაზაკებს ორი სიცოცხლე.

ხომერის თვალწინ წარმოუდგა დარდისაგან გამშრალი ანზორის დედა.

საბრალო ქალი, — კვლავ ამოიხრა მან, — ორ დღეში ორი ძვირფასი ადამიანის დაღუპვა, ეს მართლა დიდი საშინელებაა!... წაასვენეს ჩიკვაიძე?

— არა, ორთავეს აქ ქუთაისში ასაფლავებენ. შე განკარგულება მივეცი ოპერატიულ მუშაკებს ყოველ პანაშვიდს დაესწრონ. მეც მინდა წავიდე. გამორიცხული არ არის ამ გზითაც რაიმე კვალის მივგნება.

პროკურორმა თანხმობის ნიშნად თავი დაქნა, პაპიროსის ნაშუქავი საფერფლეში ჩასრისა, ახალს მოუქიდა და წარმოთქვა:

— როდის გამოვიდა ჩიკვაიძე ბინიდან და ვისთან ერთად?

— ჩიკვაიძე ჩრდილელთან ღამის 11 საათზე გამოუცხადდა. როგორც გამოძიებით ირკვევა სახლიდან მარტო წამოვიდა. ჩრდილელმა იგი გორდელაძის ბინის ტელეფონით გამოიძახა. შეხვდა თუ არა ვინმეს პირველი დაკითხვის შემდეგ ჟურჯერობით დაუდგენელია.

— თქვენი აზრით რა ვითარებაში მოკლეს ჩიკვაიძე?

მინდელი ჩაფიქრდა, შემდეგ არც თუ მტკიცედ მიუგო:

— აქ რამდენიმე ვარიანტია, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ჩიკვაიძემ რაღაც იცოდა ტყეშელიაძის მკვლელობის ირგვლივ, მას უთვალთვალედნენ, ალბათ შეხვდნენ კიდევ პირველი დაკითხვიდან მომავალს. ესაუბრენ, შეიძლება კიდევაც დაემუქრნენ, თვალთვალი კი გააგრძელეს. მეორე დაკითხვა 11 საათზე დაიწყო და თითქმის პირველ საათზე დამთავრდა. ბანდიტებისათვის ცნობილი გახდა ჩიკვაიძის მილიციაში მეორედ მისვლა, დაუღარაჯდნენ, შეხვდნენ, მუქარით ან მოტყუებით გაიყვანეს რიონის პირას და მოკლეს, რითაც თავიდან მოიშორეს საშიში მოწმე.

— რატომ ფიქრობთ, რომ მხოლოდ მოწმე?

— როგორ ვითხარა პატივცემულო გოგორგი, ჩიკვაიძე მე არ მინახავს და არ დავლაპარაკებია, მაგრამ რატომღაც მკვლელობაში მისი მონაწილეობა გამორიცხულად მიმაჩნია. დეიდასთან და ბიძასთან მას ძალზე კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ტყეშელიაძე შვილივით ზრდიდა. ანზორი რაიმე დანაშაულში არ იყო შემჩნეული. როგორც გამორიკვა ნასამართლევიც არ ყოფილა, ცხადია, შეეძლოთ დანაშაულში მისი ჩათრევა, მაგრამ მკვლელობაში კი ვერა. ყოველ შემთხვევაში მკვლელობაში ჩათრევა ასე არ ხდება. ვარდა ამისა, თუ მან მონაწილეობა მიიღო მკვლელობაში, რა აუცილებელი იყო სხვა მონაწილეთა მიერ მისი თავიდან მოშორება?

— დავუშვათ თქვენ სწორი ხართ, მაშინ რა

დამოკიდებულება შეიძლება ჰქონოდა მას კვალიფიციურ დამნაშავეებთან?

— ვინ იცის, თუ მკვლელობა შურისძიებით არ არის ჩადენილი, შეიძლება ანზორმა იცოდა რაიმე. ეს კი მკვლელებისათვის ცნობილი იყო და თავიდან მოიშორეს. დაადუმეს.

ორთავენი გაჩუმდნენ.

ხომერიკი ბოლოს სცემდა კაბინეტში.

მინდელი საწერ მაგიდას დაყრდნობილი თვალს ადევნებდა მიღუშულ პროკურორს. მას კარგად ჰყავდა შესაწვლილი ხომერიკი. დინჯი, აუღლევებელი მუშაკი, არასოდეს არ კარგავდა მოთმინებას. 8 წლის ერთად მუშაობის მანძილზე მინდელს ერთხელაც არ უნახავს ის ადვოკატული, ერთხელაც არ ვაუგონია, რომ რომელიმე მუშაკისათვის ეყვიროს, დღეს კი თუმცა ხომერიკი ვარგულად დამშვიდებული ჩანდა, მაგრამ მინდელს არ გამოუარვია: ამ ორ მკვლელობას, რომლის ახლო მომავალში გახსნის პერსპექტივა საეჭვო იყო, ხომერიკი ძალზე აედღულებინა. მინდელს იმის საფუძველიც კი არ ჰქონდა დაბეჯითებით ვადაწყვიტა, რომ მკვლელობა გაძარცვის მიზნით იყო ჩადენილი. ამ ვერსიას განსაკუთრებით ის ხდიდა საეჭვოდ, რომ ტყეშელიაძე მკვლელობის დამეს შემთხვევით აღმოჩნდა სახლში. ვარდა ამისა მინდელს არა ერთი საქმე გაეხსნა, როდესაც შურისძიებით ჩადენილი მკვლელობის კვალის დაფარვის და გამოძიების მცდარ გზაზე დაყენების მიზნით დამნაშავეს განგებ გაუძარცვავს მოკლული.

— მკვლელები პროფესიული დამნაშავენი არიან, — დაარღვია ღუმელი პროკურორმა, — ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილზე არავითარი ხელნახატი კვალი არ არის, ამის უდავო დადასტურებაა. გამოუცდელი დამნაშავენი ხელთათმანებით არ აკეთებენ თავიანთ შავბნელ საქმეებს. საჭიროა კვლავ გულდასმით ვადასინჯოს ბარათები, ხომ არ დაბრუნებულა ან არ გამოქვეყნულა რომელიმე კვალიფიციური არამზადა. ვარდა ამისა, ჩემის აზრით, საჭიროა დაწვრილებითი ცნობები შეიკრიბოს ჩიკვაიძეზე, როგორც ინსტიტუტში, ისე ამხანაგებსა და მეზობლებში: იმოქმედეთ ისე, რომ არც საქმე დაზიანდეს და არც ვინმეს ინტერესები. უნდა გაირკვეს როგორ ცხოვრებდა ეწეოდა ჩიკვაიძე, ვისთან მეგობრობდა, სად ატარებდა თავისუფალ დროს, ვის ხედეოდა, ვისთან იყო ცუდ ან მტრულ დამოკიდებულებაში. თუმცა ნაკლებად საფიქრებელია, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ორთავე მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე იქნა ჩადენილი.

— გასაგებია! მე უკვე მივიღე საჭირო ზომები, დღეს დილით თბილისში ვადავცი ტელეფონგრაფა მილიციის რესპუბლიკურ სამმართველოში. შემპირდნენ, რომ პასუხს საღამომდე

მაცნობებენ. შესაძლებელია მართლაც გვეწვიო კვალიფიციური ბანდა. იგივე ვთხოვეთ აგრეთვე ბათუმს, სოხუმს, ვაცნობეთ ქალაქსა და მისი ამხანაგების გარეგნული აღწერილობა, უფრო სწორად ის ნიშნები, რაც გრძელქემი ვადმოგვცა. გარდა ამისა ინსტიტუტის დირექციას გამოვართვით სია სტუდენტებისა, რომლებიც ასე თუ ისე ახლოს იყვნენ ჩიკვაიძესთან. დღეს ყველა მათგანი დაკითხული იქნება. დავიბარე აგრეთვე ლეჟავას ქალიც. საჭიროდ მიმაჩნია მისი დაწვრილებით დაკითხვა. ვფიქრობ, სადამოხათვის ხელთ მექნება საქმისათვის საჭირო ზოგიერთი მონაცემები.

— ლეჟავას და ანზორის სხვა ამხანაგებს უჩემოდ ნუ დაკითხავ. საერთოდ თუ საჭიროებამ მოითხოვოს დამირეკე ან თითონვე მოდი.

ხომერიკმა საათს დახედა და დაუმატა — მე საქალაქო კომიტეტში ვიქნები. ბიუროს სხდომა. გარდა ამისა ქალაქკომის მდივანმა მოითხოვა მოვახსენო რა ღონისძიება გატარდა მკვლელობის გასახსნელად.

ხომერიკი მძიმე ნაბიჯებით გავიდა კაბინეტიდან.

დღის ზუსტად ორ საათზე კაბინეტში აბაშიძე შემოვიდა.

— დაამთავრე? — მიეგება მინდელი.

— დავამთავრეთ, სულ ექვსი სახლი აღმოჩნდა, ასეთი. აი, მისამართებიც მიუგო მან და ფურცელი გაუწოდა.

მინდელმა გამოართვა, ჩაათვალიერა, შემდეგ საქალაქულში ჩაღო.

მარტოდ დარჩენილი მინდელი საწერ მაგიდას დაუბრუნდა და გულდასმით შეუდგა სიის დამუშავებას. ნახევარი საათის შემდეგ გამოძიებულმა გამოარკვია: საეჭვოდ მიჩნეული ექვსი სახლიდან ოთხი ექვს არ იწვევდა. ეს სახლები ეკუთვნოდა თადარიგის გენერალს მაისურაძეს, ძველ კომუნისტს, პერსონალურ პენსიონერს, დოლიძეს, პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრს, ინსტიტუტის დოცენტს იაშვილს და საავტომობილო ქარხნის ხარატს, უმაღლეს საბჭოს დებუტატს აბუენაძეს. დანარჩენი ორი სახლიდან ერთი დაკავებული ჰქონდა მდგმურებს — შოჯახს, სახლის შეპატრონე კი თბილისში ცხოვრობდა, ხოლო მეორე ვინმე დევნიეს. თუმცა გამოძიებლის ყურადღება უკანასკნელ ორ სახელზე შეჩერდა, მან მაინც გადაწყვიტა ფრთხილად შემოწმებინა ყველა ექვსი სახლი.

(გაგრძელება იქნება)

დიდი სხოპკაბის გზაზე



თამაში, ალალი გამოსხედა აქვს. თვალებში სითბო და დიმილი ჩადვრია. „ბავშვთა სამყაროს“ წინ შეჩერდა, სიყვარულით შეათვალა სათამაშოები, შემდეგ პატარა შეილიშვილებისთვის რამდენიმე შეარჩია და ბავშვივით აღტაცებულმა ნაბიჯს აუჩქარა... ჟღერტულით ეგებება ლაშა, თვა; ეკა კი სულ პაწაწაა, „ადუსაც“ ძლივს ახერხებს. უყურებს მათ და ცისფერი, ალერსიანი თვალები კიდევ უფრო უცოცხლდება.

* * *

როდის იყო ეს? რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ? დავითს თავისი ბავშვობა აგონდება. რატომ ახსოვს გამოკვეთილად ეს დღე? დედა ტირის... სანუგეშებლად მოსული ახლობლებიც ტირიან, თბლებს ეფერებიან. ხალხი ირევა... მას შემდეგ დავითს მამა აღარ უნახავს. უცებ შეწყდა ბავშვობის უდარდელი წლები, სულ რაღაც ათი

წლის ასაკში. დედას შვიდი შვილი დარჩა გასაზრდელი... შრომა გაათქეცა, თბლებს თბლობა არ აგრძნობინა. დღეები დღეებს მისდევდა... დაძაბულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო.

და აი, 1930 წელს, მეორე შრომის სკოლის ათი კლასის დამთავრებისთანავე, ჩაება შრომის ფერხულში დავით ბადათურია. იგი ჯერ ისტორიის მასწავლებელია ქუთაისის მეორე საშუალო საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში, შემდეგ კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე და ამავე დროს ხელმძღვანელობს ადგილობრივი რაიონული გაზეთის „ინდუსტრიალური ქუთაისის“ პიონერულ განყოფილებას, მუშაობს კომკავშირის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად, შემდეგ საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის ცენტრალური ბიუროს სასკოლო სექტორის გამგედ ნიშნავენ თბილისში. 1934 წელს ერწო-თიანეთის კომკავშირის რაიკომის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელია, ამავე დროს თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და რაიონული გაზეთის რედაქციის ინსტრუქტორი. 1935 წელს თბილისის სტალინის და შემდეგ კირთვის რაიონების რეზინდისის რაიკომის ჯერ ინსტრუქტორადაა, შემდეგ მდინანდ. ამავე წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. სწავლასთან ერთად მუშაობს გაზეთ „ნორჩი ლენინელი“ სას-

კოლო განყოფილების გამგედ, ქვიშხეთის და ქობულეთის რესპუბლიკური პიონერული ბანაკის უფროსად.

1940 წელს უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ნიშნავენ პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის დირექტორის მოადგილედ.

სიყვარულით და გატაცებით ეწაფება დავითი ბავშვებთან მუშაობას. შეეჩვიათითოეულს. ბევრზე ბევრი საქმე გაუჩნდა. მაგრამ... მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა.

1941 წელი.

მრისხანედ დაიქუხა ომის ქარცეცხლმა... სამშობლოს ლაჟვარდი ცა სამტროდ მოსულთა თვითმფრინავებით დაინისლა. ნაცარ-ტუტად იქცა ქალაქები, სოფლები; უპატრონოდ, გზააბნეულნი დარჩნენ ბავშვები.

ბავშვები... დიმილი გაუქრა სახეზე დავითს და შურისძიების გრძნობით ისიც იქ წავიდა, სადაც სამშობლოს ბედი წყდებოდა.

ცრემლადქცეული დედა აკანკალებული ხმით ულოცავდა გზას.

დაიწყო ადამიანების ლეგენდარული ბრძოლები.

ფრონტელებმა გულწრფელად შეიყვარეს თავაზიანი და მოუსვენარი, ხალასი გულის და ნათელი გონების, მუდამ მომღიმარე ქართველი ვაჟკაცი.

1941 წლის დეკემბრის თვეში დავით ბალათურია უკვე ქერჩის ნახევარკუნძულზე იბრძოდა. გამარჯვების იმედით გათამამებული მტერი დაუნდობლად ანადგურებდა ყველას და ყველაფერს.

1942 წლის აპრილი.

მტერმა ყირიმის მთელ ფრონტზე განმეორებითი შეტევა დაიწყო. 12—13 მაისს

უკვე მიუახლოვდა ქ. ქერჩს. ფრონტის შტაბში მიღებული იქნა მთავარსარდლის — ი. ბ. სტალინის ბრძანება, რომ არ დაეთმოთ მტრისათვის ქ. ქერჩი. ფრონტის სარდლობამ მიიღო ყოველგვარი ზომები ბრძანების შესასრულებლად. შტაბის ხელმძღვანელობამ პოლიტმუშაკვებისაგან შექმნა ცალკე დამკვრელი ბატალიონი ქ. ქერჩის დასაცავად.

უფროსმა ზემდეგმა, დავით ბალათურიამ მიიღო დავალება, ეხელმძღვანელა ოცეულისთვის, დაემყარებინა კავშირი ბატალიონსა და შტაბს შორის.

მძინვარება არტილერიის ცეცხლი. ბომბდამშენების გამაყრუებელი ხმა ძარღვებში სისხლს ყინავდა. ომის ხანძარში იყო გახვეული ქალაქი ქერჩი. ოცეული მძიმე პირობებში ჩაჯარდა; მიუხედავად ამისა, განუწყვეტლივ ამყარებდა სატელეფონო კავშირს ბატალიონისა და შტაბის ხელმძღვანელობასთან, რისთვისაც ასეულმა ხელმძღვანელობის მადლობა დაიმსახურა.

ჩრდილოეთ კავკასიის მიუგალ ჭიუხებში იბრძოდა და იხოცებოდა ასობით და ათასობით ჯარისკაცი, რომ მტერი არ გამოჭრილიყო საქართველოსკენ, არ დაეპყრო კავკასია. მებრძოლთა რიცხვშია დავით ბალათურიაც. 1943 წლის ბოლოს სამხედრო ლაზარეთიდან გამოწერილი, კონტრუზირებული უბრუნდება სამშობლოს.

სამშობლოში დაბრუნებულ დავით ბალათურიას დაბა მანგლისის სახალხო მსამართლედ ირჩევენ.

აღარ უნდა ებრძოლოს მტერს, საკუთარ მიწაზე უნდა ასამართლოს დამნაშავენი: გამოასწოროს, მიუთითოს გზააბნეულებს, გამოუსწორებლები — სასტიკად დასაჯოს.

თითქოს ყოველთვის ასეა — ცხოვრების გზას ადამიანები ჩვეულებრივად გონებ-

რივი მომწიფების ხანაში ირჩევენ. დავით-საც არჩეული ჰქონდა გზა, მაგრამ...

იცვალა გეზი ოცნებაში.

* * *

ეს იყო ოცდასამი წლის წინ.

...საბრალდებო სკამზე ზის დამნაშავე. თავი ჩაუღუნია. პირისპირ ვერ შეუხედავს თანასოფლელებისთვის. ერიდება თვალებში შეხედოს მოსამართლეს. მას ქურდობისათვის ასამართლებდნენ.

ეს ის დრო იყო როცა გააფთრებულ ბრძოლებში იხოცებოდნენ მებრძოლები, ხოლო შინდარჩენილები შრომით და იმედით აღსავსე წერილებით ახალისებდნენ ომში წასულთ.

ბრალდებული ი. მჭედლიძე კი ომის პერიოდში მეორედ მოხვდა საბრალდებო სკამზე. მან გაქურდა თეთრი წყაროს რაიონის სოფ. ზირბითისა და თიანეთის კოლმეურნეობის საწყობები, დაიტაცა დიდი ოდენობით ხორბალი.

...იქ, ფრონტზე თავგანწირვით იბრძვიან, სამშობლოს იცავენ, ეს კი... და დავით ბალათურიას გამოაქვს მკაცრი განაჩენი.

დავითმა მისთვის ჩვეული გულწრფელობით შეიყვარა თავისი საქმე. 39 წლის ასაკში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იყო მშრომელთა დეპუტატების თეთრი წყაროს რაისაბჭოს დეპუტატი. 1948 წელს მას ნიშნავენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად, 1951 წელს ოლქის ლიკვიდაციამდე იყო ქ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, 1953 წლიდან კი კვლავ უმაღლეს სასამართლოს წევრია. ამ მოვალეობას ასრულებს დღესაც. არის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრი 1954 წლიდან.

დაკვირვებულობა, გულისხმიერება და ყურადღება ახასიათებს ერუდირებულ იურისტს.

ხშირად ჩაფიქრებულია: „იქნებ დამნაშავემ ერთი მცდარი ნაბიჯი გადადგა, ანდა შემთხვევით მოხვდა საბრალდებო სკამზე? ასეთი ადამიანი შენგან — მოსამართლი-

საგან არ მოითხოვს შეწყალებას არამედ სამართლიანობას“. დავითს კარგად ესმის პასუხისმგებლობის გრძნობა, და თუ ვინმე დაინტერესდება მისი პირადი ფოსტით, ადვილად დარწმუნდება, თუ რა დიდი ძალა აქვს ამ კეთილ ადამიანს, მკაცრ, მაგრამ სამართლიან მოსამართლეს.

... მკვლევობა, ჯგუფურად სახელმწიფო ქონების გატაცება, გაუპატურება და ასე გაუთავებლად.

საქმეები, ტომები, ფაქტები.

ასე იწყება თითქმის ყოველი დღე.

დავითმა კარგად იცის, რომ სამართლიან განაჩენს, რა გინდ მიძიმეც არ უნდა იყოს ის, სიხარულით ხვდება საზოგადოებას. და აი, მორიგ საქმეს იხილავს იგი. 7 ტომი, 1.700 ფურცელზე მეტი... დაღლა იგრძნო მოსამართლემ.

თბილისის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კლუბში კი ტევა არ არის. ბევრი მსურველი დარბაზში ვერ შესულა და კლუბის წინ გაჩერებულა. ყველას თავისი თვალით უნდა ნახოს „შვ ბაზარზე“ ოქროს მოვაჭრეთა სახეები, თავისი ყურით მოისმინოს იატაკქვეშელ მილიონერთა — მორდებს კაკიაშვილის, ნიკოლოზ გოგიშვილის, იგივე გოგიანცის, დანიელ კაცოშვილის, სოლომონ, იგივე ბუხუტი ხანაშვილის, შამაი ნანაზიაშვილის და მოშე მიხელაშვილის დანაშაულებრივ მოქმედებათა ვრცელი საქმე.

მოსკოვის ვალუტით მოვაჭრეთა გასამართლების შემდეგ, რომელსაც როგორღაც ხელმძღვანელობდა, კიდევ ერთი ხლართი გაიხსნა. ამ ჯგუფს კი ქ. თბილისში, საიათნოვას ქ. № 18-ში მცხოვრები მორდებს კაკიაშვილი ედგა სათავეში. მას სხვადასხვა ქალაქებში ქონდა გაბმული ქსელი. თავის ბნელ საქმიანობაში ახალგაზრდობაც ყავდა ჩათრეული. დაქროდა თვითმფრინავები, იგზავნებოდა სხვადასხვა შინაარსის დეპეშები. მაგალითად: „დამირეკეთ, შემატყობინეთ დეპეშით მოისეი სიმონის-ძის შვილის დავითის ჯანმრთელობა, ლამარას. პეტეიას, ბელას საქმიანობა. საუკეთესო სურვილებით ალეკო“. ეს დეპეშა კი ასე

იკითხებოდა: „დამირეკეთ, მიდებეშეთ, ოქროს თუმნიანების, დოლარების კურსი, ოქროს, პლატინისა და ინგლისური გირვანქა სტერლინგების ფასი“. დეპეშის გამგზავნი კი თვით კაკიაშვილის პირმშო ალექო გახლდათ ტრუზნიკოვის გვარიით. და ასე ყიდულობდნენ ამერიკულ დოლარებს, ინგლისურ სტერლინგებს, თურქულ ლირებს, შვედურ კრონებს და სხვა ვალუტას და ემატებოდა მილიონები მორღეს კაკიაშვილის სალაროს...

დარბაზში სიჩუმეა გამეფებული...

საქმე, რომელსაც იხილავდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელი სესია დავით ბაღათურიას თავმჯდომარეობით, დასასრულს უახლოვდება...

სახელმწიფო ბრალმდებელმა, საქართველოს სსრ პროკურორმა წარმოთქვა საბრალდებო სიტყვა.

გამოტყვევდა განაჩენი...

ყველგან და ყოველთვის სამართლიანობა, პრინციპულობა...

ამას მოელოდა მისგან საზოგადოება.

ასე იცნობენ დავით ისიდორეს ძე ბაღათურიას.

* * *

და შრომაში მირბიან დღეები, მოუსვენარი დღეები.

გმირული ბრძოლისა და ნაყოფიერი შრომის დღეებისთვის იგი დაჯილდოვებულია მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941—1945 წლებში“, „ზურგში მამაცური შრომისათვის“, მიღებული აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი, დაჯილდოვებულია მედლით და სიგელით — „დიდ სამამულო ომში გამარჯვების 20 წელი“. ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის სასამართლო ორგანოებში მრავალჯერ აქვს მიღებული ფასიანი საჩუქრები.

დავით ბაღათურია ექვსი შვილის მამა და სამი შვილიშვილის ბაბუაა. კვლავ ახალგაზრდული ენერგიითაა სავსე. სიცოცხლეს ახლა მეტი აქვს ლაზათი და ჯერ შორსაა სიბერე.

დოდო ნანობაშვილი